ჩარლზ ბუკოვსკი

მაკულატურა



ჩარლზ ბუკოვსკი

მაკულატურა

გამომცემლობა პალიტა L

1

კაბინეტში ვიჯექი ჩემთან, იჯარას ვადა გაუვიდა და მაკელვის გამოსახლების პროცედურა წამოეწყო უკვე. ჯოჯოხეთურად ცხელოდა, თან კონდიციონერიც გაფუჭებული იყო. ბუზი გამოხოხდა მაგიდაზე, მეც გაშლილი ხელი გავუქანე და ფაფუ, გავიყვანე თამაშიდან. მერე ხელისგული შარვლის მარჯვენა ტოტზე შევიხოცე და ტელეფონმაც დარეკა.

ყურმილი ავიღე.

— ალო!

— სელინი წაგიკითხავთ? — მკითხა, ქალი იყო. საკმაოდ სექსუალური ხმა ჰქონდა. ბოლო დროს არ მყოლია არავინ. ბოლო დროს რა, ბოლო წლები.

— სელინი, მმმ... — ავლუღლუღდი.

— სელინს ვეძებ, — მითხრა მან, — მჭირდება.

აუ, რა ხმა ქონდა, ჭკუიდან გადავყავდი პირდაპირ.

— სელინი? მიამბეთ რამე მის შესახებ, მელაპარაკეთ, ქალბატონო, არ გაჩერდეთ... — დუქანი შეიკარით.

დაბლა დავიხედე.

— როგორ მიხვდით?

— რა მნიშვნელობა აქვს. სელინს ვეძებ.

— სელინი მკვდარია.

— არა, არ არის. მინდა მოძებნოთ, მჭირდება.

— და ცარიელი ძვლები რომ დამხვდეს?

— არა, სულელო, ცოცხალია.

— სად არის?

— ჰოლივუდში. მითხრეს, რედ კოლდოვსკის წიგნის მაღაზიასთან ტრიალებს ხოლმეო. — კი მაგრამ, თვითონ რატომ არ მოძებნით?

— პირველ რიგში, იმიტომ, რომ მინდა, ზუსტად ვიცოდე, მართლა სელინია თუ არა. დარწმუნებული უნდა ვიყო აბსოლუტურად.

— რაღა მე დამირეკეთ? ასობით მაძებარია ქალაქში.

— ჯონ ბარტონმა მირჩია თქვენი თავი.

— ოჰ, ბარტონმა გირჩიათ? მოკლედ, მისმინეთ, ავანსი მჭირდება და პირადად უნდა შეგხვდეთ აუცილებლად.

— ხუთ წუთში მანდ ვიქნები, — მითხრა და ყურმილი დაკიდა.

მე დუქანი შევიკარი.

ლოდინი დავიწყე.

2

შემოვიდა.

იმის თქმა მინდა, ნაღდი უსამართლობა იყო რა. კაბა ისე ჰქონდა მომდგარი, ლამის ნაკერებზე გადამსკდარიყო. იმსიმაღლე ქუსლებზე იდგა, იფიქრებდით, ოჩოფეხები წამოუცვამსო. მთვრალი ინვალიდივით მოქანაობდა ოთახში. ღვთაებრივი, თავბრუდამხვევი სხეული ჰქონდა. — დაბრძანდით, ქალბატონო, — შევიპატიჟე.

ისიც დაჯდა და ფეხი ფეხზე ისე გადაიდო, კინაღამ თვალი გამომთხარა. — მიხარია, რომ გაგიცანით, ქალბატონო.

— რას მომშტერებიხართ. ისეთს ვერაფერს ნახავთ, რისთვისაც აქამდე არ მოგიკრავთ თვალი.

— ცდებით, ქალბატონო. შეიძლება გავიგო, რა გქვიათ?

— ქალბატონი სიკვდილი.

— ქალბატონი სიკვდილი? ცირკიდან ხართ? თუ კინოდან?

— არც ერთიდან და არც მეორიდან.

— დაბადების ადგილი?

— რა მნიშვნელობა აქვს.

— დაბადების წელი?

— არ გამოგდით ხუმრობა...

— რა ხუმრობა, ცნობების შეგროვებას ვცდილობ.

ავირიე როგორღაც, და ფეხებზე დავუწყე ყურება. ჩემთვის ფეხებიდან იწყება ყველაფერი. აბა როგორ, დაბადებისას ხომ ჯერ ფეხები დავინახე. ოღონდ მაშინ გამოძვრენას ვცდილობდი. მას მერეა, სულ პირიქით ვცდილობ, მაგრამ დიდი წარმატებით-მეთქი, ვერ დავიკვეხნი.

თითები გაატკაცუნა.

— ჰეი, გამოფხიზლდით.

— ა? — ავხედე.

— სელინზე ვლაპარაკობდით, გახსოვთ?

— დიახ, რა თქმა უნდა.

ქაღალდის სამაგრი გავხსენი და იმით ვანიშნე.

— ჩემი სამსახური თუ გინდათ, ჩეკი დამჭირდება.

— ცხადია, — გამიღიმა იმან, — რამდენს იღებთ?

— ექვს დოლარს საათში.

ჩეკების წიგნაკი ამოიღო, გაჯღაბნა რაღაცა, ამოხია ფურცელი და გადმომიგდო. მაგიდაზე დაეცა, ავიღე. 240 დოლარიო. ამდენი ფული, 1988 წელს ჰოლივუდის პარკში კუში რომ დავსვი, მას მერე არ მენახა.

— დიდი მადლობა, ქალბატონო...

— სიკვდილო, — მიკარნახა.

— მართალია, — ვუთხარი მე, — ახლა ცოტა რამე ამ ეგრეთ წოდებულ სელინზეც მითხარით. რაო, რა წიგნის მაღაზიაო?

— რედის მაღაზიაში დაეხეტებოდა, ათვალიერებდა წიგნებს... ფოლკნერი თუ გაქვთო, კარსონ მაკალერსიო, ჩარლზ მენსონიო... — წიგნების მაღაზიაში დაეხეტებოდა, არა? მმმ...

— დიახ, ხო იცით რედი. როგორ უყვარს თავისი მაღაზიიდან ხალხის გაყრა. კაცმა ათასი დოლარიც რომ დახარჯოს და მერე ერთიორი წამი ისე გაჩერდეს, რედი აუცილებლად მივა და ეტყვის: “რატომ ჯანდაბაში არ წახვალთ?” კარგი ბიჭია რედი, ცოტა ახირებულია თორე... მოკლედ, სულ ასე აგდებს სელინს; ისიც მუსოსთან მიდის ხოლმე ბარში, დაჯდება იქ და ცხვირ-პირი ჩამოსტირის. გავა ორი დღე, მიბრუნდება ისევ რედთან და ყველაფერი თავიდან იწყება.

— სელინი მკვდარია. ჰემინგუეისთან ერთად მოკვდა, ერთ დღეს ერთი მოკვდა, მეორე დღეს — მეორე. ოცდათორმეტი წლის წინ დაიხოცნენ.

— ჰემინგუეი ვიცი. ჩემთანაა.

— დარწმუნებული ხართ, რომ ჰემინგუეია?

— დიახ, დარწმუნებული ვარ.

— მაშინ რანაირად ხართ დარწმუნებული, რომ ეს სელინი ნამდვილი სელინია? — სულაც არ ვარ დარწმუნებული. რატომღაც ვერაფერი მოვუხერხე მაგ კაცს, აქამდე მსგავსი არაფერი დამმართვია. მგონი, მეტისმეტად დიდხანს შევრჩი ამ საქმეს. ჰოდა, ამიტომაც მოვედი თქვენთან. ბარტონმა მითხრა, თავისი საქმე კარგად იცისო. — თქვენ ფიქრობთ, რომ ნამდვილი სელინი ცოცხალია? და მაგიტომაც გჭირდებათ? — ძალიან, პატარავ.

— ბილეინი. ნიკ ბილეინი.

— კარგი, ბილეინ. მოკლედ, ასი პროცენტით დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ეს ნამდვილი სელინია და არა ვიღაც ნაჩქარევად გაკეთებული ორეული. მასეთები თავზე საყრელად არიან.

— აბა, აბა.

— მოკლედ, საფრანგეთის უდიდესი მწერალი მჭირდება. ისედაც დიდხანს ვიცადე. მერე ადგა და გავიდა. ჩემს სიცოცხლეში მაგისაზე მაგარი უკანალი არ მინახავს. აი, რანაირად უნდა აგიწეროთ, ვე-

რაფრით მოვახერხებ. ახლა თავი დამანებეთ, ამ უკანალზე უნდა ვიფიქრო.

3

მეორე დღეც გათენდა.

მე ჩემი გამოსვლა გავაუქმე პალმ-სპრინგსის სავაჭრო პალატის წინაშე. წვიმდა. წყალი ჩამომივიდა. ჭერში გამოატანა — წკაპ, წკუპ, წკაპ, წკუპ, წკაპ, წკუპ, წკაპ, წკუპ, წკაპ, წკუპ, წკაპ, წკუპ, წკაპ, წკუპ, წკაპ, წკუპ, წკაპ, წკუპ, წკაპ... კბილს კბილზე ვაცემინებდი, ეგ იყო, საკე მშველოდა ცოტა. მშველოდა რა, არ ვიყინებოდი თორე. 55 წლის კაცს წესიერი ჭერი არ მქონდა თავზე, რომ წვიმა არ ჩამომსვლოდა. სულ მაფრთხილებდა მამაჩემი, სადმე არკანზასში ვიღაცის პარმაღთან ამოგხდება სულიო. თუმცა მოიცდიდა ეგ საქმე. ავტობუსები ყოველდღე დადიოდნენ იქით. მაგრამ, ჯერ ერთი, ავტობუსები კუჭში მკრავენ, მეორეც, შანსი არ არი, მანდ აყროლებულწვერიან, მხვრინავ ბებრუხანებს არ გადაეყარო. ჯობდა, ისევ სელინის საქმისთვის მიმეხედა.

სელინი სელინი იყო თუ სხვა ვინმე? ეგ კი არა, ხანდახან მე ვინ ვიყავი, ის არ მახსოვდა. მოკლედ, მე ნიკ ბილეინი ვარ. ოღონდ ძალიანაც ნუ მენდობით. ხომ შეიძლება, უცებ ვიღაცამ დამიძახოს: “ეი, ჰარი! ჰარი მარტელ!” ჰოდა, სავსებით შესაძლებელია, მეც გავეპასუხო: “ჰო, რა იყო-მეთქი”. იმის თქმა მინდა, ნებისმიერი ვინმე შეიძლება ვიყო — რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვიქნები ან რა მერქმევა, თორე კი. რა უცნაური რამეა, არა, ცხოვრება?! ბეისბოლის გუნდში ყოველთვის ბოლო კაცად მირჩევდნენ, იცოდნენ, ისე მოვცხებდი იმ დედანაქაჩ ბურთს, დენვერი უკან მორჩებოდა. შურიანი ლაწირაკები იყვნენ და მეტი არაფერი.

ძალიან ნიჭიერი ვიყავი, ვიყავი რა, ვარ. ხანდახან საკუთარ ხელებს რომ დავხედავდი, ვხვდებოდი, შემიძლია, დიდი პიანისტი ან რამე ეგეთი გამოვიდე-მეთქი. არადა, რაზე ცდებოდნენ ეს ხელები? ყვერებს მფხანდნენ, ჩეკებს წერდნენ, თასმებს მიკრავდნენ, ტუალეტს რეცხავდნენ და ა.შ. და ა.შ. მეც ვიბანდი ხელებს, ტვინსაც ვირეცხავდი. ვიჯექი და მაწვიმდა.

დარეკა ტელეფონმა. საგადასახადოს ძველი ქვითრით გავამშრალე ყურმილი, ავიღე. — ნიკ ბილეინი გისმენთ, — ვუთხარი მე. ვაიდა, ჰარი მარტელი ვიყავი, მერე? — ჯონ ბარტონი გელაპარაკებათ, — მითხრა ხმამ.

— დიახ, რეკომენდაცია გაგიწევიათ, დიდი მადლობა.

— თვალყურს გადევნებთ ხოლმე. ნიჭიერი ხართ. ცოტა გაუთლელიც, მაგრამ ერთგვარად გიხდებათ კიდეც ეგ გაუთლელობა.

— სასიამოვნოა ამის მოსმენა. ცუდად მიდის საქმე.

— თვალყურს გადევნებდით. მოგვარდება ყველაფერი, ოღონდ ცოტაც უნდა გაუძლოთ. — მართალია. რით შემიძლია გემსახუროთ, მისტერ ბარტონ?

— წითელ ბეღურას ვეძებ.

— წითელი ბეღურა რაღა ჯანდაბაა?

— დარწმუნებული ვარ, არსებობს. ვიპოვო მინდა, თქვენ მინდა მიპოვოთ. — ხელჩასაჭიდი გაქვთ რამე?

— არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სადღაც აუცილებლად უნდა იყოს. — ამ ბეღურას სახელი არ ჰქვია, ჰო?

— რას გულისხმობთ?

— სახელს ვგულისხმობ. აი, ვთქვათ, ჰენრი, აბნერი, სელინი. — არა, ჩვეულებრივი წითელი ბეღურაა და მჯერა, მოახერხებთ პოვნას. — იაფი არ დაგიჯდებათ ეგ ამბავი, მისტერ ბარტონ.

— წითელ ბეღურას თუ მაპოვნინებთ, სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვე ას დოლარს გადაგიხდით.

— ჰმმ... მისმინეთ, მთელი ფული ახლავე რომ მომცეთ, არა?

— არა, ნიკ, გამაზავთ და წააგებთ მაგ ფულს სადმე.

— კარგი, მისტერ ბარტონ, ჩამაწერინეთ თქვენი ნომერი და მივხედავ საქმეს. ბარტონმა ჩამაწერინა ნომერი და მითხრა:

— მართლა დიდი იმედი მაქვს თქვენი, ბილეინ.

და ყურმილი დაკიდა.

მოკლედ, ამეწყო საქმე. აი, ჭერს კიდე სულ გასდიოდა და გასდიოდა. წვეთები ჩამოვიფერთხე, გადავკარი საკე, შევახვიე სიგარეტი, მოვუკიდე, ნაფაზი დავარტყი და ხველა ამიტყდა. დავიფარე ჩემი ყავისფერი შლაპა, ავტომოპასუხე ჩავრთე, ნელა მივედი კართან, გამოვაღე და მაკელვი არ დამხვდა? უზარმაზარი მკერდი ჰქონდა და ბეჭი ისეთი, იფიქრებდით, სამხრეები უდევსო.

— ქირის ვადა გაგივიდა, ბოზო! — მითხრა და გადმოაფურთხა, — მოვედი, უნდა გაგაჯმევინო!

თიმთიმა ღიპზე დავხედე, მძღნერის მთას ჰგავდა და ჩემმა მუშტმა დაყვინთა შიგნით. ორად მოკეცილს სიფათში მუხლი მივეცი. მაკელვი წაიქცა და გაგორდა. ფუუუ... გადავალაჯე, ჯიბიდან საფულე ამოვაცალე. ბავშვების პორნოგრაფიული სურათები ედო შიგნით, პოზებში.

თავიდან მოკვლა მომინდა, ამის მაგივრად საკრედიტო ბარათი "ოქროს ვიზა" ამოვიღე, პანჩური ამოვარტყი და ლიფტით დავეშვი დაბლა. რედს გავუვლი-მეთქი, ვიფიქრე. მანქანით როცა ვარ, სულ მაჯარიმებენ, უადგილო ადგილას ვაჩერებ და იმიტომ, აბა, ფასიანი სადგომის ფული სად მაქვს? მივდიოდი რედთან და დარდი შემომაწვა. ვინც დავბადებულვართ, სიკვდილი არც ერთს არ აგვცდება. ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს? რას ნიშნავს და დაბოდიალებ წინ და უკან

და ელოდები... იმ მთავარ "მატარებელს" ელოდები რა. ზიხარ ვეგასის სასტუმროს ნომერში აგვისტოს ერთ ცხელ საღამოს და დიდ ძუძუებს ელოდები. ელოდები, როდის ავა ვირი ხეზე. და დაბოდიალებ წინ და უკან.

რედი მაღაზიაში დამხვდა.

— ბედი შენ გქონია, — მითხრა, — მთვრალმა ჩინასკიმ გაგასწრო ფეხად. თავისი ახალი საფოსტო მარკებით წაიღო ტვინი.

— დაიკიდე, — ვუთხარი, — შენ ფოლკნერის ხელმოწერილი "სული რომ ამომდიოდა" ხომ გაქვს?

— რა თქმა უნდა.

— რა ღირს?

— 2 800 დოლარი.

— ვიფიქრებ...

იქვე ვიღაც ტიპი იდგა და "შინ ვეღარ დაბრუნდების" პირველ გამოცემას ფურცლავდა. — ბოდიში, — მითხრა რედმა და იმ ბიჭს მიუბრუნდა.

— შედე წიგნი თავის ადგილას და დაახვიე აქედან!

ყმაწვილი მხრებში იყო მოხრილი, მგრძნობიარე სახე ჰქონდა და ყვითელი რეზინის მოსასხამივით რაღაც ეცვა.

მან წიგნი თაროზე დადო, გვერდით ჩაგვიარა და ქუჩაში გავიდა, ცრემლით ავსებოდა თვალები. ამასობაში წვიმასაც გადაეღო. ყვითელი მოსასხამიც აღარაფერში სჭირდებოდა. რედმა შემომხედა.

— წარმოგიდგენია, შემოდიან აქ ეგეთები და ნაყინი უჭირავთ ხოლმე ხელში! — უარესებიც ხდება.

უცებ კიდევ ვიღაცას მოვკარი თვალი. უკან იდგა, სიღრმეში. სურათებიდან მეცნო. სელინი. სელინი?

ნელა წავედი მისკენ. ისე მივუახლოვდი, დავინახე, რას კითხულობდა. თომას მანის "ჯადოსნური მთა" იყო.

მანაც შემამჩნია.

— უჭირს ამ ტიპს, — მითხრა და წიგნი მაჩვენა.

— რა უჭირს? — ვკითხე.

— მოწყენილობა ხელოვნება ჰგონია.

მან წიგნი უკან შედო. იდგა თავისთვის და ძალიან ჰგავდა სელინს. კარგად დავაკვირდი.

— საოცარია, — ვუთხარი მე.

— რა?

— მკვდარი მეგონე.

იმანაც შემომხედა.

— მეც მკვდარი მეგონე, — მითხრა.

ვიდექით ასე და ვუყურებდით ერთმანეთს.

მერე რედის ხმა გავიგონე.

— ოე, — დაგვიღრიალა, — დაახვიე აქედან!

ჩვენ მეტი მაღაზიაში არავინ იყო.

— რომელს გვეუბნები? — ვკითხე მე.

— სელინს რომ ჰგავს, იმას! დაახვიე-მეთქი!

— რატომ, კი მაგრამ? — ვკითხე მე.

— კოჭებში ვატყობ, ვინ არის მყიდველი და ვინ — არა!

სელინი თუ ვინც იყო, კარისკენ წავიდა. მეც უკან გავყევი.

ბულვარისკენ დაუყვა გზას და გაზეთების კიოსკთან გაჩერდა.

ეს გაზეთების კიოსკი, რაც თავი მახსოვს, სულ ასე იდგა. გამახსენდა, ოცი-ოცდაათი წლის წინ სამ ბოზთან ერთად ვიყავი აქ.

სამივე ჩემთან ავიყვანე, ერთმა მაშინ ჩემს ძაღლს დაუნძრია. მაგრად იხალისეს. დალეულიც ჰქონდათ და კაიფშიც იყვნენ. მერე ერთი აბაზანაში შევიდა, წაიქცა, თავი უნიტაზს ჩამოარტყა და სისხლით მოთხვარა იქაურობა. ის საწოლში ჩავაწვინე, მე დანარჩენებს მივუჯექი, ბოლოს წავიდნენ. ის, ლოგინში რომ იწვა, ოთხ დღეს

დარჩა, ჩემს ლუდს სვამდა და გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ორი შვილი ყოლია, აღმოსავლეთ კანზას-სიტიში ცხოვრობდნენ თურმე და იმათზე ჰყვებოდა.

ეს კაცი, კიოსკთან რომ იდგა და ჟურნალს კითხულობდა, სელინი იყო ნეტა? ახლოს მივედი, დავინახე, "ნიუიორკერი" ეჭირა ხელში. მერე უკანვე დადო თაროზე და შემომხედა.

— ერთი ნაკლი აქვთ, — მითხრა.

— რა ნაკლი?

— ჟურნალისტებმა წერა არ იციან. არც ერთმა არ იცის.

ზუსტად ამ დროს ტაქსიმ ჩაგვიარა.

— ჰეი, ტაქსი! — დაუძახა სელინმა.

მძღოლმა დაამუხრუჭა, შავი კარი გაიღო, ამან ისკუპა მანქანისკენ და შიგ შეხტა. — ჰეი! — დავუძახე მე, — რაღაც მინდა გკითხო!

ტაქსი ჰოლივუდის ბულვარისკენ გაქანდა. სელინი ფანჯრიდან გადმოიწია, ხელი გადმოყო და შუათითი დამანახვა. მერე თვალს მიეფარა.

ბოლო ათ წელიწადში, მგონი, პირველად ვნახე ტაქსი აქ, ცარიელ ტაქსის ვგულისხმობ, გაჭიმული რომ დაჯდები შენ გემოზე, ისეთს. წვიმამ კი გადაიღო, მაგრამ ტკივილს არ გაუვლია.

თან უკვე აგრილდა და ჰაერში ისეთი სუნი დადგა, თითქოს ყველამ ერთდროულად ჩაისვარაო.

მოვიბუზე და მუსოსკენ დავაწექი.

ჯიბეში "ოქროს ვიზა ბარათი" მედო. ცოცხალი ვიყავი. მგონი, ნიკ ბილეინადაც კი ვიგრძენი თავი.

მოვდიოდი და ერიკ კოატსის მელოდიას ვუსტვენდი.

კაცი თვითონ რომ მოიწყობ ჯოჯოხეთს, ტყუილია, ისეთს სხვა ვერ გიზამს.

4

სელინის მოძებნა ვებსტერის ლექსიკონში ვცადე. 1891-1961 წლებში უცხოვრია. ახლა 1993 წელი იდგა. ცოცხალიც რომ ყოფილიყო, იქნებოდა კაი 102 წლის. თუმცა არ გამკვირვებია, მას ხომ ქალბატონი სიკვდილი ეძებდა.

ის კაცი, წიგნის მაღაზიაში რომ ვნახე, 40-50 წლისას ჰგავდა. ესე იგი, სელინი არ გამოდიოდა. ან რაღაც მეთოდი ჰქონდა ნაპოვნი სიბერის დასამარცხებლად და ეგ იყო. აი, მაგალითად, კინოვარსკვლავები ავიღოთ, ტრაკიდან იჭრიან კანს და სახეზე იწებებენ. ტრაკზე ყველაზე გვიან ჩნდება ნაოჭები და იმიტომ. მერე, სიბერეში, ყველანი ასე — დუნდულებიანი სახით — დადიან. სელინი იზამდა ამას? ნეტა ვის რა ჯანდაბად უნდა 102 წელი ცხოვრება? სულელის მეტს ვის მოუნდება? რაში დაჭირდებოდა სელინს ამდენ ხანს სიცოცხლე? რა სიგიჟეა. ქალბატონი სიკვდილი უბერავს ცოტას. მეც ვერ ვარ დალაგებული. ავიაკომპანიის პილოტებიც გიჟები იყვნენ. არასდროს არ უნდა შეხედო პილოტს. შედი თვითმფრინავში, შეუკვეთე სასმელი და მორჩა.

ორმა ბუზმა ჩემ თვალწინ დაიწყო ჟიმაობა. გადავწყვიტე, ქალბატონ სიკვდილს დავურეკავ-მეთქი. მაღაზია გავიხსენი და დავუწყე ლოდინი, როდის მიპასუხებდა. — გისმენთ, — გავიგონე მისი ხმა.

— უმმმ.

— რა? აა, თქვენ ხართ, ბილეინ... როგორ მიდის საქმე?

— სელინი მკვდარია. 1891 წელს არის დაბადებული.

— სტატისტიკაში ვერკვევი, მისმინეთ, ბილეინ, ვიცი, რომ ცოცხალია... და სადღაც არის... მაღაზიაში რომ კაცი ნახეთ, ის იქნებოდა. რამე ხომ არ გაგირკვევიათ? ძალიან მჭირდება ეგ ტიპი. ძალიან.

— უმმმ... — ვთქვი მე.

— შეიკარი მაღაზია!

— ჰა?

— მაღაზია შეიკარი-მეთქი, დეგენერატო, გეუბნები!

— კარგი ხო, შევიკრავ...

— დამამტკიცებელი საბუთი მჭირდება, ნამდვილად არსებობს თუ არა ეს ადამიანი! მე გითხარით უკვე, ჭკუა მაქვს გადაკეტილი ამ საქმეზე. ბარტონმა რეკომენდაცია გაგიწიათ, ასე თქვა, ერთ-ერთი საუკეთესოაო.

— ჰო, სხვათა შორის, ახლა ბარტონის საქმეზეც ვმუშაობ. წითელ ბეღურას ვეძებ, რამე ხომ არ იცით ამაზე?

— მისმინე, ბილეინ, სელინის ამბავს თუ გამირკვევთ, გეტყვით, სად არის წითელი ბეღურა.

— რას ამბობთ, მართლა, ქალბატონო? ყველაფერს გავაკეთებ თქვენთვის! — მაგალითად, რას, ბილეინ?

— მოკლედ, მე თქვენ გამო ჩემს მოშინაურებულ ტარაკანს მოვკლავ. ქამრით ვცემდი დედაჩემს, აქ რომ იყოს...

— გეყოთ ყბედობა! ზოგჯერ ეჭვი მეპარება, ბარტონმა ხომ არ გამაცურა-მეთქი! თქვენთვისვე აჯობებს, ცოტა ხელი გაანძრიოთ! თორემ თუ სელინზე ყველაფერს არ გაარკვევთ, ჩემთან გექნებათ საქმე!

— ქალბატონო, დაიცადეთ!

ყურმილი დამიკიდა. მეც დავკიდე.

ეჰ, ეს ქალი ნაღდად არ დამინდობდა.

საქმეს უნდა შევდგომოდი.

ბუზს დავუწყე ძებნა, უნდა მომეკლა.

უცებ კარი გაიღო და მაკელვი შემოვიდა, დარეხვილ ნეხვის გროვასთან ერთად იყო. ჯერ მე შემომხედა, მერე იმ არსებას დაუქნია თავი.

— ეს ტომია.

ტომიმ პატარა, ამღვრეული თვალებით შემომხედა.

— სასიამოვნო გაცნობა, — მითხრა მან.

მაკელვი საზარლად გაიკრიჭა.

— მოკლედ, ბილეინ, ტომი აქ იმისთვის მოვიდა, რომ მიგბეგვოს და ქათმის სკინტლისოდენა სისხლიან ნაგლეჯებად გაქციოს. ხო ასეა, ტომი? — ხო, აბა რა, — დაუდასტურა იმანაც.

ტიპი 170 კილოს მაინც იწონიდა. ნუ, თუ გაპარსავდით, 160-მდე ჩამოვიდოდა. კეთილად გავუღიმე.

— მომისმინე, ტომი, შენ მე ხომ არ მიცნობ?

— აჰაა.

— აბა, რას მერჩი?

— მაკელვიმ მითხრა, გალახეო.

— ტომი, მისტერ მაკელვიმ რომ გითხრას, შენი ნაფსამი დალიეო, დალევ? — ეე, გეყო! — მითხრა მაკელვიმ, — ნუ აბნევ ჩემს ბიჭს!

— ტომი, დედაშენის მძღნერსაც შეჭამ, მისტერ მაკელვი თუ გიბ-რძანებს? — აა?

— მოკეტე, ბილეინ, აქ მე ვიძლევი ბრძანებებს.

და მაკელვი ტომის მიუბრუნდა.

— მინდა, ეს კაცი ძველი გაზეთივით დაანაკუწო და მერე ნაგლე-ჯები ქარს გაატანო, გაიგე? — გავიგე, მისტერ მაკელვი.

— ჰოდა, რას ელოდები, ზაფხულის უკანასკნელ ყვავილს ხომ არა? ტომიმ ჩემკენ გამოიწია. უჯრიდან იარაღი ამოვიღე და მის უზარმაზარ სხეულს დავუმიზნე.

— არ გაინძრე, ტომი, თორემ ისე გაგაწითლებ, სტენფორდელი ფეხბურთელების ფორმა მონაგონი იქნება.

— ჰეი, — თქვა მაკელვიმ, — ეს სადღა ჯანდაბიდან მოიტანე?

— უიარაღო მაძებარი პრეზერვატივიან კატას ჰგავს ან უისრებო საათს კიდევ. — ბილეინ, — თქვა მაკელვიმ, — სისულელეს ლაპარაკობ.

— ვიცი, ბევრჯერ უთქვამთ. ახლა უთხარი ამ შენს ბიჭს, დაახვიოს აქედან, თორემ იმხელა ნახვრეტს დავადებ, რომ გრეიპფრუტი გაეტევა შიგნით.

— ტომი, — თქვა მაკელვიმ, — გამოიწიე აქეთ, ჩემ წინ დადექი. ტომი დაემორჩილა. სასწრაფოდ უნდა მომეფიქრებინა, რა მომეხერხებინა მათთვის. არ იყო იოლი საქმე. ოქსფორდში სტიპენდია არასდროს მიმიღია. ბიოლოგიაზე მეძინა და მათემატიკაში სუსტი ვიყავი. მაგრამ დღემდე მაინც მოვიტანე თავი. მე მგონი.

ხელში ტუზი მეჭირა. ჩემი ჩამოსვლა იყო. ან ახლა, ან არასოდეს. სექტემბერი მოდიოდა მალე. ყვავები საბჭოში იყვნენ. მზე სისხლისგან იცლებოდა.

— აბა, ტომი, დადექი ოთხზე! დროზე!

ისეთი სახით შემომხედა, ნაღდად იფიქრა, მომესმაო.

ცივად გავუღიმე და ლუგერის სასხლეტს გამოვკარი თითი.

ტომი შტერი კი იყო, მაგრამ ასეთიც არა.

ეგრევე ოთხზე დაენარცხა და მთელი მეექვსე სართული ისე შეაზანზარა, იფიქრებდით, უეჭველი 5,9-ბალიანი მიწისძვრა მოხდაო. ოთახში დალის ყალბი სურათი მეკიდა და ძირს ჩამოვარდა. აი, ის, გამდნარი საათი რომ ხატია ზედ.

ტომი იდგა წაჩოქილი და თვალს არ მაშორებდა.

— ყური მიგდე, ტომი, — ვუთხარი მე, — შენ სპილო იქნები და მაკელვი კიდე შენი მწყემსი ბიჭი, გესმის?

— ჰა?

მაკელვის შევხედე.

— მიდი, მიდი! აძვერი!

— ბილეინ, გადაირიე?

— რა ვიცი, აბა, სიგიჟე პირობითი რამეა. ვინ არის ნორმალური საერთოდ? — მე რა ვიცი, — თქვა მაკელვიმ.

— მიდი დროზე, აძვერი!

— კარგი, კარგი! ეს რა შარს გადავეყარე.

— აძვერი-მეთქი, ნაბიჭვარო!

მაკელვი ტომის ზურგზე აახოხდა. ფეხები აქეთ-იქიდან გაჭირვებით შემოაწყო. კინაღამ ტრაკი გაერღვა.

— კარგია, — ვთქვი მე, — ტომი, ხომ არ დაგავიწყდა, სპილო რომ ხარ? ასე ზურგით უნდა ატარო მაკელვი ლიფტამდე დერეფანში. წავიდა!

ტომი ხოხვა-ხოხვით წავიდა კარისკენ.

— ბილეინ, — მითხრა მაკელვიმ, — სამაგიეროს გადაგიხდი, იცოდე. დედიჩემისას გეფიცები!

— კიდევ გადამეყრები, მაკელვი, ჰოდა, მოგაჭრი მაგ ყლეს და ნაგავსაყრელზე გადავაგდებ.

კარი გავუღე და ტომი გარეთ გახოხდა თავის მწყემსიანად.

უკვე დერეფანში რომ მიხოხავდა, ლუგერი ქურთუკის ჯიბეში ჩავიდე. ხელში რაღაც მომხვდა, დაჭმუჭნილი ქაღალდის ნაგლეჯი. ამოვიღე. გამოცდის ფურცელი იყო, მართვის მოწმობის ტესტები გადავაბარე. წითელი ხაზებით იყო აჭრელებული. ჩავიჭერი. უკან მოვისროლე და მეგობრებს გავყევი.

მივედით ლიფტთან და ღილაკს დავაჭირე თითი.

სანამ ლიფტი მოვიდოდა, ვიდექი და "კარმენიდან" ნაწყვეტს ვუსტვენდი. მერე საიდანღაც გამახსენდა, დიდი ხნის წინ წავიკითხე, როგორ იპოვეს ჯიმი ფოქსი მკვდარი იაფფასიანი სასტუმროს ნომერში. რამხელა ბეისბოლისტი იყო და ტარაკნებმა არ მოუღეს ბოლო?!

ლიფტი მოვიდა. კარი რომ გაიღო, ტომის პანჩური ამოვარტყი. შებობღდა შიგნით, მაკელვიც შეათრია. სამი კაცი იყო ლიფტში, გაზეთებს კითხულობდნენ. კითხვა არ შეუწყვეტიათ. ლიფტი დაიძრა.

მე კიბეზე დავეშვი. 15 კილო მქონდა მომატებული. წონა უნდა დამეგდო. 176 საფეხური დავთვალე და პირველ სართულზეც ჩამოვედი. მივედი სიგარების ჯიხურთან, სიგარა და "დღის ყოველდღიური პროგრამა" ვიყიდე. მესმოდა, როგორ ჩამოდიოდა ლიფტი.

გარეთ ნისლში მტკიცე ნაბიჯით დავუყევი გზას. თვალები ცისფერი მქონდა, ფეხსაცმელი — ძველი და არც არავის ვუყვარდი ამქვეყნად, მაგრამ სამუშაო მელოდებოდა.

მე ნიკ ბილეინი ვიყავი, კერძო დეტექტივი.

5

საუბედუროდ, იმ დღეს ბევრი ვიარე თუ ცოტა, ბოლოს დოღზე აღმოვჩნდი, საღამოს კი გვარიანად დავლიე. მაგრამ დრო ტყუილად არ დამიკარგავს, ვფიქრობდი და ფაქტებს ვაანალიზებდი. ყველაფერი ჩემს ხელში იყო. თავსატეხის ამოხსნა რომ ნებისმიერ დროს შემეძლო, ეს ნამდვილად ვიცოდი.

6

მეორე დღეს ოფისში შევიარე. ბოლოს და ბოლოს, მაძებარს უოფისოდ რა ფასი აქვს. კარი გავაღე და ვის ვხედავ ჩემს მაგიდასთან?

არა, სელინს არა. არც წითელ ბეღურას. მაკელვის.

ყალბად გამიღიმა.

— დილა მშვიდობისა, ბილეინ, ყვერები რას გიშვება?

— რაში გაინტერესებს? ჩახედო გინდა?

— არა, გმადლობთ.

მაკელვიმ თავი მოიქექა და დაამთქნარა.

— მოკლედ, ნიკ, ჩემო ბიჭო, საიდუმლო მფარველი გყოლია, მთელი წლის ქირა გადაგიხადა.

“ქალბატონი სიკვდილი გეთამაშება”, — ჩამძახა ხმამ.

— ნაცნობია ვინმე? — ვკითხე მე.

— დედაჩემის პატიოსნება დავიფიცე, კრინტს არ დავძრავ-მეთქი. — დედაშენის პატიოსნება? მაგის ხელში ინდაურის იმდენ კისერს გაუვლია, ყველა ყასაბი მიმიქარავს.

მაკელვი წამოდგა.

— დაიკიდე რა, თორე დაგენძრევა.

— დედაჩემზე ეგრე ნუ ლაპარაკობ.

— როგორ ვლაპარაკობ? ნახევარი ქალაქი მაგან დაავაჟკაცა.

მაკელვიმ გამოიწია.

— მოდი ერთი, მოდი, ეგ თავი ტრაკში უნდა გაგთხარო.

გაჩერდა. როცა გაბრაზებული ვარ, ჯობია, ახლოს არავინ გამეკაროს. — გვეყო, — ვთქვი მე, — მოყევი, მიდი. ეს ჩემი მფარველი... ქალია, ჰო? — კი, კი, ქალია, ეგეთი წიწკვი ცხოვრებაში არ მინახავს.

თვალები დაბინდული ჰქონდა, პრინციპში, სულ მასე არ იყო?

— კაი რა, მაკ, მოყევი რა, თქვი რამე...

— არ შემიძლია. შევპირდი. დედაჩემის პატიოსნება დავიფიცე. — ღმერთო ჩემო, — ამოვიოხრე მე, — კაი, კაი, აახვიე აქედან, ქირა ხო აიღე, რაღა გინდა?! მაკელვი კარისკენ წაფრატუნდა. გზაში გამომხედა მარცხენა მხარს ზემოდან. — კარგი, — მითხრა მან, — ნუ მოტიტყნი აქაურობას. წვეულებები, ზარის თამაში და ეგეთი მძღნერობები არ დავინახო. ერთი წელი გაქვს კიდე.

კართან მივიდა, გააღო, გაიხურა და გაქრა.

7

მოკლედ, დავბრუნდი ოფისში. საქმისთვის უნდა მიმეხედა. ტელეფონი ავიღე და ჩემს ბუკმეკერს დავურეკე.

— "ტონის პიცა გამოძახებით" გისმენთ, — მიპასუხა იმან, — რით შემიძლია გემსახუროთ? ჩემი კოდური სახელი ვუთხარი.

— ნელი სიკვდილი ვარ.

— ბილეინ, 475 დოლარი გაქვს ჩემი ვალი, შენს ფსონს ვერ მივიღებ. ჯერ ძველი გადაიხადე.

— 25-ს ვდებ, 500-ს ვიგებ, თუ ვაგებ, მაინც სრულად გიხდი, დედაჩემის პატიოსნებას ვფიცავარ.

— ბილეინ, დედაშენს 230 დოლარი აქვს უკვე ჩემი ვალი.

— ჰო? დედაშენს კიდე მეჭეჭები აქ ტრაკზე.

— რაო? მომისმინე, ბილეინ, შენ იყავი?..

— არა, არა, მე არა. სხვა იყო, იმან მითხრა.

— კაი, მაშინ.

— მოკლედ, 25 დოლარს ვდებ დამწვარ პეპელაზე, მეექვსე გარბენში. — კაი, მიღებულია. წარმატებები. კაი ხანია გჭირდება ისე.

დავკიდე ტელეფონი. ამის დედა ვატირე, კაცი იბადები და ყოველი გოჯისთვის უნდა იომო, ყველა წაღლეტაზეა. ამდენს იბრძვი, იბრძვი და მაინც უნდა მოკვდე ბოლოს. ბევრი ვიფიქრე ამაზე, ვფიქრობდი და ვფიქრობდი.

მერე გადავწექი სავარძელში, მაგრად მოვქაჩე, გავაბოლე და ლამის იდეალური რგოლიც გამოვუშვი.

8

ლანჩის მერე ოფისში წასვლა გადავწყვიტე. კარი რომ გამოვაღე, ჩემს მაგიდასთან ვიღაც ბიჭი დამხვდა. მაინცდამაინც არ ჰგავდა მაკელვის. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო. საერთოდ, ხალხს მოსწონდა ხოლმე ჩემს მაგიდასთან ჯდომა. იმ სკამზე გამოჭიმულს გვერდით კიდე ერთი ტიპი ედგა. უსიამოვნო სახეები ჰქონდათ, მშვიდი, მაგრამ უსიამოვნო.

— მე დანტე ვარ, — თქვა იმან, სკამზე წამომჯდარმა.

— მე ფანტე, — დაამატა ფეხზე მდგომარემ.

ხმა არ ამომიღია. თვალს ვაჩვევდი სიბნელეს მეთქი, რაშია საქმე. ზურგში სიცივემ დამიარა და ჭერში გავარდა.

— ტონიმ გამოგვგზავნა, — მითხრა სკამზე გამოჭიმულმა.

— არავითარ ტონის არ ვიცნობ. ჯენტლმენებო, მგონი, მისამართი შეგეშალათ. — კი, როგორ არა, — გამომეპასუხა მდგომარე.

დანტემ კიდე:

— დამწვარმა პეპელამ წააგო.

— სტარტზევე მოისროლა ჟოკეი.

— მეკაიფებით.

— რას გეკაიფებით, მტვერს ჰკითხე, თუ არ გჯერა.

— არ დაჯდა შენი ბილეთი.

— ტონიმ გვითხრა, ხუთასი დოლარი გამოგატანოთო, — დაამატა ფანტემ. — ა, ეგ, ჰო, — ვუთხარი მე, — მანდ მიდევს...

და მაგიდისკენ გავიწიე.

— ე, ე, მშვიდად, სირო, — გაიცინა დანტემ, — აგეხა ეგ წყლის პისტოლეტი. დავიხიე უკან.

— მოკლედ, — მითხრა ფანტემ, — მგონი, მიხვდი, რომ ძველებურად ვეღარ იბლატავებ, ჯერ ტონის ფული მოიტა და მერე. — სამი დღე მომეცით...

— სამ წუთს გაძლევთ, — მითხრა დანტემ.

— ბიჭებო, რიგრიგობით რატო ლაპარაკობთ? ჯერ დანტე, მერე ფანტე, მერე ისევ დანტე, მერე ისევ ფანტე, რიტმს არასდროს არ არღვევთ ხოლმე? — მგონი, შენ გაგარღვევთ ახლა, — ერთად მითხრა ორივემ.

— ხო შეგძლებიათ, — ვუთხარი მე, — დუეტში მაგრად გამოგდით. — მოკეტე, — მიპასუხა დანტემ, ამოიღო სიგარეტი და პირში გაირჭო, — მმმ, სანთებელა დამრჩა სადღაც, მოდი ერთი, ნაბიჭვარო, მომიკიდე.

— ნაბიჭვარო? საკუთარ თავს ელაპარაკები?

— არა, შენ გეუბნები, ნაბიჭვარო, მოდი აქ, მომიკიდე დროზე! სანთებელა ამოვიღე, მივედი და ცხვირწინ დავუდექი, ეგეთი მახინჯი სიფათები ჩემს დღეში არ მინახავს. სანთებელა ავანთე და სიგარეტს მოვუკიდე. — ყოჩაღ, ბიჭი, — მითხრა დანტემ, — ახლა მოკიდე ამას ხელი და ანთებული მხრიდან ჩაიდე პირში, სანამ არ გეტყვი კიდე, არ გამოიღო.

— ო, ჰო, ჰო, ჰო.

— ან ჩაიდებ, ან იმხელა ნახვრეტს დაგადებთ, დისნეილენდის ელფები თავისუფლად ჩამოუვლიან შიგნით.

— მოიცათ ერთი წუთი...

— თხუთმეტი წამი გაქვს... — დანტემ ამოიღო წამმზომი და დააყენა, — დავიწყეთ, 14, 13, 12, 11... — ღადაობთ?!

— 10, 9, 8, 7, 6, 5, 4, 3...

გავიგონე, როგორ გაიჩხაკუნა დამცველმა.

რა მექნა, გამოვუღე პირიდან დანტეს ანთებული სიგარეტი და ჩავიდე უკუღმა. რაც შემეძლო, მოვიგროვე ნერწყვი და ვცდილობდი, ენა განზე გამეწია, მაგრამ არ გამოვიდა არაფერი, დავიწვი მაინც, მაგრად დავიწვი. გავაფრინე კინაღამ!!! საძაგლობა იყო, თან მტკივნეული! ხველა ამიტყდა და გადმოვაფურთხე სიგარეტი.

— ეე, ხო გაგაფრთხილე, იქამდე გედოს პირში, სანამ მე არ გეტყვი, გამოიღე-მეთქი. მიდი, მიდი, დავიწყეთ თავიდან. — წადი შენი, აქ ვარ და მომკალი თუ გინდა.

— კარგი, — მითხრა დანტემ.

მერე უცებ კარი გაიღო და ქალბატონი სიკვდილი შემოვიდა. ისეთი გამოპრანჭული იყო, დავინახე თუ არა, პირის ტკივილმა ეგრევე გამიარა. — ვა, რა ნაშაა, — გაუხარდა დანტეს, — ამას იცნობ, ბილეინ? — შევხვედრივარ.

ქალი მივიდა სკამთან, დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, კაბა მაღლა აეწია, აუ, ფეხები ქონდა, თვალებს არ ვუჯერებდით. ადრე კი მენახა, მაგრამ ახლა გავშტერდი. — ეს კლოუნები ვინ არიან? — მკითხა.

— ერთი ტიპის ემისრები არიან, ტომი ჰქვია.

— გაყარე მერე, შენი კლიენტი მე ვარ.

— ჰოდა, ბიჭებო, — მივუბრუნდი იმათ, — თქვენი წასვლის დროა. — ჰოო? — მითხრა დანტემ.

— ჰოო? — გაიმეორა ფანტემ.

მერე სიცილი აუტყდათ. უცებ გაჩერდნენ.

— მაგრად ღადაობს, — თქვა ფანტემ.

— ჰო, — დაეთანხმა დანტე.

— მე მივხედავ ამათ, — თქვა ქალბატონმა სიკვდილმა.

და დანტეს მიაშტერდა, მერე უცებ გადაიხარა მისკენ. ტიპი გაფითრდა. — ვაიმე, — ძლივს ამოღერღა, — რაღაც ვერ ვგრძნობ თავს

კარგად... სულ ფერფური გადასდიოდა, ჯერ გათეთრდა, მერე გაყვითლდა.

— ცუდად ვარ, აუ, რა ცუდად ვარ...

— თევზის ჩხირებმა ხო არ გაწყინა, — ჰკითხა ფანტემ.

— ჩხირები, ვირები, არ ვიცი, წავედით აქედან! ექიმი უნდა ვნახოთ. ფანტეს ჯერიც დადგა, იმანაც:

— ვაიმე, თავბრუ როგორ მეხვევა... რა ჯანდაბაა... შუქი თვალებს მჭრის... სად ვარ... და ფანტე კარისკენ დაიძრა, დანტეც მიჰყვა. კარი გამოაღეს და ნელ-ნელა გაუყვნენ დერეფანს, გავედი მეც და დავინახე, როგორ შევიდნენ ლიფტში. სანამ კარი არ დაიკეტა, თვალი არ მომიშორებია. საშინელი სანახავები იყვნენ. აი, უსაშინლესი. მერე ოთახში დავბრუნდი.

— მადლობა, ბეწვზე გადამარჩინეთ...

მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ქალი წასული დამხვდა. მაგიდის ქვეშ შევიხედე. ნწუ, არავინ იყო. სააბაზანოში შევყავი თავი. იქაც — არავინ. ფანჯარა გამოვაღე და ქუჩაში გადავიხედე, არც იქ. არა, ხალხის მეტი რა დადიოდა, მაგრამ ჩემი სტუმარი არ ჩანდა. ნახვამდისო, მაინც ეთქვა. არა, დიდებული სტუმრობა კი გამოუვიდა. უკან მივბრუნდი, მაგიდას მივუჯექი, ტელეფონი ავიღე და ტონის დავურეკე. — გისმენთ. ეს...

— ტონი, ბატონი ნელი სიკვდილი ვარ.

— რაა? შენ კიდე ლაპარაკის თავი გაქ?

— მაქ და ეგრე?! ტონი, ცხოვრებაში უკეთესად არ ვყოფილვარ. — ვერაფერი გავიგე...

— შენმა ბიჭებმა შემომიარეს, ტონი...

— ჰოო? აჰა.

— ამჯერად იოლად გადამირჩნენ, კიდე ერთხელ გამომიგზავნი და თვალით ვეღარ ნახავ. მესმოდა, როგორ სუნთქავდა ტონი —

ღრმად, შეშფოთებით. მერე გამითიშა. ხელმარცხნივ ბოლო უჯრა გამოვაღე, სკოჩის ბოთლი ამოვიღე, გავხსენი და გადავკარი. ბილეინს დაადექით, ძმაო?! ჰოდა, მაგიტომაც მოგეკითხათ. ჰე, აბა რა გეგონათ. ბოთლს თავი დავახურე, უკან, უჯრაში ჩავდე და გავიფიქრე, აწი რაღა ვქნა-მეთქი. მაგრამ კარგ კერძო დეტექტივს საქმეს რა გამოულევს. ეგ ამბავი ფილმებშიც გექნებათ ნანახი.

9

კარზე დააკაკუნეს, ერთხელ კი არა, ხუთჯერ, სწრაფად, ძლიერად, დაჟინებით. კაკუნით ვხვდები, ვინ რისთვისაა მოსული და, თუ დაკაკუნებული არ მომეწონა, საერთოდ არ ვაღებ ხოლმე კარს. ამჯერად მთლად ცუდს არ მიგრძნობდა გული.

— შემოდით, — გავძახე.

კარი გაიღო და კაცი შემოვიდა, ორმოცდაათს გადაცილებული, საშუალო შეძლების, ცოტა ნერვიული, დიდფეხება, ყავისფერთვალება, შუბლზე მეჭეჭით, ჰალსტუხით. ორი მანქანა, ორი სახლი, შვილები არ ჰყავს. აუზი, სპა, ბირჟაზე თამაშობს და ნაღდი დებილია.

იდგა ფეხმოუცვლელად, ხვითქი გადასდიოდა და თვალს არ მაშორებდა. — დაბრძანდით, — შევთავაზე.

— ჯეკ ბასი ვარ, — მითხრა მან, — და...

— ვიცი.

— საიდან?

— თქვენ გგონიათ, რომ ცოლი გღალატობთ, ერთთან ან შეიძლება რამდენიმესთანაც. — დიახ.

— ოც წელზე ცოტა მეტის არის.

— დიახ. მინდა, დაამტკიცოთ, რომ მღალატობს და მერე გავეყრები. — თავს რატო იტანჯავთ, ბას? გაეყარეთ პირდაპირ.

— მინდა დავრწმუნდე, რომ მართლა...

— რა ძალა გადგათ. ფულს მაინც ყველა შემთხვევაში წაიღებს. სხვა დრო მოვიდა, რას იზამთ.

— რას გულისხმობთ?

— არ გაგიგიათ, განქორწინება ბრალდებების გარეშე? მაგ დროს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ვის უღალატა.

— როგორ?

— მართლმსაჯულებას უწყობს ხელს, სასამართლო პროცესს ამარტივებს. — ამას ეძახით მართლმსაჯულებას?

— ისინი ეძახიან.

ბასი დაჯდა სკამზე, მძიმედ სუნთქავდა და თვალს არ მაშორებდა. სელინის საქმე მქონდა მოსაგვარებელი, წითელი ბეღურა უნდა მეპოვა, არადა, ახლა ცხვირწინ ეს თონთლო ბუშტი მეჯდა, ცოლს მიბურღავენო, აღელვებული იყო.

მერე:

— მარტო სიმართლის გარკვევა მინდა, მარტო გარკვევა, მეტი არაფერი. — იაფი არ დაგიჯდებათ.

— მაინც?

— საათი ექვსი დოლარი.

— მგონი, არც ისე ძვირია.

— რავი. ცოლის ფოტო გაქვთ?

ჩაძვრა საფულეში, ამოიღო ერთი ცალი და გამომიწოდა.

დავხედე.

— აუ! ნაღდად ეს არი?

— დიახ.

— ე, ამიდგა.

— ენა ნუ დაიგრძელეთ.

— ო, უკაცრავად... მაგრამ ეს ფოტო ჩემთან რჩება. მოვრჩები საქმეს, დაგიბრუნებთ. და საფულეში ჩავიდე.

— ცოლი ისევ თქვენთან ცხოვრობს?

— დიახ.

— თქვენ მუშაობთ.

— დიახ.

— და ზოგჯერ, როცა...

— დიახ.

— და საიდან დაასკვენით, რომ...

— ნიშნები, ტელეფონის ზარები, ჩვევები შეიცვალა, ათასი რამე კიდევ. ბლოკნოტი მივუჩოჩე.

— მისამართები დამიწერეთ, სახლის, სამსახურის, ტელეფონებიც, ორივესი. მანდედან მოვყვები. ჩავავლებ, დედას ვუტირებ, გავარკვევ ყველაფერს. — რაო?

— ყველაფერს მივხედავ-მეთქი, მისტერ ბას. როცა დრო იქნება, საქმის ვითარებას დეტალურად გაგაცნობთ.

— რა ვითარებას? მისმინეთ, ხომ კარგად ხართ?

— კი, გადასარევად, თქვენ?

— მეც.

— ჰოდა, ნუ იჯავრებთ ნურაფერს. ჩემი იმედი გქონდეთ, ხო გითხარით, ჩავავლებ, დედას ვუტირებ.

ბასი ნელა წამოდგა სკამიდან და კარისკენ წავიდა, მერე გაჩერდა: — ბარტონმა მირჩია თქვენი თავი.

— მაგას რა ჯობია. აბა, კარგად იყავით, მისტერ ბას.

მისტერ ბასმა კარი გაიხურა და გავიდა. ჯიგარია ბარტონი.

საფულიდან ქალის ფოტო ამოვიღე, დავჯექი და დავუწყე თვალიერება. ძუკნა ხარ-მეთქი, გავიფიქრე, აუ, რა ძუკნა ხარ.

ავდექი, კარი გადავკეტე, ყურმილი გადავდე. მერე მივუჯექი მაგიდას და ფოტოს ყურება გავაგრძელე.

შე ძუკნა-მეთქი, ვფიქრობდი, დაგენძრა, ჩაგავლებ. და-გენ-ძრა! ხო არ გგონია დაგინდობ! ფაქტზე დაგიჭერ! დაგიჭერ! შე ბოზო, ბოზო, შე ძუკნა!

სუნთქვა გამიხშირდა. დუქანი ჩავიხსენი და მიწისძვრაც დაიწყო. გავაგდე ფოტო და შევძვერი მაგიდის ქვეშ. მაგრად შეგვაზანზარა. 6 ბალი იყო, ალბათ. ასე მეგონა, რამდენიმე წუთს მაინც გაგრძელდა-მეთქი. მერე უცებ გაჩერდა. ძლივს გამოვხოხდი მაგიდის ქვეშიდან, დუქანი კიდე ჩახსნილი მქონდა. მოვძებნე ფოტო, ისევ უკან, საფულეში ჩავაბრუნე. მაღაზია შევიკარი. სექსი — მახეა, ხაფანგია. მხოლოდ ცხოველებისთვის. იმდენი ტვინი კი მაქვს, რომ მაგაზე არ წამოვეგო. ყურმილი თავის ადგილას დავაბრუნე, კარი გავაღე, გამოვედი, გამოვიკეტე და წავედი ლიფტისკენ. საქმე მქონდა. მთელ ლოს-ანჯელესსა და ჰოლივუდში მაძებარი ვერ მჯობნიდა. მივაჭირე ღილაკს თითი და დაველოდე, როდის ამოვიდოდა ეს ოხერი ლიფტი.

10

მთელ დანარჩენ დღეს და ღამეს გამოვტოვებ, არაფერი მომხდარა საერთოდ, სალაპარაკოდაც არ ღირს.

11

მეორე დილით, 8 საათზე, მივაყენე ჩემი “ფოლკსვაგენი” ჯეკ ბასის სახლთან. ნაბახუსევზე თავი მისკდებოდა და “ლოს-ანჯელეს ტაიმსი” გადავშალე, წავიკითხავ- მეთქი.

მოკლედ, მივქექ-მოვქექე რაღაცები. ბასის ცოლს სინდი ერქვა, სინდი ბასი, ქალიშვილობაში — სინდი მეიბელი. გაზეთებიდან რაც ამოვკრიბე, ეს იყო — 1990 წელს სინდიმ პატარა კონკურსი მოიგო და “მის ცხარე სოუსი” გახდაო; იყო მოდელი, შიგადაშიგ მსახიობობდა და პიანინოზე დაკვრას სწავლობდა, იტაცებდა თხილამურებზე დგომა, ბეისბოლი და პოლო; საყვარელი ფერი — წითელი; საყვარელი ხილი — ბანანი. თვალის მოტყუება უყვარდა კიდევ, ბავშვებიც, ჯაზიც. კანტს კითხულობდა, არ ვღადაობ, და ა.შ. და ა.შ. ჯეკ ბასი ლას-ვეგასში გაეცნო, რულეტის მაგიდასთან. ორ ღამეში დაქორწინებულიყვნენ.

დაახლოებით დილის 8:30-ზე ჯეკ ბასმა უკუსვლით გამოიყვანა საკუთარი “მერსედესი” და თავისი მოვალეობების შესასრულებლად “აცტეკ პეტროლიუმ კორპორეიშენისკენ” გაეშურა.

დავრჩით მარტო მე და სინდი. უკან დახევას არ ვაპირებდი, მეთქი, დაერხა. მუჭში მყავდა ჩაჭერილი. ფოტო ამოვიღე, მინდოდა, კიდე ერთხელ დამეხედა. ოფლმა დამასხა. ჩამოვწიე მზისგან დამცავი. ძუკნა, რქებს ადგამ არა ჯეკ ბასს?! ფოტო საფულეში ჩავაბრუნე. საზიზღრად ვგრძნობდი თავს. რა ჯანდაბა მეტაკა? ავვარდი ვითომ ამ ქალზე? დარწმუნებული ვარ, კუჭ-ნაწლავი მასაც ისეთივე ჰქონდა, როგორიც სხვებს. ცხვირშიც ეზრდებოდა ბანჯგვლი და გოგირდითაც ევსებოდა ყურები, დანარჩენებივით. აბა, რაღა დარჩა? ვაი, ეს საქარე მინა ტალღასავით რატო ირხევა? ნაბახუსევის ბრალია, ეტყობა. არაყი და ლუდი ვსვი, ერთმანეთს მივაყოლე, აი, წაგებული

რო იხდის, ის ამბავი იყო. ლოთობაში ყველაზე მაგარი რა არი, იცით? — კუჭი არ შეგეკვრებათ არასდროს. ხანდახან შემეცოდებოდა ხოლმე ჩემივე ღვიძლი, მაგრამ რად გინდა, თავის დღეში ხმა არ ამოუღია, არ უთქვამს: მორჩი, ნუ მკლავ, თორე თან წაგიყოლებო. მაგრამ ღვიძლს რო ლაპარაკი შეეძლოს, ანონიმ ალკოჰოლიკთა კლუბები ვის რაღაში დასჭირდებოდა.

მანქანაში ვიჯექი და ვუცდიდი, როდის გამოვიდოდა სახლიდან სინდი. ზაფხულის დახუთული დილა იყო. მგონი, სულაც ჩამეძინა. რამ გამაღვიძა, არ მახსოვს, მაგრამ სინდის "მერსედესი" კი გამოდიოდა ქუჩაზე უკუსვლით. საჭე დაატრიალა და სამხრეთისკენ დაადო თავი. მეც გავყევი. წითელი "მერსედესი" ჰყავდა. სან-დიეგოს გზატკეცილამდე ვდიე. მერე მარცხენა რიგში ჩადგა და დააწვა. 75-ით მაინც მიდიოდა, სად ეჩქარებოდა, რა ვიცი. ფეხებს შორის რაღაცამ თავი წამოყო. შუბლზე ისევ დამასხა ოფლმა. ის კიდე უკვე 80-ით მიქროდა. ეტყობა, აუჩუჩუნდა ძუკნას! სინდი, სინდი! კვალში ვედექი, ოთხი მანქანით მისწრებდა. აუ, რას დავაჭედებდი ტრაკში! აუ, რას დავაჭედებდი! ჰე, ჰე! მეთქი, დავეწევი და გავუფორმებ! ბოლობოლო, ნიკი ვიყავი, ბილეინი, ბუღათა ბუღა.

ეგ იყო და სარკეში წითელ ციმციმებს მოვკარი თვალი. ჯანდაბა! ნელ-ნელა პირველ ხაზზე გადავინაცვლე, გზის პირას გავაჩერე მანქანა, გადმოვძვერი. პოლიციელებიც გაჩერდნენ, ცოტა მოშორებით, ასე ხუთი მანქანის სიშორეზე. აქეთ-იქიდან გადმოვიდნენ ორნი. მეც დავიძარი, თან საფულისკენ წავიღე ხელი. პოლიციელმა კიდე, იმან, მაღალმა, რევოლვერი დააძრო ბუდიდან და დამიმიზნა: — სდექ!

გავჩერდი.

— რა ჩემ ფეხებს აკეთებ, ტყვია გინდა დამაჭედო? მიდი, მიდი, მესროლე, რას უყურებ, მიდი-მეთქი! მეორემ, დაბალმა, შემომიარა,

მკლავში ჩამავლო ხელი, ამომიტრიალა და გადამაწვინა პოლიციის მანქანის ძარაზე.

— ნაგავო! შენნაირ მამაძაღლებს რას ვუშვებით, იცი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი.

— ჭკვიანი ბიჭი ჩანს, ხო იცი, — თქვა დაბალმა.

— დაიკიდე, ლუის, — დაამშვიდა მაღალმა, — კამერა ექნება ვიღაცას. არ გამოვა აქ. — ბილ, ხო იცი, როგორ ვერ ვიტან ჭკუის კოლოფებს?

— დაერხევა, ლუის, ჩვენ დავურხევთ, ლუის, ოღონდ ახლა არა. ისევ მანქანის ძარაზე ვყავდი წაყუდებული. მანქანები ჩვენს დანახვაზე შეანელებდნენ ხოლმე სვლას. მოგვჩერებოდნენ გამოყეყეჩებული იდიოტები.

— მორჩით რა, ბიჭებო, — შევუძახე მე, — ხო ხედავთ, საცობი იქმნება ჩვენ გამო. — შენ დაგვემუქრე, გამოექანე ჩვენკენ, ქამრისკენ წაიღე ხელი, — აღრიალდა ლუისი. — საფულის ამოღება მინდოდა. ბარათს ვაჩვენებ-მეთქი. კერძო დეტექტივი ვარ, ლოსანჯელესელი. ეჭვმიტანილს ვედექი კვალში. ლუისმა ხელი შემიშვა.

— ადექი.

ავდექი.

— ახლა ნელა-ნელა ამოაცოცე საფულე და მართვის მოწმობა მაჩვენე. — კარგი.

და ერთი ბეწო, გაკეცილი ფურცელი გავუწოდე.

— ეს რაღა ჯანდაბაა? — მკითხა და ფურცელი უკანვე დამიბრუნა, — გადაშალე და ისე მომეცი.

როგორც მითხრა, ისე ვქენი.

— დროებით ნებართვასავითაა. ძველი ჩამომართვეს, მართვის მოწმობის ტესტებზე ჩავიჭერი, ვერ დავწერე. ამით უნდა ვიარო, სანამ კვირის თავზე ხელახლა არ ჩავაბარებ გამოცდას.

— ესე იგი, ჩაიჭერი, არა?

— კი.

— ეი, ბილ, მართვის მოწმობა ვერ აუღია, ტესტზე ჩაჭრილა.

— რას ამბობ? მართლა?

— სხვა რამეზე ვფიქრობდი...

— რაღაცა არ გეტყობა, რო ფიქრი შეგეძლოს, — გაიღრიჭა ლუისი. — რა იხუმრა...

— ესე იგი, შენ ამბობ, ლიცენზირებული დეტექტივი ვარო? — მკითხა ლუისმა. — ჰო.

— არ მჯერა.

— კუდზე ვაჯექი ეჭვმიტანილს, თქვენ რომ ციმციმები არ ჩაგერთოთ, ჩავავლებდი კიდეც. და ლუისს ფოტო გავუწოდე.

— ღმერთო ჩემო! — წამოსცდა და თვალი ვეღარ მოაშორა სურათს. სურათს რა? — სინდის, მოკლე კაბა და მოღეღილი ბლუზა რომ ეცვა, მეტისმეტად მოღეღილიც. — ბილ, დახედე ერთი ამას.

— კვალში ვედექი მაგას-მეთქი. ერთი ხელის გაწვდენაც და ჩავავლებდი. ბილი ისევ ფოტოს დასცქეროდა.

— უჰ, უჰ, უჰ, უჰ, უჰ.

— თუ შეიძლება, ფოტო დამიბრუნეთ, ოფიცერო. სამხილია.

— ჰო, რა თქმა უნდა, — დამეთანხმა და უხალისოდ გამომიწოდა უკან. — გაფორმებით უეჭველად უნდა გაგაფორმოთ, — მითხრა ლუისმა. — მაგრამ არ ვიზამთ, — ჩაერია ბილი, — ჩაგიწერთ, ვითომ 75-ით მოდიოდი, 80-ით კი არა, ოღონდ ფოტო ჩვენთან დარჩება. — რა?

— რაც გაიგე!

— ეს ხომ შანტაჟია.

ბილმა იარაღისკენ წაიღო ხელი.

— რა თქვი?

— მოსულა.

ფოტო ისევ ბილს დავუბრუნე, იმანაც სიჩქარის გადაჭარბებისთვის ქვითრის გამოწერა დაიწყო. ვიდექი და ველოდებოდი. მერე ქვითარი მომცა.

— მოაწერე ხელი.

მოვაწერე.

ამოხია და ხელში ჩამიდო.

— მადლობელი ვარ, ოფიცერო.

— ფრთხილად იარე, — დამარიგა ჭკუა ლუისმა.

— შენც, ძმაო.

— ჰა?

— რა თქმა უნდა-მეთქი.

და პოლიციელები უკან, თავისი მანქანისკენ გაბრუნდნენ. მე ჩემისკენ წავედი. ჩავჯექი და დავქოქე. ისხდნენ უბრალოდ, არ იძვროდნენ. გამოვედი გზაზე, მივადგი ფეხი გაზს და წავედი სამოცით. სინდი, ვფიქრობდი გულში, კაცი არ ვიყო, თუ ამისთვის სამაგიერო არ გადაგიხადო. ისეთი დაგენძრა, ისეთი დაგენძრა, შენ ხო აზრზე არა ხარ! პორტის გზაზე გადასახვევს რო მივაღწიე, ჩავუხვიე სამხრეთისკენ და 110-ს დავადექი, ოღონდ წარმოდგენა არ მქონდა, სად მივდიოდი.

12

ნავსადგურის გზას ბოლომდე დავუყევი, სან-პედრომდე, გავცდი გაფის, ჩავუხვიე მეშვიდეზე მარცხნივ, გავიარე რამდენიმე კვარტალი, მერე მარჯვნივ გადავუხვიე, ისევ დავაწექი და ბარიც დავინახე, “მწყურვალი ბაყაყი” ერქვა. დავაყენე მანქანა და შევედი შიგნით. ბნელოდა, ტელევიზორი გამოერთოთ. ბართან კიდე ერთი ხნიერი ტიპი იდგა, ალბათ, ასე ოთხმოცი წლის, თეთრი, თეთრი, ფითქინა,

თმა — თეთრი, კანი — თეთრი, ტუჩებიც — თეთრი. ორი მოხუციც იჯდა იქვე, ისინიც გადათეთრებულები. კაცი იფიქრებდა, ამათ ძარღვებში წვეთი სისხლი არ დაუდითო. ობობას ქსელში გაბმულ ბუზებს ჰგავდნენ, შიგანგამოწოვილებს. სასმელი არ ედგათ, არ ინძრეოდნენ. სუფთა ქათქათა სიმშვიდე.

ვიდექი კარში და ვუყურებდი.

ბოლოს, როგორც იქნა, ბარმენმა ამოიღო ხმა:

— ჰა?..

— სინდი ხომ არ გინახავთ ვინმეს, ან სელინი, ან წითელი ბეღურა? — ვკითხე მე. გამომხედეს. ერთმა მუშტარმა წინ მრგვლად წამოსწია ტუჩები, რაღაცის თქმას აპირებდა ეტყობა, მაგრამ კრინტი ვერ დაძრა. მეორემ ყვერები მოიფხანა, ყოველ შემთხვევაში, ის ადგილი მაინც, სადაც ყვერები უნდა ბმოდა. ბარმენი არც გატოკებულა. მუყაოსგან გამოჭრილ სილუეტს ჰგავდა. ძველისძველს ოღონდ. უცებ ისე ახალგაზრდულად ვიგრძენი თავი! დავეღირე, მივადექი და ბართან სკამზე ჩამოვჯექი. — რამე რო იყოს, დალევის შანსი არი?

— ჰა... — მიპასუხა ბარმენმა.

— "ვოდკა სევენი" მინდა, ულიმონოდ.

ახლა ერთ ოთხ-ნახევარ წუთს ამოსცხეთ პანჩური და დაივიწყეთ სამუდამოდ. ზუსტად ამდენი ხანი დასჭირდა ბარმენს ჩემთვის სასმლის მოსამზადებლად. — მადლობელი ვარ, — ვუთხარი მე, — ახლა სანამ ისევ გაჩერებულხარ, კიდე ერთი ჭიქა გამიკეთე.

მოვსვი. არ იყო ცუდი. ეტყობოდა გამოცდილი ხელი.

ის ორი მოხუცი ისევ ისე იჯდა და მიყურებდა.

— არა უშავს დღეა, ჰო, ბიჭებო? — ვკითხე სიტყვის მასალად. ხმა არ გაუციათ. მეთქი, მგონი, არც სუნთქავენ, არადა, თუ მკვდრები არიან, დამარხვა არ მოსულა ამათში თუ როგორ არი საქმე?

— მისმინეთ, ძმებო, ქალს ბოლოს როდის ჩახადეთ, გახსოვთ?

ერთ-ერთმა იმ მოხუცებიდან:

— ჰე, ჰე, ჰე, ჰე.

— ჰა, წუხელის, ჰო?

— ჰე, ჰე, ჰე, ჰე!

— კაი იყო?

— ჰე, ჰე, ჰე, ჰე!

დარდი შემომაწვა. რას ჰგავდა ჩემი ცხოვრება. რაღაც მეტი მინდოდა, მოელვარე, მოციმციმე, რამე ეგეთი ოხრობა. მე კიდე აქ ვიჯექი და მკვდარს ველაპარაკებოდი. მოვამთავრე პირველი ჭიქა და მეორეც გამზადდა ამასობაში. ბარში ორნი შემოვიდნენ, წინდები ჩამოეფხატათ სახეებზე. მე მეორე ჭიქასაც მოვუღე ბოლო. — არ გაინძრეთ! სისულელეები არ იყოს! საფულეები, ბეჭდები და საათები ბარზე დააწყვეთ! დროზე! — დაგვიღრიალა ერთმა.

მეორემ ისკუპა, ბარს გადაახტა, ეცა სალაროს და მუშტი წყვიტა. — ჰეი! როგორ იღება ეს ყლეობა!

მიიხედ-მოიხედა და ბარმენს ჰკიდა თვალი.

— ოე, ბაბუ! მოდი აქ, გაგვიღე ეს!

და პისტოლეტი მიუშვირა. ჰე, ჰე, რას გაინძრა ბარმენი! წამში გაჩნდა სალაროსთან და გააღო.

პირველი კიდე ტომარაში ყრიდა ჩვენს ნივთებს.

— მიდი, სიგარების ყუთი გამოაძრე ბარის ქვემოდან! — უღრიალა მეგობარს. მეორე ტიპი, სალარო ვინც გააღებინა, ამ დროს ფულს იტენიდა ტომარაში. გამოაძრო სიგარების ყუთი, გვარიანად მძიმე იყო, ჩატენა ისიც და უკანვე გადმოახტა ბარს. მერე ერთ წამს გაჩერდნენ ორივენი.

— მგონი, ვგიჟდები, — თქვა იმან, ბარს რომ გადაახტ-გადმოახტა. — დაიკიდე, ცოცხლები ვართ! — უთხრა მეორემ.

— ვგიჟდები! — იღრიალა პირველმა და ბარმენს პისტოლეტი დაუმიზნა. სამჯერ გაისროლა, მუცელში მოარტყა ყველა ტყვია. მოხუცი სამჯერ შეკანკალდა და დაეცა. — აუ, რა დებილი ხარ! რათ გინდოდა, რატო ქენი?

— დებილს ნუ მეძახი, თორე შუბლს გაგიხვრეტ! — უყვირა იმანაც, მოტრიალდა და პისტოლეტი მიუშვირა. მაგრამ გვიან იყო უკვე, ტყვიამ ცხვირი შეუმტვრია და კეფიდან გამოატანა, ტიპი წაიქცა და სკამი ქვეშ მოიყოლა. მეორე გაიქცა. ხუთამდე დავითვალე გუნებაში და მეც უკან გავყევი. ჩემი გაქცევისას, მგონი, ორივე მოხუცი ცოცხალი იყო. ჩავხტი მანქანაში, მოვწყვიტე ადგილიდან, გავიარე ერთი კვარტალი, გადავუხვიე მარჯვნივ, შუკაში, შევანელე სვლა და გავუყევი. სირენის ხმა მომწვდა. მოვუკიდე სიგარეტს და ჩავრთე რადიო. რეპს გადმოსცემდნენ. ოღონდ ვერაფრით ვერ მივხვდი, რას რეპავდნენ. აღარ ვიცოდი, სახლში წავსულიყავი პირდაპირ თუ ოფისში. საბოლოოდ სუპერმარკეტში შევიარე, ურიკაში ხუთი გრეიპფრუტი, შემწვარი წიწილა და კარტოფილის სალათა ჩავდე, კიდე 0,75-ლიტრიანი არაყი და ტუალეტის ქაღალდი.

13

აზრზე ჩემთან, ბინაში მოვედი. მივაძეხი წიწილას და კარტოფილის სალათას, გრეიპფრუტიც გავაგორ-გამოვაგორე ხალიჩაზე. იმედგაცრუებული ვიყავი. ყველაფერში ხელი მომეცარა.

ტელეფონმა დარეკა. გადმოვაგდე პირიდან ქათმის სანახევროდ შემწვარი ფრთა და დავწვდი ყურმილს.

— დიახ.

— მისტერ ბილეინი ხართ?

— დიახ.

— ჰავაიზე უფასო მოგზაურობა მოიგეთ, — მითხრა ხმამ.

დავკიდე ტელეფონი. გავედი სამზარეულოში, მინერალური წყალი და ცხარე სოუსი დავამატე არაყს. დავჯექი ჭიქით ხელში, მოვსვი და კარზე კაკუნიც გაისმა. ცუდი მიგრძნო გულმა, მაგრამ მაინც გავძახე, შემოდით-მეთქი.

სამწუხაროდ, დამკაკუნებელი ჩემი მეზობელი გამოდგა, 302-დან, ფოსტალიონი. ამ კაცს რაღაცნაირად სასაცილოდ ეკიდა ხელები, ტვინშიც ვერ ჰქონდა ყველაფერი მთლად რიგზე. თვალებიც გაურბოდა, ერთხელ ვერ შემოგხედავდა პირდაპირ, თავს ზემოთ იყურებოდა სულ. კაცი დაეჭვდებოდა, ნამდვილად აქ ვდგავარ, სადაც მგონია, თუ უკანაც ვარ სადმე დაყუდებულიო. ჰო, ამათ გარდა კიდე ქონდა ერთი-ორი ნაკლი. — ჰეი, ბილეინ, სასმელი გაქვს?

— სამზარეულოში, გააზავე შენ თვითონ.

— რა თქმა უნდა.

და სამზარეულოში გავიდა, დიქსის მელოდიას უსტვენდა თან.

ცოტა ხანში ფრთხილი ნაბიჯით გამობრუნდა უკან, ორივე ხელში სასმლით სავსე ჭიქა ეჭირა. დამიჯდა წინ.

— უკან გაბრუნება რომ არ დამჭირდეს, — მითხრა და თავით სასმელზე მანიშნა. — გაგიკვირდება და, ყველგან შეგიძლია მაგის ყიდვა, მოგემარაგებინა, ისე? — დაიკიდე რა... მისმინე, ბილეინ, საქმეზე უნდა მოგელაპარაკო. მარჯვენა ხელში რომ ჭიქა ეჭირა, გამოცალა და გაუქანა კედელს. ჩემგან ისწავლა. — ყური მიგდე, ბილეინ, ეს საქმე თუ გამოვა, დიდებისკენ მიმავალ გზას დავადგებით ორივე.

— თავისთავად, — მე ვუთხარი, — ჯერ მოყევი ოღონდ, რა ხდება. — გადარეულ მაიკზე გეუბნები. თავი გაიგიჟა იმ დღეს. რა სისწრაფით გარბოდა, იცი, კეთროვნის ენა ვერ ისხმარტალებს მასე ქალიშვილის ძუძუზე — მილის მეოთხედი 21 წამში გაირბინა, სწორ გზაზე რომ გავიდა, ოციათასიანებზე ხუთი კორპუსით იყო წინ და ნახევარი

კორპუსით ჩამორჩა სულ ფინიშის ხაზთან. ახლა თხუთმეტიათასიანებთან აყენებენ. წარმოიდგინე, ასეთი ცხენი სამ მეოთხედ მილზე რას იზამს, საკუთარი გავის მეტს არავის არაფერს დაანახვებს. ფსონები თხუთმეტი ერთზეა. ნაღდია, რა! წილში ჩაგსვამ, ძმაო.

— წილს რატო მაძლევ, მთელი მოგება გაწყენს?

მეორე ჭიქაც გამოცალა. მიიხედ-მოიხედა. ასწია ხელი.

— მოიცა, — გავაჩერე მე, — არ გატეხო, თორე მეორე ნახვრეტს გაგიკეთებ ტრაკში. — ჰა?

— კარგად დაფიქრდი.

ფოსტალიონმა მშვიდად დადგა ჭიქა.

— სასმელი გაქ კიდე?

— ხო იცი, რო მაქ. მეც გამიკეთე.

გავიდა სამზარეულოში. ვგრძნობდი, ნელ-ნელა როგორ ვკარგავდი მოთმინებას. მალე მობრუნდა და სავსე ჭიქა გამომიწოდა.

— დაიცა, — გავაფრთხილე, — შენსას დავლევ.

— რატომ?

— ეგ უფრო მაგარია.

მომაწოდა მეორე და დაჯდა.

— ჰოდა, იმას გეკითხებოდი, წილში მე რა მინდა-მეთქი?

— მოკლედ, ჰო...

— გააგრძელე, გააგრძელე...

— მაყუთში ვარ გაჭედილი ცოტა. დასადები არა მაქ, მაგრამ რომ მოვიგებთ, მოგებულიდან დაგიბრუნებ ფულს. — არ მომწონს ეგ იდეა.

— მომისმინე, ბილეინ, ძალიან ცოტა მჭირდება.

— მაინც?

— 20 დოლარი.

— რა ამბავია?

— 10 დოლარი, მაშინ.

— რა 10 დოლარი?

— კაი ხუთი იყოს.

— ჰა?

— 2.

— აბა, აახვიე აქედან.

გამოცალა ჭიქა და წამოდგა. მეც გამოვცალე. ის იდგა ფეხზე, არ ინძრეოდა. მკითხა მერე: — ეს გრეიპფრუტები ძირს რატო ყრია?

— მასე მომწონს და იმიტომ.

მეც ავდექი და წავედი მისკენ.

— შენი წასვლის დროა, ძმაო.

— წასვლის დრო? როცა მომინდება და გამისწორდება, მაშინ წავალ. სასმელმა გამბედაობა შემატა. ხდება ხოლმე.

მეც ავდექი და მუშტი გავუქანე მუცელში. თან კასტეტი მეკეთა. ისეთი მოვარტყი, ლამის მეორე მხარეს გამოვუყვანე. წაიქცა.

გადავაბიჯე, მივედი და იატაკიდან შუშის ნამსხვრევები წამოვკრიფე. მოვბრუნდი მერე უკან, გავუღე ამას პირი და ჩავაყარე შიგნით. ლოყები დავუზილე ოდნავ, შემოვკარი მსუბუქად ერთი-ორი, ტუჩები გაუწითლდა.

გავაგრძელე სმა. ალბათ, ასე 45 წუთის შემდეგ ფოსტალიონი ისევ გაინძრა. გადაგორდა გვერდზე, თან შუშის ნამსხვრევებს აფურთხებდა და კარისკენ მიხოხავდა. საცოდავი სანახავი იყო. მიხოხდა კართან, მე გავუღე და ასე ხოხვა-ხოხვით გავუშვი თავისი ბინისკენ. სამომავლოდ, მგონი, აჯობებს, თვალი არ მოვაშორო. მივხურე კარი.

დავჯექი და საფერფლეში ლამის ჩამქრალი სიგარა ვიპოვე, მოვუკიდე, მოვქაჩე, წამომახველა. თავიდან ვცადე. არ გამოდგა ცუდი. ფიქრი მომეძალა. ჰოდა, გადავწყვიტე, დღეს აღარაფერს აღარ გა-

ვაკეთებ-მეთქი. ცხოვრება ისეთი რამეა, ჯანს გაცლის, სახეს გაძ-რობს. მაგრამ არა უშავს, ხვალ უკეთესი დღე დადგება.

14

მეორე დღეს რედის შევუარე წიგნის მაღაზიაში. სელინის ამბავზე ისევ. იპოდრომი დაეკეტათ, ცაც მოღრუბლული იყო. რედი ფასებს აკრავდა იშვიათ წიგნებს. — გავუაროთ მუსოს?

— ვერა, რედ. მგონი, იმდენს ვჭამ, არ ვჩერდები. შემომხედე, რას ვგავარ. და პალტო გადავიწიე, ღიპი გადმოგდებაზე მქონდა, ერთი ღილი ამაწყდა და გაფრინდა. — ჯობია, გააწოვინო ეგ ქონი, თორე გული დაგარტყამს. მილით გაწოვენ, მერე შეგიძლია, ჩადო ქილაში და გახედო ხოლმე, ეს დაგეხმარება, რომ ჟელეიანი ნამცხვრების-გან თავი შორს დაიჭირო.

— მოვიფიქრებ. გრეიპფრუტი არ გინდა?

— გრეიპფრუტი? ეგ არ ასუქებს.

— ვიცი, მაგრამ დილით, ადგომისას, ფეხებში მომედო და კინაღამ კისერი მოვიტეხე. საშიში რამეა გრეიპფრუტი.

— სად გეძინა, მაცივარში?

ამოვიოხრე.

— მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. იცნობ იმ ტიპს, სელინს რომ ჰგავს? — ო, იმან...

— შემოიარა კიდე?

— არა, შენ მერე არ გამოჩენილა. მაგას დასდევ?

— ეგრეც შეიძლება ითქვას.

უცებ, ვითომც აქ არაფერიაო, არ შემოვიდა სელინი?!

შუაში ჩაგვიარა, თაროების რიგში გაძვრა და წიგნი გამოიღო. მე ახლოს მივედი. ძალიან ახლოს. “სული რომ ამომდიოდა” ეჭირა, ხელმოწერილი ცალი. შემამჩნია.

— ძველ დროს, — მითხრა, — მწერლები ისე საინტერესოდ ცხოვრობდნენ, მათივე ნაწერი მონაგონი იყო, ახლა აღარც ცხოვრება უვარგათ და აღარც ნაწერი. და ფოლკნერი უკანვე შედო.

— ახლოს ცხოვრობ, სადმე? — ვკითხე ფრთხილად.

— შესაძლოა. თქვენ?

— ოდესღაც ფრანგული აქცენტი გქონდათ, არა?

— შესაძლოა. თქვენ?

— არა, მე არა. ყური მიგდეთ, არავის უთქვამს თქვენთვის, რომ ძალიან ჰგავხართ ერთ კაცს?

— ჩვენ, ყველანი, ცოტად თუ ბევრად ვიღაცას ვგავართ. მისმინეთ, სიგარეტი გაქვთ? — რა თქმა უნდა.

კოლოფი ამოვიღე.

— თუ შეიძლება, ერთ ღერს მოუკიდეთ და მოწიეთ, — მითხრა თავაზიანად, — საქმე გაგიჩნდებათ.

და გამშორდა.

მოვუკიდე სიგარეტს, ცოტა ავითრიე ფეხი, მერე მივყევი. რედს თავის დაკვრით დავემშვიდობე და ქუჩაში გამოვედი. სელინი უკვე 89 წლის “ფიატში” ჯდებოდა. და უკან რა მანქანა ედგა? ჩემი “ფოლკსვაგენი”. იღბალიც ამას ჰქვია. მერე იტყვიან, ბედისწერა არ არსებობსო. რამდენი თვეა, ადამიანურად არ გამიჩერებია მანქანა. სასწრაფოდ ჩავხტი შიგნით, დავქოქე და ავეკიდე.

ის აღმოსავლეთისკენ დაუყვა ჰოლივუდის ბულვარს. ერთი გაფიქრება ისიც გავიფიქრე, ქალბატონო სიკვდილო, ნეტა შეგახედა, როგორ არ ვზოგავ თავს შენთვის-მეთქი. არადა, მომდევნო შუქნიშანთან კინაღამ დავკარგე, კიდე კარგი, წითელზე გავაჭერი. თუ არ

ჩავთვლით, რომ “კადილაკიდან” ვიღაც მოხუცმა ქალმა მაგინა, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა. გამეღიმა.

მალე მზემაც გამოანათა ღრუბლებიდან, მე და სელინი უკვე ჰოლივუდის გზას მივუყვებოდით, თვალს არ ვაშორებდი. დიდებულად ვგრძნობდი თავს. შეიძლება მართლა მივიდე და გამოვაწოვინო-მეთქი ეს ქონი, ვფიქრობდი. ისევ ყმაწვილ კაცად ვგრძნობდი თავს, მთელი ცხოვრება წინ მქონდა. სელინი ამასობაში ნავსადგურისკენ მიმავალ გზატკეცილს დაადგა, მერე სანტა-მონიკასაც გასცდა, სანდიეგოსაც. სამხრეთისკენ ვებერებოდით.

მერე სელინმა ჩაუხვია და მეც უკან მივყევი. მეცნო იქაურობა. ნახევარი კვარტალი ვდიე კიდევ, თან ვფიქრობდი, ნეტა სარკეში არ გამოიხედოს-მეთქი. მერე იმან სვლა შეანელა და გაჩერდა. მეც მივბაძე, დავაყენე მანქანა და გავაგრძელე თვალთვალი. სელინი გადმოვიდა, ჩაუარა რამდენიმე სახლს და ამ ჩემს ყურება- ყურებაში გადაჭრა ქუჩა. შედგა, მიიხედ-მოიხედა და ერთი სახლისკენ დაადგა ბილიკს. ტერასაზე ასულმა ისევ მოათვალიერა მიდამო და დააკაკუნა. დიდი სახლი იყო, ნაცნობი. კარი გაიხურეს და სელინიც შიგნით შევიდა. დავძარი მანქანა, ნელი სვლით ჩავიარე. ჯეკ ბასის სახლი აღმოჩნდა. აი, მესმის ამბავი! შუადღის სამის ნახევარი იყო, სინდის წითელი “მერსედესი” კი სახლის წინ იდგა. მე კვარტალს შემოვუარე და ისევ ძველ ადგილას გავჩერდი.

ვიფიქრე, ერთი გასროლით ორ კურდღელს მოვკლავ, სელინსაც გამოვააშკარავებ და სინდისაც ჩავავლებ.

მეთქი, ჯერ ვაცდი. ათ წუთს, ბევრს არა.

სკოლაში ერთი შუახნის მასწავლებელი გვყავდა, გვკითხა, ვინ გინდათ გამოხვიდეთ, როცა გაიზრდებითო. თითქმის ყველამ, ბიჭებმა, მეხანძრეობა გვინდაო. სისულელე სრული, ცეცხლი რომ მოგედოს, სად მიდიხარ. ვიღაც-ვიღაცებმა — ექიმობაო, სხვებმა — ად-

ვოკატებიო. არავის უთქვამს, გამომძიებელი გავხდებიო. მე კიდე გავხდი. ეჰ, რიგმა რომ მომიწია, წარმოდგენა არ მაქვს-მეთქი, ვუთხარი მაშინ მასწავლებელს. გავიდა ათი წუთიც. დავაძრე ვიდეოკამერა, გამოვაღე მანქანის კარი და დავეღირე სახლისკენ. მაკანკალებდა, ერთი ჩავისუნთქე ღრმად და კარსაც მივადექი. კარი იოლად გავაღე. 45 წამის მერე უკვე ბინაში ვიყავი. გავიარე მისაღები ოთახი და ხმები მომესმა. მეორე ოთახის კარს მივადექი. ისინი შიგნით იყვნენ. ხმები მესმოდა. ლამის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. მივადე ყური და სმენად ვიქეცი.

სელინის ხმა იყო.

— აუცილებლად უნდა გააკეთო... უჩემოდაც ხომ იცი...

— მე... — უკვე სინდი პასუხობდა, — არ ვარ დარწმუნებული... ჯეკმა რომ გაიგოს? — ვერ გაიგებს...

— ჯეკი გიჟია...

— ვერ გაიგებს. შენთვისვე აჯობებს...

სინდიმ გაიცინა.

— ჩემთვისვე აჯობებს?.. შენთვის არა, ხო?

— ჩემთვისაც, ცხადია... აი, აიღე... ეს მხოლოდ დასაწყისია... შევიცადე რამდენიმე წამს, მერე წიხლით შევაღე კარი და კამერამომარჯვებული ოთახში შევვარდი, მეთქი, ყველაფერს გადავიღებ.

ისინი მაგიდას უსხდნენ, სინდი რაღაც ქაღალდებს აწერდა ხელს. — ტფუი! — წამომცდა იმედგაცრუებისგან.

და კამერა დაბლა დავუშვი.

— რა ჯანდაბა ხდება აქ? — იკითხა სელინმა, — ვინ არის ეს კაცი? — ცხოვრებაში არ მინახავს.

— სამაგიეროდ მე მინახავს, — გამიხსენა სელინმა, — სულ წიგნის მაღაზიაში დაიარება, სულელურ შეკითხვებს მისვამს ხოლმე. — პოლიციაში დავრეკავ.

— დაკიდეთ ყურმილი, ყველაფერს აგიხსნით!

— კარგი იქნებოდა.

— ნამდვილად, — დაეთანხმა სელინი სინდის.

გავითიშე. ვიდექი გაქვავებული.

— ახლა უეჭველად ვრეკავ პოლიციაში, — ისევ ტელეფონისკენ გაიწია ქალმა. — დაკიდეთ-მეთქი, ხო გითხარით, თქვენმა ქმარმა დამიქირავა, ჯეკ ბასმა, დეტექტივი ვარ.

— დაგიქირავათ? რისთვის?

— ჩაავლეო.

— ჩაავლეო?

— ჰო.

— დაზღვევას ვუფორმებდი ამ ქალბატონს, — ამოიღო ხმა სელინმა, — როცა კამერით შემოვარდით.

— ბოდიშს ვიხდი, შემეშალა. იმედი მაქვს, გამოსწორების საშუალებას მომცემთ. — როგორ აპირებთ ერთი ამის გამოსწორებას?

— ჯერ არ ვიცი. მართლა ძალიან ვწუხვარ. მოვიფიქრებ რამეს. გეფიცებით. — მე მგონი, ეს ტიპი ცოტა ვერ არი, — დამისვა დიაგნოზი სინდიმ, — ავადმყოფია. — უნდა დაგტოვოთ, — ვუთხარი და წამოსვლა დავაპირე.

— არა, არავითარ შემთხვევაში, არსადაც არ წახვალთ, — გაწიწმატდა ქალი. და ზარი დარეკა. მე შევტრიალდი და რას ვხედავ: კარში დგას სუფთა კინგ-კონგი. საშინელი სანახავი იყო. თან ნელი ნაბიჯით დაიძრა ჩემკენ.

— ჰე, ჰე, ჩემი ბიჭი, კანფეტი არ გიყვარს? — ვკითხე.

— ჯუჯა, — მეუბნება, — შენა ხარ ჩემი კანფეტი.

— სათამაშოებზე რას იტყვი? როგორები მოგწონს?

კინგ-კონგმა გაატარა და სინდის გადახედა.

— მოვკლა, გინდათ?

— არა, ბრიუსტერ, დააბით ისე, რომ ერთხანს ფეხი ვერ მოიცვალოს. — კარგი.

და ისევ ჩემკენ წამოვიდა.

— ბრიუსტერ, — არ ვისვენებ, — ხმა ვის მიეცი პრეზიდენტის არჩევნებზე? — ჰა?

გაჩერდა, დაფიქრდა.

მე კიდე დავაძრე კამერა და გავუქანე. მოხვდა კიდეც მიზანს, კინგ-კონგი მოიკუნტა და ყვერებზე იტაცა ხელი. გავვარდი, დავითრიე კამერა და ახლა კისერში ჩავცხე. გავიგონე, როგორ ჩაიმსხვრა შუშა. კინგ-კონგი დახვავდა ძირს. სახით ტახტს დაემხო და გაითიშა. ნახევარი ტანი ტახტზე შერჩა, ნახევარი — ჯანდაბაში.

მე დინჯად ავიღე იატაკიდან ჩემი კამერის გადარჩენილი ნაწილი და სინდის გავხედე. — მაინც ჩაგავლებ.

— გიჟია ეს კაცი, — აყვირდა ქალი.

— მგონი, მართალი ხართ, — დაეთანხმა სელინი. ქუსლებზე შემოვტრიალდი და დავახვიე იქიდან.

კიდევ ერთმა დღემ ჩაიარა ფუჭად.

15

მეორე დღე სამსახურში გავატარე. ცუდი პირი უჩანდა საქმეებს. არადა, მთელი ღამე ვსვამდი, იქნებ როგორმე ძილი მომეკიდოს-მეთქი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს ოთახს ძალიან თხელი კედლები აქვს. კარის მეზობლები რასაც ლაპარაკობდნენ, ყველაფერი მესმოდა...

— პატარავ, ჩემი ინდაურის კისერი თეთრი წებოვანი კრემითაა სავსე და რამე თუ არ ვუშველე, ალბათ, გული დამარტყამს.

— ეგ შენი პრობლემაა, საყვარელო.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ცოლ-ქმარი ვართ.

— ძალიან მახინჯი ხარ.

— ჰა? რაო? აქამდე არაფერი გითქვამს.

— ახლა მომაფიქრდა.

— ჩემი თეთრი კრემი ტვინში მასხამს უკვე. რამე უნდა მოვახერხო. — ოღონდ უჩემოდ მოგიწევს, საყვარელო.

— ეგრე? კარგი, კატა სად არი?

— კატა? არა, არც იფიქრო, ნაბიჭვარო, წკრიალას არ გაეკარო! — სად ჯანდაბაშია ეს ოხერი კატა? ერთი წუთის წინ აქ არ იყო? — არ გაბედო! არ გაბედო-მეთქი! ოღონდ წკრიალა არა!

არაფრით არ მომეკიდა სასმელი და ვერც დავიძინე. ვიჯექი და ვისხამდი და ვისხამდი. ამაოდ.

მეორე დილით, როგორც გითხარით უკვე, ოფისში მივბრუნდი. სრულ არარაობად ვგრძნობდი თავს. მილიარდობით ქალი დადიოდა ქვეყანაზე, მაგრამ ჩემთან არც ერთს არ შემოუცდებოდა ფეხი.

რატომ? ბანძი ვიყავი და იმიტომ. გამომძიებელი, რომელსაც არაფრის გარკვევა არ შეუძლია.

ბუზს დავუწყე ყურება, მაგიდაზე რომ დაცოცავდა და მოვემზადე, მეთქი, ახლა ამას მოუსავლეთში გავუშვებ და უცებ გონება გამინათდა.

წამოვვარდი.

სელინი დაზღვევას უკეთებდა სინდის! ჯეკ ბასის სიცოცხლეს აზღვევდნენ! მალე, ალბათ, გაასაღებდნენ, თან ისე, რომ ეჭვსაც ვერავინ ვერაფერზე მიიტანდა! ერთად მუშაობდნენ! მორჩა, ყვერებით მეჭირა ორივე!

არა, სელინი ყვერებით მეჭირა, აი, სინდის კიდე მაგრად ქონდა დანძრეული. ჯეკ ბასი შარში იყო. ქალბატონ სიკვდილს სელინის თავი უნდოდა. წითელი ბეღურის კვალი არ ჩანდა. მაგრამ ვგრძნობ-

დი, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო, რაღაც მართლა ძალიან მნიშვნელოვანი. ჯიბიდან ხელი ამოვიღე და ყურმილს დავწვდი. დავწვდი და დავდე უკანვე. ნეტა ვინ ჯანდაბისთვის ვაპირებდი დარეკვას? ხომ ვიცოდი, რომელი საათი იყო. არა, ჯეკ ბასს მაგარ შარში ქონდა თავი გაყოფილი. რამე უნდა მომეფიქრებინა. ვცდილობდი, მართლა. ბუზი ისევ დაღოღავდა მაგიდაზე. დოღის პროგრამა დავახვიე, დავკარი და ავაცილე. აშკარად არ მიმართლებდა დღეს. არც დღეს, არც ამ კვირას, არც ამ თვეს, არც ამ წელს. არც საერთოდ ცხოვრებაში. ჯანდაბა რა. გადავწექი სკამზე. დაიბადო, რათა მოკვდე. დაიბადო, რათა მერე გამოჭერილი ციყვივით იცხოვრო. რატომ ვერ ვხედავ ქოროს მომღერალ გოგოებს? თუ არ არიან, მაშინ რატომ მაქვს შეგრძნება, რომ საკუთარ დაკრძალვას ვესწრები?

კარი გაიღო. ზღურბლთან სელინი იდგა.

— ვიცოდი, — მე ვუთხარი, — ვიცოდი, მოხვიდოდი.

— ძველი ამბავია ეგ.

— კარზე არასდროს არ აკაკუნებ ხოლმე?

— გააჩნია სიტუაციას. წინააღმდეგი იქნები, რომ ჩამოვჯდე?

— დაჯექი, მაგრამ საქმეს მივხედოთ.

ჩემს სიგარების ყუთს გადასწვდა, ამოიღო ერთი, გაასუფთავა, მოაჭრა ბოლო, ამოიღო სანთებელა, აანთო, მოქაჩა და კვამლის უზარმაზარი ღრუბელი გამოუშვა. — იყიდება ესენი, ისე, — მე ვუთხარი.

— რა არ იყიდება?

— ჰაერი. მაგრამ მაგასაც გაყიდიან. შენ თქვი, რა გინდა, თორე. — მეგობარო...

— ნუ აჭრელებ.

— კარგი, კარგი... მოკლედ...

სელინმა ფეხები შემოაწყო მაგიდაზე.

— კარგი ფეხსაცმელები გიშოვია, საფრანგეთში იყიდე?

— საფრანგეთი, მაფრანგეთი, რა მნიშვნელობა აქვს?

მითხრა და კიდევ ერთხელ გამოუშვა კვამლი.

— აქ რა გინდა?

— კარგი კითხვაა. საუკუნეებია ქუხს ეგ კითხვა.

— ქუხს?

— ღვთის გულისთვის, სიტყვებზე ნუ მეკიდები. იმ ბიჭს ჰგავხარ, უბედური ბავშვობა რომ ჰქონდა.

ამოვიოხრე.

— მოკლედ, — გააგრძელა სელინმა, — ასეა საქმე. ტრაკში ხარ, ორი მუხლით მაინც. სახლის გატეხვა და უკანონო შეჭრა. თავდასხმა და ცემა...

— რა?

— ბრიუსტერი უკვე საჭურისია. იმ შენი კამერით ყვერები დაუნაყე, ახლა კვერცხები ორი გამხმარი ფინიკივით კიდია. უკვე, რო რამე, სოპრანოს პარტიასაც იმღერებს. — მერე?

— ჩვენ ვიცით დამნაშავე, რომელმაც გატეხა კარი, შემოიჭრა და ერთ თავის მსგავსს კაცური ღირსება ადგილზე დაატოვებინა.

— მერე?

— მერე შეიძლება ეს ამბავი შემთხვევით პოლიციამაც გაიგოს. — სამხილები გაქვს?

— სამი მოწმე.

— აუ, რამდენი გყოლია.

სელინმა ფეხები ჩამოიღო, გადმოაწვა მაგიდას და პირდაპირ თვალებში შემომხედა. — ბილეინ, ათი ათასი უნდა მასესხო.

— მივხვდი! მივხვდი! შანტაჟია! შე ღორო! შანტაჟია!

გრძნობები მომაწვა. ძალიან სასიამოვნო იყო.

— რა შანტაჟი, შე ცინგლიანო. ათი ათასი მასესხე-მეთქი, მეტი რა გითხარი. მასესხე- მეთქი, გაიგე?

— გასესხო? გარანტია გაქ?

— ჯანდაბა, არა.

მეც წამოვდექი.

— ვაი, შე სირო! გგონია, მაგას ვჭამ?

მაგიდას შემოვუარე და მისკენ წავედი.

— ბრიუსტერ! — იყვირა სელინმა, — დროა!

კარი გაიღო და ოთახში ჩემი ძველი მეგობარი ბრიუსტერი შემოვიდა. — გამარჯობა, მისტერ ბილეინ! — მითხრა რბილად, თუმცა, ამის გამო ჩემს თვალში სიმაღლე მაინცდამაინც არ მოჰკლებია. ცხოვრებაში არ მენახა მაგხელა ნაბიჭვარი. გამოვბრუნდი უკან, მაგიდისკენ. გამოვაღე უჯრა, ამოვიღე ჩემი 45-მილიმეტრიანი და მივუშვირე.

— ჩემო პატარა ბიჭუნია, ამ რაღაცას მატარებლის გაჩერება შეუძლია. ჰა, ელმავლის როლზე როგორა ხარ? მიდი, მიდი, კუ-კუ, ჩუქ-ჩუქ! მოდი ჩემთან, გამოყევი ლიანდაგებს. თავით გადაგიშვებ გზიდან! მოდი, კუ-კუ, ჩუქ-ჩუქ!

მოვხსენი დამცველი და პირდაპირ ვეებერთელა ფაშვში დავუმიზნე. ბრიუსტერი გაჩერდა.

— არ მომწონს ეს თამაში...

— კარგი, — მე ვუთხარი, — იმ კარს ხედავ?

— აჰა.

— ტუალეტის კარია. ახლა მე მინდა, შიგნით შეხვიდე და ღამის ქოთანზე დაჯდე. არ მაინტერესებს, შარვალს ჩაიხდი თუ არა, მაგრამ მინდა, რომ შეხვიდე და ქოთანზე იქამდე იჯდე, სანამ მე არ დაგიძახებ!

— კარგი.

მივიდა კართან. გააღო, ზურგს უკან მიიხურა და ბოლომდე თავი არ გამოუყვია. მერე სელინს მივაშვირე ჩემი 45-კალიბრიანი.

— შენ.

— დაგენძრევა, ბილეინ...

— სულ დანძრეული არ მაქ?! ახლა შენც... მიდი და მიუჯექი იმ შენს ბიჭს. მიდი, მიდი, მალე... გაადგი ფეხი. სელინმა ჩააქრო სიგარა და ნელა წავიდა საპირფარეშოსკენ. მე უკან გავყევი და ჩემი 45- კალიბრიანის ლულა ვატაკე.

— შეეთრიე!

შევიდა და კარი მიიხურა. მე ამოვიღე გასაღები და გადავკეტე. მერე მაგიდასთან მივედი და ძლივძლივობით მივაჩოჩე ტუალეტთან. მძიმე იყო ძალიან. სულ გოჯ-გოჯ ვათრიე. მაგრად გავწვალდი. ხუთი მეტრის გავლას ათ წუთს მოვუნდი, მაგრამ, როგორც იქნა, მივადგი კარს. — ბილეინ, — გავიგონე, შიგნიდან როგორ გამომძახა სელინმა, — გამოგვიშვი და ისე ჩავთვლით, ვითომ არაფერი მომხდარა. ფულის სესხებაც არ მინდა. ძაღლებთანაც არ წავალ. ბრიუსტერი თითს არ დაგაკარებს. სინდის მე მივხედავ. — არა, პატარავ, — მე ვუთხარი, — მე მივხედავ სინდის! გავჟიმავ! ორივე შიგნით დავტოვე. გამოვიკეტე ოფისის კარი, დერეფანში გამოვედი და ლიფტს ჩავყევი. უცებ საოცრად კარგად ვიგრძენი თავი.

ლიფტი პირველ სართულზე გაჩერდა და მეც ქუჩაში გამოვედი. პირველივე მათხოვარს დოლარი ვაჩუქე. მეორე მათხოვარს ვუთხარი, ფული სხვას უკვე მივეცი-მეთქი. მესამესაც ეგრე ვუთხარი, მეოთხესაც, დანარჩენებსაც. თან იმ დღეს ნისლიც არ იყო. მიზანმიმართულად მივდიოდი წინ. ზუსტად ვიცოდი, ლანჩზე კრევეტები და შემწვარი კარტოფილი უნდა მეჭამა. ჩემი ფეხები მოხდენილად მიაბიჯებდნენ ტროტუარზე.

16

ვჭამე, წავედი და სინდის სახლიდან ოდნავ მოშორებით გავაჩერე მანქანა. წითელი “მერსედესი” ისევ ძველ ადგილას იდგა. ქალი, ალბათ, სელინისა და ბრიუსტერის დაბრუნებას ელოდებოდა. მით უარესი. რადიო ჩავრთე, ახალ ამბებს მოვუსმენ-მეთქი. — სულელი ხარ, — გაისმა ხმა რადიოდან, — რა ქენი ვითომ.

— ვინ, მე?

— მარტოდმარტო არ ზიხარ აქ? თუ მეშლება რამე?

მივიხედ-მოვიხედე.

— მართალი ხარ, მარტო ვზივარ.

— ჰოდა, გაანძრიე ტრაკი.

ხმაზე ვიცანი, ქალბატონი სიკვდილი მელაპარაკებოდა რადიოდან. — მისმინე, საყვარელო, შენს საქმეზე ვმუშაობ ახლა ზუსტად. ვუთვალთვალებ. — ვის უთვალთვალებ?

— სელინის ერთ ნაცნობს. აქ ყველაფერი ისეა ჩაკვანძული...

— შენი თასმებივით. სად არის სელინი?

— ტუალეტში, ორასკილოიან საჭურისთან ერთად.

— რას აკეთებს იქ?

— აზრზე მოდის.

— რამე არ დაუშავო. იცოდე, სელინი მე მეკუთვნის.

— რა უნდა დავუშავო, საყვარელო, არ გრცხვენია?

— ბილეინ, ხანდახან მგონია, რომ ცოტა ვერ ხარ.

— კავშირის დასასრული! — ვუთხარი და რადიო გამოვრთე.

ვიჯექი მერე, წითელ “მერსედესს” ვუყურებდი და სინდიზე ვფიქრობდი. სათადარიგო ვიდეოკამერა თან მქონდა. ვიგრძენი, როგორ მომინდა რამის გაკეთება. ვიფიქრე, სახლში შევიპარები, იქნებ რამე ვიპოვო-მეთქი. ხომ შეიძლებოდა, ტელეფონზე ლაპარაკისთვის

მიმეგდო ყური. იქნებ მთელი ამ ამბის გასაღებსაც გადავწყდომოდი. ცხადია, სახიფათო საქმე იყო. მით უმეტეს, დღისით, მზისით. მაგრამ მაგის გამო უკან როგორ დავიხევდი. ყურებს სულ შხუილი გაუდიოდა, ტრაკიც ამითამაშდა. კაცი ერთხელ ცხოვრობ ამ ქვეყანაზე, ეგრე არ არი? ჰო, ლაზარეს ამბავი არ ითვლება. საცოდავი, ორჯერ უნდა მომკვდარიყო. მაგრამ მე ხომ ნიკი ვიყავი, ბილეინი, მე ამ კარუსელზე მარტო ერთხელ თუ დამსვამდნენ. სიცოცხლეს გემო გინდა გაუგო? ჰოდა, გაბედე რა. გადმოვძვერი მანქანიდან, ხელში ჩემი პატარა ვიდეოკამერა მეჭირა. თან პორტფელიც წამოვიღე თვალის ასახვევად. ქუდი შუბლზე ჩამოვიფხატე და სახლისკენ წავედი. გაფაციცებული ვიყავი. ბინაში ნამდვილად რაღაც ხდებოდა. ნათლად ვგრძნობდი. ენის წვერზეც კი ვიკბინე მღელვარებისგან. სისხლი გადმოვაფურთხე და კარს მივადექი. ისევ იოლად გავაღე. 47 წამი და შიგნით ამოვყავი თავი.

ყურებდაცქვეტილმა გავიარე ჰოლი. მომეჩვენა, ხმები მესმისმეთქი. მართალი აღმოვჩნდი. ქალი და კაცი ლაპარაკობდნენ. კიბესთან გავშეშდი. კი, ხმები მეორე სართულიდან ჩამოდიოდა. ფრთხილად ავყევი საფეხურებს, ხმებიც უფრო მკაფიო გახდა. სინდის ხმა ვიცანი. ავაღწიე ბოლომდე და კართან გავჩერდი. აშკარად საძინებელი ოთახის კარი იყო. ავეკარი ზედ.

გავიგონე, როგორ გაიცინა სინდიმ.

— რას უპირებ ამათ?

— გამოიცანი, პატარავ, ო, რამდენ ხანს ველოდი ამ დროს!

— სწორად მოგიგნია, ჩემო ბიჭო!

— ჯოჯოხეთში ჩაგიყვან და ჩამოგიყვან, პატარავ!

— ჰო?

— შე ძუკნა!

გავიგონე, ისევ როგორ გაიცინა სინდიმ. მერე მიწყნარდა ყველაფერი, ოღონდ ცოტა ხნით. მალე ისევ ახმაურდნენ. გახშირებული სუნთქვა, ტყაპატყუპი და საწოლის ჭრიალი ისმოდა.

— ო, — კვნესოდა სინდი, — ო, ღმერთო.

პორტფელი ძირს დავდე, კამერა ჩავრთე და შევვარდი ოთახში.

— ჩაგავლე!

— ჰა? — ტიპმა ისე გამომხედა, პოზა არც შეუცვლია. სინდიმ დაუშვა ფეხები და იკივლა. კაცი გადმოხტა ლოგინიდან და მომაშტერდა. სუფთა ნაბიჭვარი, საშინელი შესახედავი. — რა ამბავია? — დამიღრიალა.

ჯეკ ბასი არ შემრჩა ხელში?! ღმერთო ჩემო, ნამდვილად ჯეკ ბასი იყო. დავბზრიალდი და დავეშვი კიბეზე.

— ფუ, ამის!

ვეცი კარს, გამოვგლიჯე და თვალი მოვკარი ჯეკ ბასს, შიშველი იდგა, ყვერებგადმოყრილი. ხელში რაღაც საგანი ეჭირა. რევოლვერი თურმე. არ მესროლა?! ტყვიამ ქუდი გამიხვრიტა. მოაყოლა მეორეც. ვიგრძენი, მარჯვენა ყურთან როგორ ჩამიწუილა სიკვდილმა. გავვარდი ტროტუარზე, მეთქი, გადავირბენ ქუჩას და ჩავხტები მანქანაში, მაგრამ თურმე მოხუცი კაცი მოდიოდა ველოსიპედით, ვაშლს ჭამდა თან, პირდაპირ იმას შევასკდი და ეგრეც დავტოვე ასფალტზე დაგდებული, თავისი ატრიალებული ველოსიპედით.

თვალის დახამხამებაც და ჩემს ხოჭოში ვიჯექი. საბურავებმა დაიღრჭიალა, ისე დავძარი მანქანა. მოხუცი კაცი ძლივძლივობით დგებოდა ფეხზე. არ დავარტყა-მეთქი და საჭე გადავატრიალე, ტროტუარზე შევვარდი და მივაწექი. ჯეკ ბასის სახლსაც ჩავუქროლე. კარში იდგა, ისევ ყვერებამოყრილი, და სამი ტყვიაც მომაყოლა. ერთმა ჩემს მაიმუნს გაუარა, სარკეზე რომ მეკიდა, იმას. მეორე ყველას და ყველაფერს ასცდა. მესამემ წინა სავარძლის ზურგში გაატა-

ნა და ბარდაჩოკშიც დატოვა ნახვრეტი. როგორც იქნა, დავაღწიე თავი. არც მახსოვს, რამდენ ქუჩაზე შევუხვიე და გამოვუხვიე. ბოლოს ბულვარზე გამოვაღწიე და მანქანების ნაკადს შევერიე. ლოსანჯელესში რომ იცის, ზუსტად ისეთი დღე იყო: ნისლი, ვითომ მზე, ოღონდ წვიმა არა, თვეობით არა, თან. "მაკდონალდსში" შევედი, კარტოფილის დიდი ულუფა შევუკვეთე, კიდე — ყავა და ქათმის ჰამბურგერი.

17

ოფისში დავბრუნდი. ბრიუსტერს და სელინს გამოეღწიათ ტუალეტიდან, კარი გამოემტვრიათ და გამოსულიყვნენ. მაგიდა ძლივს მივათრიე უკან. მთელი თხუთმეტი წუთი ვიწვალე.

დავჯექი და მეთქი, ფიქრებს მოვუყრი თავს.

ყველა ჩემზე ნადირობდა უკვე: სელინი, ბრიუსტერი, სინდი, ჯეკ ბასი, ქალბატონი სიკვდილი და, მგონი, ბარტონიც. აღარც ის ვიცოდი, ისევ რჩებოდნენ ჩემს კლიენტებად თუ არა.

ცოტა ხნის წინ ჩადენილი ნებისმიერი საქციელის გამო შეიძლებოდა დავეპატიმრებინე პოლიციას ან უბრალოდ ტყავის გასაძრობად შემოევლო ვინმეს. ოფისი სახიფათო ადგილად ქცეულიყო. იარაღის ბუდე შევამოწმე, ჩემი 45-მილიმეტრიანი ადგილზე დამხვდა. ჩემი ლამაზი. ვერა, კაბინეტიდან ვერაფრისდიდებით ვერ გამაქცევდნენ. უკაბინეტო გამომძიებელი რანაირი გამომძიებელია!

გარდა ამისა, ისიც არ ვიცოდი, სელინი ნამდვილად სელინი იყო თუ არა და კიდევ, წითელი ბეღურაც არ მეპოვა ჯერ. საქმე ადგილიდან არ იძვროდა. როგორ გაიწელა დღე. ფეხები მაგიდაზე შემოვაწყვე, სკამის საზურგეზე გადავწექი და თვალები დავხუჭე. მალე ჩამეძინა.

მესიზმრა, ვითომ იაფფასიან ბარში ვიჯექი და სოდიან ვისკის ვსვამდი, ორმაგს. შიგნით მარტო მე და ბარმენი ვიყავით, თან იმას ვერც ვარჩევდი კარგად. დახლის მეორე ბოლოში იდგა და "ნეიშნალ ენქუაიერს" კითხულობდა. უცებ კარი გაიღო და ვიღაც, მართლა საცოდავი ნაძირალა, შემოვიდა. წვერი გასაპარსი, თმა შესაჭრელი, თან ყარდა, ისეთი დასაბანი იყო. ტანზე კოჭებამდე დაშვებული ყვითელი საწვიმარი ეცვა, შიგნით — თეთრი პერანგი და ვარდისფერი ყელსახვევი. პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა, მომაფრქვია თავისი სურნელი და გვერდით მომიჯდა. სასმელი მოვსვი. ბარმენი თვალს არ გვაშორებდა. ჩემი მზერა დაიჭირა და უფრო მაგიტომ.

— მშია, — წამოიწყო ბარმენმა, — ასე მგონია, რომ მიმიშვან, ცხენს გავათავებ. — კარგი იქნება, მე რომელზეც მაქვს დადებული, იმას თუ შეეშვები, — ვუთხარი მშვიდად. აღარც მიკვირდა, ასე ბუნდოვნად რომ ვხედავდი. ეტყობა, არ ჰყოფნიდა საჭმელი. თხელი, თხელი, ლანდი გასდიოდა. ლოყები — ჩაცვენილი. თვალი მოვარიდე. ის მეორე ტიპი კიდე ისევ გვერდით მეჯდა.

— ფსტ...

ყურადღება არ მიმიქცევია, ისევ ბარმენს გავუშტერე თვალი.

— მისმინე, — მე ვუთხარი, — ჩავიყვან ბოლომდე ამ ჭიქას და გავალ, შენც მიხედე თავს, გაიარე სადმე, ჭამე ცოტა. — მადლობელი ვარ. ვერ დავკეტავ აქაურობას. მე არაფერი მომივა. მოვიფიქრებ რამეს. — ფსტ... — გვერდზე მჯდომმა ისევ გაიღო ხმა.

— ყურში ნუ მიფშვიტინებ, რა, ძმაო, — მივუბრუნდი მეც.

— ამბავი მაქვს შენთვის...

— არ მჭირდება, გაზეთები წავიკითხე უკვე.

— ასეთ ამბებს გაზეთებში არ წერენ.

— როგორ ამბებს?

— წითელი ბეღურისას.

— ჰეი, ბარმენო, — დავუძახე დახლის ბოლოში ატუზულს. სასმელი ჩამოუსხი ერთი ამ ბატონს! რომი მოუტანე და “კოკა-კოლა”.

ბარმენმა თავის საქმეს მიხედა.

— რედონდო-ბიჩზე ცხოვრობ? — მკითხა.

— აღმოსავლეთ ჰოლივუდში.

— ერთ კაცს ვიცნობ, გაჭრილი ვაშლივით გგავს, ჰოდა, რედონდო-ბიჩზე ცხოვრობს. — რას ლაპარაკობ?!

— მართლა.

სასმელი მოუტანეს, იმანაც ერთი გადაკრა და გამოცალა.

— ძმა მყავდა, გლენდეილში ცხოვრობდა, თავი მოიკლა.

— შენ გგავდა? — უკვე მე ვკითხე.

— ეჰ, ჰო.

— გასაგებია.

— დაც მყავს. ბერბანკში ცხოვრობს.

— ნუ აჭრელებ.

— არ ვაჭრელებ.

— მე წითელი ბეღურის ამბავი მაინტერესებს.

— ვიცი, იმასაც ახლავე მოგიყვები.

— ესე იგი?

— მწყურია ცოტა...

— ბარმენო, — გავძახე, — კიდე ერთი რომი “კოკა-კოლით” ამ ბატონს. ტიპი მშვიდად დაელოდა, როდის მოუტანდნენ დასალევს. მოუტანეს. ისიც სულმოუთქმელად გადაუშვა. მერე მომიტრიალდა, მომაშტერა თავისი პატარა, დაბინდული, ცარიელი თვალები და მითხრა: — ბეღურა თანა მყავს.

— ჰა?

— ჯიბეში მყავს-მეთქი.

— მაგარია! შემახედე ერთი!

დაიწყო ჯიბეში ხელის ფათური, აფათურა ცოტა ხანს, მერე გაჩერდა. — მმმმ... ვერ ვპოულობ...

— შე სირო! მე მატყუებ?! სახეს აგაძრობ!

— მახსოვს, ნამდვილად მყავდა...

— შუაზე გაგხსნი, შე მნძრეველა, შენა!

— მოიცა... მოიცა... ვიპოვე... ჰო. აი, მეორე ჯიბეში მყოლია... სხვაგან ვეძებდი... — ჰოო?

— ჰო, ჰო, აი, ნახე... შეხედე... აი, წითელი ბეღურა!

ამოიღო ჯიბიდან და ბარზე დადო. დავხედე. მკვდარი მტრედი.

— მკვდარი მტრედია ეს!

— არა, არა, წითელი ბეღურაა.

ორიოდე დოლარი დავტოვე დახლზე სასმლის საფასურად, ავდექი, ჩავავლე გაზინთულ საყელოში ხელი იმ ტიპს და კარისკენ გავათრიე ჯიკავ-ჯიკავით, გავიყვანე და ქუჩაში გავუძახე. გამოვტრიალდი, მოვიხურე კარი და რას ვხედავ — ბარმენი დგას, მტრედი უჭირავს ხელში და კბილებით გლეჯს, ჭამს რა. პირი ბუმბულითა და სისხლით ჰქონდა სავსე. შემომხედა და თვალი ჩამიკრა.

უცებ ტელეფონი აწკრიალდა ჩემთან, მაგიდაზე... გამომეღვიძა.

18

ყურმილი ავიღე.

— ბილეინის საგამომძიებლო სააგენტო გისმენთ...

— გროვერსი ვარ. ჰალ გროვერსი. თქვენი დახმარება მჭირდება. პოლიციაში დამცინეს. — რა მოხდა, მისტერ გროვერს?

— უცხოპლანეტელი მითვალთვალებს.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, მისტერ გროვერს, კარგი ერთი...

— ხომ ხედავთ, თქვენც დამცინით!

— მაპატიეთ, გროვერს. მაგრამ სანამ თქვენს ამბავს გააგრძელებდეთ, ჩემი ფასი უნდა გითხრათ.

— რამდენს იღებთ?

— 6 დოლარს საათში.

— არ არის პრობლემა.

— ოღონდ ყალბი ჩეკები არ დავინახო, თორე ჩანთით გაგატანთ უკან თქვენს კაკლებს, გასაგებია? — ფული პრობლემა არ არის-მეთქი, ხომ გითხარით, პრობლემა ქალია. — ვინ ქალი, გროვერს?

— ჯანდაბა. ვისზეც ვლაპარაკობთ, უცხოპლანეტელი.

— ესე იგი, ის უცხოპლანეტელი ქალია?

— დიახ, დიახ...

— რა იცით?

— თვითონ მითხრა.

— დაუჯერეთ მერე?

— რა თქმა უნდა. თან ისეთ რაღაცებს აკეთებდა...

— რას მაინც?

— ჭერიდან შეუძლია გაფრინდეს და ეგეთი რამეები...

— სვამთ ხოლმე, გროვერს?

— რა თქმა უნდა. თქვენ?

— უმაგისოდ როგორ იქნება... მისმინეთ, გროვერს, სანამ უფრო მეტს მომიყვებოდეთ, გამომიარეთ პირადად. მესამე სართულზე ვარ, აიაქსის შენობაში. შემოსვლამდე დააკაკუნეთ.

— რამე საგანგებო ნიშანი გაქვთ?

— დიახ, "გაიპარსე-გაიკრიჭე, კაკ-კუკ", — და მეცოდინება, რომ თქვენ ხართ... — კარგი, მისტერ ბილეინ...

იმის მოლოდინში ოთხი ბუზი დავხოცე. ჯანდაბა, ირგვლივ ყველგან სიკვდილი დაწრიალებდა. კაცებს, ჩიტებს, მხეცებს, ქვეწარმავლებს, მღრღნელებს, მწერებს, თევზებს — არც ერთს არ ჰქონდა გა-

დარჩენის შანსი. შარში ვიყავით. არც ვიცოდი, რით მეშველა. შემომაწვა დარდი. წარმოიდგინეთ, ყოველდღე ვხედავ, როგორ მიწყობს დამხმარე ბიჭი პარკებში ნაყიდ საქონელს და მერე უცებ ვხედავ, როგორ იმარხავს თავს ტუალეტის ქაღალდების, ლუდის ბოთლებისა და ქათმის მკერდის გვერდით. კარზე საიდუმლო კაკუნიც გაისმა.

— შემობრძანდით, მისტერ გროვერს, — გავძახე მე.

შემოვიდა. დაფსხლიკული. 142 სანტიმეტრი სიმაღლის, 71 კილო, 38 წლის, თვალები — მომწვანო-მონაცრისფრო, თან მარცხენა უთამაშებდა, მოკლე, საშინელი, ჩაყვითლებული ულვაში, თმაც ყვითელი, კინკრიხოზე გვარიანად შეთხელებული. მოაბიჯებდა ფეხებმოჩვართული, მოვიდა, დაჯდა.

შევათვალიერეთ ერთმანეთი. მეტი არაფერი გვიქნია მთელ ხუთ წუთს. ბოლოს მომეშალა ნერვები.

— ხმას ამოიღებთ, გროვერს?

— მე თქვენ გელოდებოდით.

— რატომ?

— არ ვიცი.

გადავწექი სკამზე, მოვუკიდე სიგარას, შემოვაწყვე მაგიდაზე ფეხები, ჯერ მოვქაჩე, მერე ამოვისუნთქე, გამოვუშვი კვამლი და მაგარი რგოლიც გამომივიდა. — გროვერს, ამ ქალზე, ამ... უცხოპლანეტელზე... მიამბეთ რამე... — ჯინი ნიტრო მქვიაო, ამბობს.

— განაგრძეთ, გროვერს.

— თქვენც ხომ არ დამცინებთ იმ პოლიციელებივით?

— პოლიციელებივით სხვა ვინ იცინის, მისტერ გროვერს?

— ჰო... მაგარი ნაშაა ისე ეგ კოსმოსიდან მოსული ქალი.

— და რად გინდათ მერე, ამ ნაშამ თავი დაგანებოთ?

— მეშინია, ჩემს გონებას მართავს.

— ეგ როგორ?

— როგორ და, რასაც მეტყვის, ვაკეთებ.

— მაგალითად, საკუთარი ყაყები შეჭამეთო, რომ გითხრათ, შეჭამთ? — მგონი, კი...

— გროვერს, იმ ქალს თავის ცუგრიად უქცევიხართ. ბევრს ემართება ხოლმე ეგრე. — არა, არა, ის ისეთ საოცრებებს აკეთებს, გული მისკდება.

— ყველანაირი "საოცრება" მინახავს, გროვერს, ისეთები მინახავს... — თქვენ არ გინახავთ, როგორ ჩნდება უცებ არსაიდან და ჭერიდან როგორ ქრება მერე. — ყელში ამოხვედით, გროვერს, მიედმოედებით რაღაცას.

— არა, არა, მისტერ ბილეინ.

— არა? სად ჯანდაბიდან ჩამოხვედით, გროვერს? ტყიდან გამოვარდნილივით ლაპარაკობთ.

— არც თქვენ ჰგავხართ გამომძიებელს მაინცდამაინც, მისტერ ბილეინ. — ჰა? რაო? აბა ვის ვგავარ?

— არ ვიცი, შემოგხედოთ ერთი, მოიცათ, დავფიქრდე...

— მეტისმეტად დიდხანსაც ნუ იფიქრებთ, საათი 6 დოლარი გიჯდებათ. — ჰო... სანტექნიკოსს ჰგავხართ.

— სანტექნიკოსს? ესე იგი, სანტექნიკოსს, არა? კარგი. რას გააკეთებდით სანტექნიკოსის გარეშე? სანტექნიკოსზე უფრო მნიშვნელოვანი ადამიანი იცით საერთოდ? — პრეზიდენტი.

— პრეზიდენტი? აი, მანდ ცდებით! ცდებით! პირს გააღებთ თუ არა, ეგრევე სისულელეს ამბობთ ხოლმე.

— არ ვამბობ.

— აი, ხომ ხედავთ! ისევ ცდებით!

სიგარა გვერდზე გადავდე და სიგარეტს მოვუკიდე. ეს ტიპი უბრალოდ მძღნერი იყო. მაგრამ კლიენტი ერქვა. კარგა ხანს არ მომიშორებია თვალი. არადა, არ გინდოდა მაგის ყურება?! გავიხედე გვერ-

დზე. ახლა მის მარცხენა ყურს მიღმა ვიცქირებოდი. — კარგი, მე რა მევალება? ჯინი ნიტროსთან, ამ უცხოპლანეტელთან დაკავშირებით. — მომაშორეთ.

— მკვლელი არ გახლავართ, გროვერს.

— მომაშორეთ, როგორც გინდათ, ისე გააქრეთ ჩემი ცხოვრებიდან! — სექსი გქონდათ?

— დღეს?

— დღეს კი არა, მასთან.

— არა.

— ჩვენი ჩიტუნია სად ცხოვრობს, ხო არ იცით? ან ტელეფონის ნომერი? რას საქმიანობს, არც ის? ტატუ აქვს? ჰობი? რამე განსაკუთრებული ჩვევა? — ეს, ბოლო...

— აბა.

— ჭერიდან გაფრინდება ხოლმე და სულ ეგეთი რამეები.

— გროვერს, გიჟი ხართ. თქვენ მე კი არა, ფსიქიატრი გჭირდებათ. — ვიყავი მაგათთანაც.

— რა გითხრეს მერე?

— არაფერი. უბრალოდ, ისინი საათში ექვს დოლარზე მეტს იღებენ. — რამდენს იღებენ?

— ას სამოცდათხუთმეტ დოლარს.

— თქვენ კიდე იძახდით, გიჟი არ ვარო.

— რატო ვარ?

— ამდენ ფულს რომ კაცი გადაიხდის, ის სრულ ჭკუაზე როგორღა დარჩება. ვისხედით მერე და ვუყურებდით ერთმანეთს. ძალიან სულელური მდგომარეობა იყო. ვცდილობდი, მეფიქრა. საფეთქლები ამტკივდა ბოლოს.

უცებ კარი გაიღო და ეს ქალი არ შემოვიდა?! მოკლედ, ქვეყანაზე ხო მილიარდობით ქალი დადის, ხო მართალია? ზოგს არა უშავს.

ზოგი მართლა ლამაზია. მაგრამ ზოგჯერ დედაბუნება მაგარ ნომერს გვიტარებს და განსაკუთრებულ, დაუჯერებელ ქალს შექმნის ხოლმე. როგორ ქალს ვიძახი, იცით? აი, რო უყურებ და რო არ გჯერა. ეს ტალღოვანი მოძრაობები, გველური, დახვეწილი მიხრა-მოხრა, შესჩერებიხარ ამ კოჭს, ამ იდაყვს, ამ მკერდს, ამ მუხლს და ყველაფერი ერთ უზარმაზარ, ყოვლისმომცველ მშვენიერებად იყრის თავს. ამას დაუმატეთ დიდებული მოღიმარი თვალები, ოდნავ დაბლა დახრილი ტუჩის კუთხეები, თვითონ ტუჩები — ისე მოკუმული, თითქოს ეს არის და სიცილი წასკდებათ შენი უმწეობის შემხედვარეთო. თან ჩაცმაც რა მაგრად იციან და მათი გრძელი თმა ცეცხლის ენასავით მიჰყვება ხოლმე ქარს. როგორ გინდა, ამისთანას ნახვას გაუძლო.

გროვერსი წამოდგა.

— ჯინი.

ქალი ისე შემოსრიალდა ოთახში, იფიქრებდით, სტრიპტიზიორია და ციგურებზე დგასო. პირდაპირ ჩვენ წინ გაჩერდა, მგონი, კედლებსაც კი გააკანკალათ. გროვერსს უყურებდა. — ჰალ, ამ მეორეხარისხოვან გამომძიებელთან რამ მოგიყვანა? — ჰეი, ცოტა ენას მოუკელი, ძუკნა.

— ჯინი, პატარა პრობლემა მაქვს და ვიფიქრე, დამეხმარება-მეთქი. — დაგეხმარება? რაში დაგეხმარება?

— ვერ გეტყვი. ენა გადავყლაპე.

— ჰალ, არავითარი პრობლემა შენ არ გაქვს, მე აქ არ ვარ? მე ყველაფერს ამ მეორეხარისხოვან გამომძიებელზე უკეთ მოგიგვარებ.

ფეხზე ავდექი. ავდექი რა, ვიდექი ისედაც.

— ჰოო, ლამაზო? რას იტყვი, ცხრამეტსანტიმეტრიანი რომ მოგხვდეს? — სექსისტი ღორი.

— ჩაგიდე? ჩაგიდე!

ჯინიმ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, ჭკუიდან გადავ-ყავდით. მერე მოგვიბრუნდა და გროვერსს დააშტერდა.

— მოდი აქ, ძაღლო! იხოხე ჩემ წინ! დროზე!

— არ ქნა, ჰალ! — ჩავერიე მე.

— ჰა?

და ფორთხვაზე გადავიდა, ასე ფორთხვა-ფორთხვით მიაღწია ჯი-ნიმდე, მიადგა ფეხებთან და გაჩერდა.

— ახლა ფეხსაცმლის წვერები ამილოკე ენით.

გროვერსმა აულოკა. ულოკავდა და ულოკავდა, ულოკავდა და ულოკავდა. ჯინიმ გამომხედა და თავმომწონედ გამიღიმა. ნამდვი-ლი ამაყი ღიმილით. ამის ატანა უკვე აღარ შემეძლო.

ვეცი.

— შე ბოზო! — ვუყვირე.

გავიხსენი ქამარი, გამოვიძრე შარვლიდან, გავკეცე შუაზე და შე-მოვუარე მაგიდას. — შე ბოზო, ახლა დაგენძრა!

მივვარდი, თან ჩემი სულის ნარჩენებს მღელვარებისგან სულ კანკალი გაუდიოდა. ჩემს წარმოსახვაში მის ჯადოსნურ უკანალს ცეცხლი ეკიდა უკვე.

— ქამარი დააგდე, შე მნძრეველა.

მითხრა და თითები გაატკაცუნა. ქამარი მაშინვე გამივარდა ხე-ლიდან. ვიდექი გაქვავებული. თვითონ გროვერსს მიუტრიალდა.

— ადექი, შე სულელო, ადექი. ჩვენ მივდივართ აქედან.

— დიახ, ძვირფასო.

გროვერსი წამოდგა და გაჰყვა, კარი გაიღო, მერე დაიხურა. აი, ასე გამშორდნენ. მე მაინც ვერ ვინძრეოდი. ძუკნა, თავისი სხივის მტყორცნელი იარაღიდან მესროლა ეტყობა. ვიდექი გაქვავებული, რა მექნა. არასწორი პროფესია ავირჩიე ვითომ? სადღაც ოცი წუთის

მერე თითქოს მთელ ტანში დამირბინეს ჭიანჭველებმა. ცოტა ხანში თვალებიც დავახამხამე. პირიც გავაღე.

— ჯანდაბა.

ნელ-ნელა სხეულის დანარჩენ ნაწილებსაც დაუბრუნდათ მოძრაობის უნარი. ბოლოს ჯერ ერთი ნაბიჯი გადავდგი, მერე — მეორე, მერე — მესამე, მივყევი, მივყევი, შემოვუარე მაგიდას, გამოვხსენი უჯრა. არაყი ვიპოვე, მოვაძვრე თავი და ვხიე მაგრად. მეთქი, დღეს მეყო, ხვალიდან კიდე ყველაფერს თავიდან დავიწყებ.

19

მეორე დილით ოფისში შეშფოთებული მივბრუნდი. წარმოდგენა აღარ მქონდა, ვინ იყო ჩემი კლიენტი და საერთოდ, რა ჯანდაბა ხდებოდა ჩემს თავს. ვიფიქრე, რამეს მოვიმოქმედებ-მეთქი. ჯეკ ბასის სამსახურის ნომერი ვიპოვე და დავურეკე. — გამარჯობა, — მითხრა.

— ბას, ბილეინი ვარ.

— შე ნაბიჭვარო.

— სიტყვებს დაუკვირდი, ბას, თორე, იცოდე, შავი ქამარი მაქვს. — კიდე ერთხელ შემიშლი ხელს და ნაღდად დაგჭირდება.

— ჯეკ, კარგი რა, მოთიმთიმე ტრაკს ვხედავდი მარტო, სანამ თავი არ მოაბრუნე, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ შენ იყავი?

— ვინ ჯანდაბა გეგონა? შენ გგონია, ჩემს ცოლს საკუთარ სახლში აკითხავს ტიპი გასაჟიმად?

— თან ხშირად.

— რაო?

— არა, რა თქმა უნდა, შენთან სახლში არა, ჯეკ.

— აბა, სად?

— რა მნიშვნელობა აქ.

— როგორ რა მნიშვნელობა აქ?

— იმის თქმა მინდოდა, შენს ამბავს არ ეხება-მეთქი ეს. საქმეს მივხედოთ. — რაო?

— მოკლედ, გინდა, საქმეს ისევ მე მივხედო?

— რა საქმეს უნდა მიხედო, ჩემი უკანალი გადაიღე კამერით, მეტი არაფერი არ გაგიკეთებია.

— შენი საქმე წინ მიდის, ჯეკ.

— მაინც საით?

— კავშირები დავადგინე.

— რაო?

— ძაფის ბოლოს ჩავავლე-მეთქი.

— რა ძაფი? რა კავშირები? რეებს მელაპარაკები?

— თუ გინდა, გაგიგებ, რა კავშირი აქვს შენს ცოლს იმ ტიპთან. ვიცნობ. საეჭვო ვინმეა. ისე, კარგს, მე მგონი, არაფერს აპირებენ.

— ჩაავლებ ორივეს ერთად?

— ჯერ ვერა.

— რატო?

— ფრთხილად ვმუშაობ. თვითონ უნდა ჩამიცვივდნენ ხელში.

— ახლა ვერ ჩაავლებ?

— დავუცდი, სანამ თავს არ წამოყოფს.

— რაო?

— ფაქტზე დავიჭერ პირდაპირ.

— მე მგონი, წარმოდგენა არ გაქვს, რას აკეთებ, ბილეინ.

— ზუსტად ვიცი, რასაც ვაკეთებ. თავს წამოყოფს და ეგრევე დაენ-ძრევა. — რა სიტყვებს იძახი.

— ჯეკ, ცხოვრება საბავშვო ბაღი არ არი. მინდა, რო დავიჭირო და წავატყნა ერთმანეთს. — წაატყნა?

— ჩავავლო-მეთქი, რა. ხო გინდა, რო დაენძრეთ?

— დამამტკიცებელი საბუთები მომიტანე უბრალოდ, მეტი არაფერი მინდა. — ჯერ საქმე საქმეზე მიდგეს რა, ბას.

— მიაგენი რამეს, ბილეინ?

— მივაგენი კი არა, სუნს ვგრძნობ უკვე, ქშენა მესმის, კვალში ვუდგავარ. ვიცნობ მაგ ტიპს. ფრანგია. ფრანგების ამბავი კიდე ხო იცი?

— არა, რა ფრანგების?

— არ იცი, ბას, და აბა, რა გიყო. მთელ დღეს შენთან ხო არ ვილაპარაკებ. მოკლედ, მივხედო ამ ოხერ საქმეს თუ არა? — შენ მითხარი, უკვე ბოლოსკენ ვარო, ჰო?

— ზედ ვაზივარ, ფაქტობრივად.

— რაო?

— მოკლედ, მივხედო ამ საქმეს თუ არ მივხედო? ხუთამდე ვითვლი. ერთი, ორი, სამი... — კარგი, კარგი, მიხედე.

— მშვენიერია, ჯეკ, ახლა, კიდე პატარა ამბავი...

— რა ამბავი?

— ერთი თვის გასამრჯელო მინდა წინასწარ.

— მთელი თვის? შენ არ მითხარი, ბოლოსკენ ვარო?

— მახე უნდა დავუგო. ხაფანგი. უნდა დავრწმუნდე ყველაფერში. ის ტიპი თავს გამოყოფს თუ არა...

— კარგი, კარგი, უკვე გიგზავნი ჩეკს!

და დაახეთქა ყურმილი, კაი შეყვარებულივით. ფუ, ცინგლიანი... მერე გროვერსს დავურეკე. სამსახურის ნომერი მქონდა მისი. სამჯერ გაისმა ზარი და უპასუხა ტელეფონს.

— ალო, — მითხრა, — დამკრძალავი ბიურო "ვერცხლისფერი სავანე" გისმენთ. — ღმერთო, — წამომცდა მე.

— ჰა?

— გროვერს, თქვენ მკვდრებთან გაქვთ საქმე?

— ჰა?

— გვამებთან, გვამებთან. ნიკ ბილეინი ვარ.

— რა გნებავთ, მისტერ ბილეინ?

— მე თქვენი უცხოპლანეტელის საქმეზე ვმუშაობ, მისტერ გროვერს. — დიახ, მახსოვს.

— მითხარით, ჰალ, რატომ მისდევთ ამ საქმეს?

— რას გულისხმობთ?

— მკვდრებთან რა გინდათ-მეთქი. რა გესაქმებათ...

— პროფესია მაქვს ასეთი. თავი ხომ უნდა ირჩინოს რამით კაცმა. — ჰო, მაგრამ მკვდრებით მაინცდამაინც? რა საძაგლობაა. რა ავადმყოფობაა. მკვდარს სისხლს თქვენ უშვებთ ხოლმე? და სად მიგაქვთ მერე ის გამოშვებული სისხლი? — მე არა, თანამშრომელი მყავს მაგისთვის, ბილი ფრენჩი.

— დაუძახეთ, მინდა, დაველაპარაკო.

— გასულია, საუზმობს.

— ანუ ჭამს კიდეც?

— დიახ.

გავჩერდი. დავარტყი ნაფაზი, მერე გამოვუშვი კვამლი და ვუთხარი: — მისმინეთ, გროვერს, ისევ გინდათ, რომ მე მივხედო ამ საქმეს? — ჯინი ნიტროს გულისხმობთ?

— ცხადია. კოსმოსური გოგოები სხვებიც გყავთ მანდ, ბიუროში? — არა, არ გვყავს.

— მოკლედ, გინდათ მოგაშოროთ თავიდან, ხომ?

— რა თქმა უნდა. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ? მე მგონი, იმ ერთხელ, როცა ნახეთ, ჩაისვარეთ ცოტა. — გროვერს, მე კი არა, ტედ უილიამსიც ისვრის ხოლმე. ბოლოს მაგ ბოზს ისეთს შევუსრულებ, თვალით ვეღარ ნახავთ.

— მე მგონი, ბოზი არ უნდა იყოს, მისტერ ბილეინ.

— სიტყვის მასალად ვთქვი. თქვენი ნაშაა და სულ არ მინდოდა მისი შეურაცხყოფა. — გგონიათ, რამეს მოუხერხებთ?

— ახლაც კი, ჩვენ რომ აქ ვლაპარაკობთ, გროვერს, მე მის კვალზე ვმუშაობ, ხელჩასაჭიდს მივაგენი და...

— რა ხელჩასაჭიდს?

— ყველაფერს ხომ არ გეტყვით. მაგრამ ის ამბავი, რომ თქვენ გვამებთან მუშაობთ, ის კიდევ კოსმოსიდან მოსული უცხოპლანეტელია, ნამდვილად კავშირშია ერთმანეთთან. — რას გულისხმობთ, მისტერ ბილეინ?

— ყველაფერს ვერ გეტყვით-მეთქი. მაგრამ მე რჩევა ვკითხე ასეთ საქმეებში გამოცდილ კაცს, უცხოპლანეტელებზე წიგნიც კი აქვს იმას გამოცემული, მაგრამ მეტი ინფორმაცია მჭირდებაო, ასე მითხრა.

— კარგი, რა გაინტერესებთ?

— იყავით მშვიდად. სანამ საქმეს გავაგრძელებდე, კიდევ ერთი ჩეკი მჭირდება, მომდევნო ორი კვირისთვის, წინასწარ. — გგონიათ, მოახერხებთ რამეს?

— ჯანდაბა, ხომ გითხარით, საქმე მოგვარებულია-მეთქი.

— კარგი, მისტერ ბილეინ, ფოსტით გამოგიგზავნით ჩეკს. ორი კვირისას ესე იგი. — ბრძენი კაცი ხართ, მისტერ გროვერს.

— დიახ.

— ოჰ, მისტერ ბილეინ, ბილი ფრენჩი მობრუნდა. გნებავთ, დაელაპარაკოთ? — არა, მაგრამ ჰკითხეთ, რა ჭამა საუზმეზე.

— ერთი წუთით...

დაველოდე. მალე ისევ აიღო ყურმილი.

— როსტბიფი და კარტოფილის პიურეო.

— ფუ, რა გულისამრევია.

— ჰა?

— უნდა წავიდე, მისტერ გროვერს.

— ჰო, მაგრამ, აბა, დამატებითი ინფორმაცია მჭირდებაო?

— კითხვარს გამოგიგზავნით.

დავკიდე ყურმილი და ფეხები მაგიდაზე შემოვაწყვე. რაღაც-რაღაცები თავ-თავის ადგილზე დავალაგე. ისევ ფორმაში ვიყავი მე, ნიკ ბილეინი, კერძო დეტექტივი. აი, წითელი ბეღურის ამბავი კი კვლავაც გასარკვევი მქონდა. კიდევ — სელინის და ქალბატონი სიკვდილის საქმეც. მოკლედ. ყველგან ეს ქალბატონი სიკვდილი უნდა გამომეჩხიროს რა.

და კიდევ ის, კოსმოსური ბოზი.

ბოზი არ დაუძახოო და რა დავუძახო, აბა?

20

უნდა მეფიქრა, თან უამრავ რამეზე ერთდროულად. როგორღაც ყველაფერი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული: კოსმოსი, სიკვდილი, ბეღურა, გვამები, სელინი, სინდი, ბასი. მაგრამ როგორ, ვერ ამეხსნა. ჯერჯერობით მაინც. საფეთქლები დასკდომაზე მქონდა, მეთქი, გარეთ გავიდე, თორე დამერხა. ჩემი ოფისის კედლებზე, სამწუხაროდ, არ ეწერა პასუხები. მთლად გავრეკე, წარმოვიდგინე, ვითომ ლოგინში სამივესთან: ქალბატონ სიკვდილთან, სინდისთან და ჯინი ნიტროსთან ერთად ვიწექი. მეთქი, ვაი მე. დავიხურე ქუდი და გამოვედი გარეთ. იპოდრომზე მოვედი გონს. ჰოლივუდის პარკში. ცოცხალი ცხენები არ ჰყავდათ აქ, ოუკ- სტრიტზე — კი, მაგრამ აქ არა, დოღს ტელევიზორით უჩვენებდნენ, ფსონებს კიდე ჩვეულებრივად იღებდნენ.

დავადექი ესკალატორს, წავედი ზევით. ამ დროს ვიღაც ტიპი მომეხალა შარვლის ჯიბეზე.

— უჰ, უკაცრავად, — მითხრა, — მაპატიეთ.

საფულეს ყოველთვის წინა მარცხენა ჯიბეში ვინახავ. სწავლობ კაცი რაღაცებს თანდათან, გამოცდილებას იძენ, ცხოვრებას თავისი მოაქვს. მხედართა კლუბს ჩავუარე. შევყავი თავი. დაფეხვილი ბებრებით იყო სავსე. ფულიანებით. როგორ მოახერხეს? ან შენ თვითონ რამდენი გჭირდება? ან ვის რაში სჭირდება ეს ყველაფერი? ჩვენ ხომ ყველანი სიღატაკეში ვკვდებით და უმრავლესობა სიცოცხლეშიც სიღატაკეში ვცხოვრობთ. ამ თამაშს მთელი ჯანი მიაქვს. დილით ფეხსაცმელი თუ ჩაიცვი, ეგეც დიდი ამბავია.

შევაღე კარი და შევაბიჯე კლუბში. ფოსტალიონი დავინახე, იდგა და ყავას ხვრეპდა. წავედი მისკენ.

— ვინ მოგცა აქ ყოფნის უფლება? — ვეცი.

სახეზე ნაკვთი არ ეტყობოდა, ისე ჰქონდა შეშუპებული.

— ბილეინ, მოგკლავ, იცოდე.

— ნუ სვამ ყავას, ღამეებს გაგათენებინებს მერე.

— შენს ჩასაძაღლებლად მოვედი, ბილეინ, შენი დღეები დათვლილია. — რომელზე დებ?

— ძაღლის ყურებზე.

— აჰა, — მივეცი რამდენიმე დოლარი, — აბა, შენ იცი.

— ჰე, მადლობა, ბილეინ.

— არაფრის, — ვუთხარი და გამოვედი.

სულ რაღაც გაწუხებს რა კაცს, სულ შფოთავ, ერთი წუთი ვერ მოისვენებ, რო გინდოდეს. მივედი ბართან და დიდი ჭიქით შევუკვეთე ყავა.

— შენ რომელზე დებ, ბილეინ? — მკითხა ოფიციანტმა.

— ვერ გეტყვი, ქვეყანა ჩამოვა ფსონს და მოგება აღარ შეგვხვდება. — მადლობელი ვარ, მნძრეველა, — მითხრა.

მეც გადმოვხვეტე დახლიდან ფეხის ქირად დასატოვებელი ხურდა და ჩავიყარე ჯიბეში. ეკრანთან ახლოს ვიპოვე ადგილი, დავჯექი და პროგრამა გადავშალე. უცებ უკნიდან ხმა მომესმა.

— ეგ ორი დოლარი ვერაფერს ვერ გიშველის, ბილეინ, წასულია შენი საქმე. ფოსტალიონის ხმა ვიცანი. ავდექი და მივუტრიალდი.

— მოიტა უკან ის ორი დედამოტყნული დოლარი.

— შანსი არ არი, ძმაო.

— ძვალს და რბილს გაგიერთიანებ.

გამიღიმა და წამოვიდა ჩემკენ. ვიგრძენი, როგორ შემეხო მუცელზე ბასრი საგანი, წვერი მომადო მხოლოდ, დანარჩენს თითებში მალავდა.

— თხუთმეტსანტიმეტრიანი მიჭირავს ახლა ხელში და იცოდე, სიამოვნებით გამოგფატრავ.

— დღეს რატო არ მუშაობ? ვინ ჯანდაბა დაარიგებს ფოსტას?

— მოკეტე! ვფიქრობ ახლა, მოგკლა თუ არ მოგკლა.

— ძმაო, აი, ათი დოლარი მაქ ჯიბეში, მოგცემ და დადე ძაღლის ყურებზე. — რამდენი?

— 20 დოლარი.

— რამდენი?

ვიგრძენი, როგორ გამისერა კანი.

— 50.

— მოსულა. ამოიღე საფულე, ამოაცურე 50 დოლარი და პერანგის ჯიბეში ჩამიდე. ვიგრძენი, როგორ გამოჟონა ოფლმა. ამოვიღე შარვლის მარცხენა წინა ჯიბიდან საფულე, ამოვაცურე 50 დოლარი და ჩავუცურე იმას ჯიბეში. დანის წვერი მომაშორა. — ახლა დაჯექი, გახსენი ეგ შენი პროგრამა და იკითხე.

დავემორჩილე. ამჯერად კისერზე მომადო დანის წვერი.

— ჩათვალე, გაგიმართლა.

და გავიდა.

ვიჯექი მშვიდად. დავლიე ყავა. ავდექი და გამოვედი მეც. დავეშვი დაბლა ესკალატორით, მივაკითხე მანქანების სადგომს, ჩავჯექი მანქანაში, დავქოქე და მოვშორდი იქაურობას. ხანდახან ისეთი დღე გამოერევა, შანსი არა გაქ. ჰოლივუდამდე არსად გავჩერებულვარ, მერე მანქანა დავაყენე და კინოში შევედი. ავიღე პოპკორნი, გაზიანი სასმელი და დავჯექი. ფილმი დაიწყო, მაგრამ არ მიყურებია. ვახრაშუნებდი პოპკორნს, ვწრუპავდი წვენს და ვფიქრობდი, ნეტა ძაღლის ყურები პირველზე თუ გავიდა-მეთქი.

21

ვერ დავიძინე იმ ღამეს. ლუდი დავლიე, ღვინო დავლიე, არაყი დავლიე — არაფერმა არ მიშველა.

ვერც ერთი საქმე ვერ გადავწყვიტე, ყველა ერთ ადგილზე იყო ჩაყინული. მამაჩემი მეუბნებოდა, არაფერი შენ არ გამოგივაო. თვითონაც არ გამოსვლია არაფერი. აი, რას ნიშნავს ცუდი მემკვიდრეობა.

ტელევიზორი ჩავრთე. საძინებელშიც მედგა ერთი ცალი. გამოვიდა ვიღაც ახალგაზრდა ქალი და მეუბნება, ცოტას გამოგელაპარაკები და მოგეშვებაო. მარტო საკრედიტო ბარათია ამისთვის საჭიროო. მეთქი, არ არსებობს. მერე იმ ქალის სახე გაქრა ეკრანიდან და ჯინი ნიტროს სახე გამოჩნდა.

— ბილეინ, — მითხრა, — იცოდე, ცხვირი არ ჩაყო ჩემს საქმეებში.
— ჰა? — ვკითხე მე.

იმან თავიდან გაიმეორა წინადადება, მე კიდე ტელევიზორი გამოვრთე. არაყი დავისხი, არ გამიზავებია, ჩავაქრე შუქი, ბნელა, დავჯექი საწოლზე და ვხუხე არაყი. უცებ რაღაც ბზუილის მაგვარი

მესმის, ფუტკრების გუნდი სკას რომ ეხვევა და ბზუის, ისეთი ხმა. მერე ალისფრად განათდა უცებ და რას ვხედავ, ჯინი ნიტრო არ მიდგას წინ?! სული კინაღამ გამეპარა.

— შეგაშინე, ბილეინ? — მკითხა.

— არა, რატო. რა ჩვევები გაქ ეს, რა არი? შემოსვლამდე არასდროს არ აკაკუნებ ხოლმე? ჯინი ნიტრომ ოთახი მოათვალიერა.

— მოსამსახურე გჭირდება, — მითხრა, — ძალიან ჭუჭყიანი ბინა გაქ. დავცალე არყის ჭიქა და გადავდე გვერდზე.

— შენ მაგაზე არ იჯავრო, მაინც დაგენძრევა.

— როგორც გამომძიებელს, სამი თვისება გაკლია.

— ჰოო? მაგრამ მაინც მიგიხვდი, რაც გინდა, პატარავ.

— მართლა?

— გროვერსს იმიტომ არ ანებებ თავს, რომ მოკვდავია, ჰოდა, მისი გვამი მშვენიერი თავშესაფარი იქნებოდა შენი უცხოპლანეტელი მეგობრებისთვის. დაჯდა, ჩემს სიგარეტს მიაგნო, გაუკიდა და იცინის.

— შენ გგონია, მე მკვდარ სხეულში ვზივარ ახლა?

— არა, მთლად მასე არ მგონია.

— ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს სხეულებს. მიყურე.

ისევ ის ბზუილი გაისმა, განათდა ალისფრად და ოთახის კუთხეში კიდევ ერთი ჯინი ნიტრო გამოჩნდა. ჩემი ქოთნის ყვავილის გვერდით იდგა.

— გამარჯობა, ბილეინ, — მომესალმა მშვიდად.

— გამარჯობა, ბილეინ, — მითხრა მეორე ჯინი ნიტრომაც, ჩემ წინ რომ იჯდა სკამზე. — ჰე, ორ სხეულში ერთდროულად შეგიძლია ყოფნა?

— არა, — გამომეპასუხა სკამზე მჯდომი, — მაგრამ, — გააგრძელა მეორემ, კუთხეში მდგარმა, — ერთი სხეულიდან მეორეში გადასვლა შეგვიძლია.

საწოლიდან ავდექი. ავიღე ჭიქა და არყით ავავსე.

— შორტებით გძინავს თურმე, — მითხრა ერთმა ჯინი ნიტრომ.

— რა საძაგლობაა, — დაამთავრა მეორემ.

ჩემი სასმლიანად ლოგინზე ავძვერი და ბალიშს დავეყრდენი.

ისევ გაისმა ბზუილი, ისევ განათდა და ის ჯინი ნიტრო, ქოთანთან რომელიც იდგა, გაქრა. ახლა მარტო სკამზე მჯდომს მივჩერებოდი. — მისმინე, — მე ვუთხარი, — გროვერსმა დამიქირავა, მომაშორე ეგ ქალიო და გავაკეთებ, მოგაშორებ, იცოდე. — შენი შესაძლებლობების პატრონის კვალობაზე მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობ. — ჰოო? არადა, ამაზე რთული საქმეებიც მომიგვარებია, ისე.

— მართლა? აბა, მომიყევი.

— ყველა ჩავლილი საქმე კონფიდენციალურია.

— კონფიდენციალურია თუ უბრალოდ არ არსებობს?

— ნერვები არ მომიშალო, ჯინი, თორე...

— რა თორე.

— თორე... — ავწიე ჭიქა, არაყი უნდა გადამეკრა და უცებ პირამდე ხუთიოდე სანტიმეტრი რომ იყო დარჩენილი, გამიშეშდა ხელი. ვერ გავანძრიე.

— მესამეხარისხოვანი ვინმე ხარ, ბილეინ, ნუ მეთამაშები. კარგ ხასიათზე ვარ, იცოდე. ჩათვალე, გაგიმართლა.

გამიმართლა? უკანასკნელი თორმეტი საათის განმავლობაში უკვე მეორედ მესმოდა ეს სიტყვა.

მერე ისევ ბზუილი, ისევ ალისფერი ნათება და ჯინი ნიტროც გაქრა. ვიჯექი საწოლზე, ვერ ვინძრეოდი, ჭიქა პირიდან ისევ ხუთიოდე სანტიმეტრის დაშორებით მეჭირა. ვიჯექი და ველოდი. დრო მქონდა

და ჩემს სამსახურებრივ ბედ- იღბალზე ვფიქრობდი. ბევრიც არაფერი მქონდა საფიქრალი. შეიძლება, არასწორადაც ავირჩიე თავის დროზე პროფესია. მაგრამ თავიდან დაწყება დაგვიანებული იყო უკვე. უბრალოდ ვიჯექი და ველოდებოდი. სადღაც ათ წუთში სისხლი ამიმოძრავდასავით და ოდნავ გავატოკე ხელი. ცოტა ხანში პირთანაც მივიტანე ჭიქა, როგორღაც თავის გადაწევაც მოვახერხე და ერთი მოსმით გადავკარი არაყი. ჭიქა იატაკზე მოვისროლე, გავიჭიმე ლოგინში და ძილს დავუწყე ლოდინი. გავიგონე, როგორ ისროლეს გარეთ და მივხვდი, რომ სამყაროში ისევ ყველაფერი თავის ადგილზე იყო. ხუთ წუთში მეც სხვებივით წამართვა ძილმა თავი.

22

დილით საშინელ ხასიათზე გავიღვიძე. ჭერს ავხედე, ნაპრალებს დავუწყე ყურება. ვხედავდი, როგორ გაურბოდა ბიზონი რაღაცას. ჩემი თავი გამახსენდა. მერე გველსაც მოვკარი თვალი, კურდღელი დაეჭირა. შტორების ნახვრეტებში მზემ შემოაჭყიტა და სვასტიკა დამახატა მუცელზე. ტრაკი მეფხანებოდა. აუ, მეთქი, თუ ისევ ბუასილი მეწყება. კისერი მქონდა დაჭიმული, პირში კიდევ ამჟავებული რძის გემოს ვგრძნობდი.

ავდექი და სააბაზანოში გავედი. მაგრად არ მინდოდა სარკეში ჩახედვა, მაგრამ მაინც ჩავიხედე. დამეწყრილი, განადგურებული სახე მქონდა. ჩაშავებული ტომსიკები მეკიდა თვალებქვეშ. თვალებში — დამფრთხალი, კატისგან გამოჭერილი თაგვის მზერა. ჩემი სხეული თითქოს აღარაფერს აღარ ცდილობდა. თითქოს აღარ უნდოდა, ჩემი ნაწილი ყოფილიყო. წარბები — დაშვებული, დაგრეხილი, გეგონებოდათ, გადაირივნენო, წარმოიდგინეთ, გადარეული წარბები. საშინელება იყო. ამაზრზენად გამოვიყურებოდი. ნაწლავების და-

საცლელადაც არ აღმოვჩნდი მზად, საცობი მედო, რა. მივედი უნიტაზთან, მეთქი, მოვფსამ მაინც. ზუსტად დავუმიზნე, მაგრამ როგორღაც მაინც ავაცილე და ცოტა მოვწუწე იატაკი. კიდე ვცადე დამიზნება და ახლა უნიტაზის დასაჯდომი შემომეწუწა, აწევა დამვიწყნია. მოვხიე ტუალეტის ქაღალდი და მოვწმინდე იქაურობა, იატაკიც, დასაჯდომიც, ჩავაგდე მერე ქაღალდი ნაგვის ყუთში და ჩავრეცხე უნიტაზი. მივედი ფანჯარასთან და გადავიხედე. რას ვხედავ — კატა ზის მოპირდაპირე სახლის სახურავზე და ჯვავს. ვიპოვე ჯაგრისი, მოვუჭირე ხელი კბილის პასტას. ბევრი გამოვიდა. ზანტად გადმოეკიდა ჩემს ჯაგრისს და დაეტყეპა ნიჟარას. მწვანე იყო რატომღაც. მატლს გავდა. ამოვუსვი თითი, შევახოცე ჯაგრისს და დავიწყე ხეხვა. კბილები. ფუ, რა საძაგლობა რამეა. სულ უნდა ვჭამოთ, ვჭამოთ და ვჭამოთ. რა გულისამრევები ვართ, განწირულები ჩვენი პატარ- პატარა საქმეების საკეთებლად. უნდა ვჭამოთ სულ, ვაკუოთ, ვიფხანოთ, ვიღიმოთ, დაბადების დღეები აღვნიშნოთ. მოვათავე კბილების ხეხვა და დავბრუნდი ლოგინში. აღარ მქონდა აღარაფრის თავი. ჭიკარტივით ვიყავი, ლინოლეუმის ნაგლეჯივით.

მეთქი, შუადღემდე არ ავდგები ლოგინიდან. ეგებ ამოწყდეს იქამდე ნახევარი კაცობრიობა და მეორე ნახევრის ატანა სანახევროდ გულისამრევი იყოს-მეთქი. იქნებ შუადღემდე მოვმჯობინდე ცოტა, თავიც უკეთ ვიგრძნო. ვიცნობდი ერთ ტიპს, რამდენიმე დღე არ გასულა კუჭში და გასკდა. მართლა გასკდა. მძღნერმა მუცლიდან იფეთქა პირდაპირ.

როდის-როდის ტელეფონმა დარეკა. მეთქი, რეკოს. დილით არასდროს არ ვპასუხობ არავის. ხუთჯერ დარეკა და გაჩერდა, როგორც იქნა. სულ მარტო ვიყავი აქ, ჩემთან, მეზიზღებოდა საკუთარი მდგომარეობა, მაგრამ სხვასთან, ვიღაცასთან, თავისი პატარ- პატარა ეშმაკობებით და ყირაზე გადასვლებით შეპყრობილთან ყოფნას,

მაინც ასე მერჩივნა. ნიკაპამდე ამოვიწიე საბანი და ლოდინი დავიწყე.

23

იპოდრომზე რომ მივედი, მეოთხე გარბენი ჯერ არ დაეწყოთ. უნდა გამერღვია ეს ჩაკეტილი წრე. ყველა ჩემი საქმე ჩიხში შევიდა. ჯიბიდან ფურცელი ამოვიღე, ჩამოწერილი მქონდა ყველაფერი: 1. გავარკვიოთ, არის თუ არა სელინი სელინი და გავაგებინოთ ქალბატონ სიკვდილს. 2. ვიპოვოთ წითელი ბეღურა.

3. დავადგინოთ, ღალატობს თუ არა ბასს სინდი, თუ ღალატობს, ჩავავლოთ. 4. მოვაშოროთ გროვერსს თავისი უცხოპლანეტელი.

დავკეცე ფურცელი და ისევ ჯიბეში ჩავიდე. გადავშალე პროგრამა. მეოთხე გარბენი იწყებოდა. იდგა თბილი, სასიამოვნო დღე, ირგვლივ თითქოს თვლემდა ყველაფერი. უცებ უკნიდან ხმა მომესმა, ეტყობა იჯდა ვიღაც, მივბრუნდი და სელინი შემრჩა ხელში. გამიღიმა.

— რა კარგი ამინდია, არა?

— აქ რა ჯანდაბა გინდა? — ვკითხე მე.

— ბილეთი ავიღე. იქ არ დაუსვამთ შეკითხვები.

— მითვალთვალებ, შე დედამოტყნულო?

— მეც ზუსტად მაგის კითხვა მინდოდა.

— არაფერი აღარ მესმის, — ვაღიარე გულწრფელად.

— აღარც მე, — დამეთანხმა, გადმოაბიჯა სკამებს და დამიჯდა გვერდით, — უნდა ვილაპარაკოთ.

— რა თქმა უნდა, ოღონდ, პირველ რიგში, რა გქვია, ის მითხარი? მართლა რა გქვია. ვიგრძენი, გვერდში როგორ მომედო მოკლეცხვირიანი რევოლვერი. პალტოს შიგნიდან ეჭირა.

— ტარების უფლება გაქ? — ვკითხე მე.

— აქ მე ვსვამ კითხვებს, — მიპასუხა და ოდნავ მატაკა ლულა. — მიდი, დაიწყე.

— ვინ დაგიქირავა.

— ქალბატონმა სიკვდილმა.

— ქალბატონმა სიკვდილმა? — და სიცილი აუტყდა, — არ გინდა რა. — რა არ მინდა. ასე ეძახის თავის თავს, ქალბატონი სიკვდილი ვარო. — გიჟია?

— ალბათ.

— სად ვნახო ეგ ძუკნა?

— მე რა ვიცი, თვითონ მპოულობს ხოლმე.

— შენ გგონია, მაგას ვჭამ?

— რაც ვიცი, იმას გეუბნები.

— რა უნდა.

— აინტერესებს, მართლა სელინი ხარ თუ არა.

— ჰოო?

— ჰო.

— ამ გარბენში რომელი მოგწონს?

— მწვანე მთვარე.

— მწვანე მთვარე? მეც.

— კარგი, ავალ, დავდებ და მოვბრუნდები.

ვთქვი და წამოვიწიე ასადგომად.

— დაჯე, თორე დაგაჭრი ყვერებს.

დავჯექი.

— მოკლედ, არ მინდა, ეგ ქალი კვალში მედგეს. ნამდვილი სახელიც მჭირდება მაგის. არ ვჭამ მე მაგ ქალბატონი სიკვდილი ქვია და რაღაცებს. და მინდა, შენ მიხედო ამ საქმეს. ახლავე მიხედო.

— კი მაგრამ, ის ქალია ჩემი კლიენტი და შენ როგორღა უნდა იყო? — ეგ შენ თვითონ მოხარშე, პუტკუნ.

— პუტკუნ?

— შეხედე, ღიპი გკიდია.

— მკიდია თუ არ მკიდია, ვინმეზე რომ ვმუშაობ, ფულს მიხდიან სხვათა შორის, თან იაფი არ ვღირვარ.

— მაინც?

— საათი ექვსი დოლარი.

ჩაიყო ჯიბეში ხელი, დახვეული ბანკნოტები ამოიღო და მომიგდო. — ერთ თვეს გეყოფა.

უცებ ბრბო ახმაურდა. ცხენები ფინიშის ხაზს გაუსწორდნენ და, თქვენი აზრით, ვინ მოქროდა პირველი და ვინ უსწრებდა მომდევნოს ლამის მთელი კორპუსით? ვინ მოიგო მეოთხე გარბენი? მწვანე მთვარემ. ფსონი იყო ექვსი ერთთან. — ჯანდაბა, — მე ვუთხარი, — ძვირად მიზიხართ, მწვანე მთვარემ მოიგო. — მოკეტე და მიხედე ჩემს საქმეს.

— კარგი, კარგი, როგორ გიპოვო?

— აჰა, ჩემი ნომერი, — მითხრა და ფურცლის ნაგლეჯი გამომიწოდა. მერე ადგა, გაიარა სკამებს შორის და თვალს მიეფარა.

ვიცოდი, რაღაც ძალიან დიდ ამბავში გავები, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რაში. მეთქი, კაი, მივხედავ საქმეს, რაც იქნება, იქნება. გადავშალე პროგრამა და მეხუთე გარბენისთვის ავირჩიე ცხენი.

24

მეორე დღეს დამკრძალავ ბიუროში გავიარე, “ვერცხლისფერ ნავსადგურში”, უნდა შემემოწმებინა რაღაც-რაღაცები. მაგარი ბიზნესია ძაან, ყველა სეზონზე მუშაობს. დავაყენე მანქანა და შევედი. კაი ადგილი იყო — დარბაზში საოცარი სიწყნარე, ძირს სქელი ჭუჭყიანი ხალიჩები. გავიარე იქაურობა და მეორე ოთახში გადავედი. ის კუბოებით გამოეტენათ. რანაირ კუბოს არ ნახავდით — დიდებს, პატარებს, განიერებს, ვიწროებს. მე არა, მაგრამ ხო არი ხალხი, წინასწარ რო ყიდულობს ჩასასვენებელს. ფუ, ჩემი. კაცის ჭაჭანება არ იყო. მეთქი, მოკიდე ახლა ამ კუბოს ხელი, მიაბი მანქანაზე და ჰაიდა. სად ჯანდაბაში დაიარებოდა გროვერსი? გროვერსი კაი და დანარჩენი თანამშრომლები? მერე შემიჩნდა რაღაც, შემიჩნდა და არ მომასვენა, ჰოდა, ვერ მოვითმინე, ავხადე კუბოს თავი, ჩავიხედე შიგნით და ვიყვირე, მაგრამ რა ვიყვირე. ვუშვი ეგრევე ხელი სახურავს. შიშველი ქალი იწვა ჩასასვენებელში. ახალგაზრდა, ლამაზი, მკვდარი ოღონდ. აუ. შემოვარდა ჰალ გროვერსი.

— ბილეინ! აქ რა გინდათ?

— რა მინდა? როგორ თუ რა მინდა? რას გულისხმობთ? თქვენ სად ჯანდაბაში იყავით, გროვერს? — ტუალეტში. რა გაყვირებდათ?

ხელით ვაჩვენე.

— გვამი გიწევთ კუბოში! მაგარი ნაშაა! აი, ძუძუები!

გროვერსი მივიდა და ახადა თავი კუბოს.

— არავითარი გვამი არ არის აქ, მისტერ ბილეინ.

— ჰა?

მივედი მეც და ჩავიხედე. ჩასასვენებელი ცარიელი დამხვდა. მოვტრიალდი და მკლავებში ვეცი გროვერსს.

— მასულელებ, პატარავ! ვნახე, ჩემი თვალით ვნახე! მაგარი მკვდარი ნაშა! მასულელებთ, არა? შენ და ბილი ფრენჩი მასულელებთ, ის სისხლის მწოველი ისა! ჩემთან ხუმრობას არ გირჩევ, გროვერს.

— არ გასულელებთ, ბილეინ, მოგეჩვენათ უბრალოდ.

გავუშვი ხელი.

— ბოდიშს გიხდით, — მე ვუთხარი, — აქამდეც უნდა მივმხვდარიყავი. — რას უნდა მიმხვდარიყავით?

— ჯინი ნიტროს ოინებია ყველაფერი. ის მეთამაშება, იცის, თქვენს საქმეზე ვმუშაობ და იმიტომ.

— იმ ამბის მერე აღარ მინახავს, შეიძლება წავიდა საერთოდ. — არსად არ წასულა, უცდის, გროვერს, უცდის.

— რას უცდის?

— ჯერ ზუსტად არ ვიცი.

უცებ შემოვტრიალდი და ოთახი მოვათვალიერე.

— გროვერს, ჩქარა მითხარით, რამდენი მკვდარი გყავთ?

— ორი გვყავს მზად, გამოსამშვიდობებელ ოთახში არიან.

— უნდა ვნახო ორივე.

— რაო?

— გინდათ, მივხედო ამ საქმეს ბოლო-ბოლო, თუ არ გინდათ?

— მინდა... რომ მიხედოთ, კი.

— ჰოდა, მაშინ უნდა ვნახო ის გვამები.

— რატომ?

— რომ გითხრათ, მაინც ვერ მიხვდებით და აზრი?

— რისი თქმა გინდათ ამით?

— დაივიწყეთ. ახლა წავიდეთ, ვნახოთ.

— კი მაგრამ, ეს ყველა წესის დარღვევაა.

— წამო, წამო.

— კარგი, გამომყევით...

გავედით გამოსამშვიდობებელ ოთახში. დიდებული ადგილი იყო. ბნელოდა, სანთლები ციმციმებდა. ორი კუბო იდო გვერდიგვერდ.

— ესეც ასე, ვნახოთ, — ვუთხარი გროვერსს.

— არ მეტყვით, რად გინდათ ამათი ნახვა?

— ჯინი ნიტროს უნდა, თავისი უცხოპლანეტელები ამ გარდაცვლილების სხეულებში ჩაასახლოს. თავშესაფარი მისცეს, ნიჟარასავით, აი, კუებს რომ აქვთ ჯავშანი, დაახლოებით ისე. ზუსტად ამ გვამების გამო არ გშორდება ნიტრო. — ჰო, მაგრამ ესენი ხო მკვდრები არიან, გახრწნა აქვთ დაწყებული უკვე. თან მიწაში უნდა დავმარხოთ მერე. რაში უნდა გამოადგეთ ესენი, ვერ ვხვდები. — მოკლედ, უცხოპლანეტელები, სანამ დაიმარხება სხეული, მანამდე რჩებიან შიგ. რო დაიმარხება, მერე სხვა მკვდარს მოძებნიან.

— ჰო, მაგრამ დამალვა თუ უნდათ, რაღა მიცვალებულებში მიძვრებიან? წყალსატევებში დაიმალონ, გამოქვაბულებში, სადმე მასეთ ადგილას, რა ვიცი. ან ცოცხალ სხეულებში ჩასახლდნენ, ბოლო-ბოლო.

— რა სულელი ხართ, ცოცხლები ხო წინააღმდეგობას გაუწევენ. გახსენით ეს კუბოები, გროვერს! აქ იქნებიან, დარწმუნებული ვარ. — მე მგონი, შეიშალეთ, ბილეინ.

— მიდით, გახსენით.

გროვერსი დამემორჩილა და გახსნა ერთი. ლამაზი კუბო იყო, მუხის. ასე 38 წლის კაცი ესვენა შიგნით, ხშირი წითური თმა ჰქონდა და ღარიბული კოსტიუმი ეცვა. მივბრუნდი და შევხედე გროვერსს.

— ერთი იმათგანი ამაში ზის ახლა.

— საიდან იცით?

— დავინახე, როგორ გაინძრა.

— ჰა?

— დავინახე, როგორ გაინძრა-მეთქი.

მივწვდი და ვტაცე ხელი ყელში მიცვალებულს. თავი რომ გადავაქნევინე, ოდნავ გაეხსნა პირი და თეთრ ბამბასავით რაღაც გადმოუვარდა.

გავხტი უკან.

— ჯანდაბა! რა არი ეს?

გროვერსმა დანანებით ამოიხვნეშა.

— ბილეინ, რამდენი ხანი ვიწვალე, რომ ბამბით ამომევსო ლოყები, ცოცხალი, ჯანმრთელი კაცის შესახედაობა ექნება-მეთქი. შენ კიდე წყალში ჩამიყარე ყველაფერი, ახლა თავიდან მაქვს სულ საკეთებელი.

— ბოდიშს ვიხდი, არ ვიცოდი. მაგრამ საქმის გახსნასთან, მე მგონი, ახლოს ვართ. თუ შეიძლება, გახსენით მეორე კუბოც!

— თვითონ გახსენით! ფუ, რა ამაზრზენია ეს ყველაფერი. წარმოდგენა არ მაქვს, რატო გაძლევთ ამდენის უფლებას. მეც შევიშალე, ეტყობა.

მეორე ფიჭვის კუბო იყო, მივედი და გავხსენი. ჩავიხედე. ჩავიხედე და გავშეშდი. თვალებს არ დავუჯერე.

— მეხუმრებით, გროვერს? თუ მეხუმრებით, ვერ გამოგივიდათ მაინცდამაინც კარგი ხუმრობა. სულ არ არის სასაცილო.

კუბოში მე ვიწექი. სასახლეს შიგნიდან ხავერდი ჰქონდა ამოკრული, მე კიდე ვიწექი და ვიღიმებოდი მკვდრის ღიმით. მუქი ყავისფერი, დანაოჭებული კოსტიუმი მეცვა, ხელები გულზე მეწყო და თეთრი მიხაკი მეჭირა.

მივუბრუნდი და მივაჩერდი გროვერსს.

— რა ჯანდაბა ხდება აქ? სად ნახეთ ეს?

— ოჰ, ეს მისტერ ენდრიუ დუგლასი გახლავთ, მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით. ადგილობრივი საზოგადოების აქტიური წევრი იყო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

— რას მიედ-მოედებით, გროვერს, ჩემია ეს ცხედარი. მე ვარ! — სისულელეს ამბობთ, — მითხრა და მივიდა კუბოსთან, — ეს მისტერ დუგლასია. მივედი მეც და ჩავიხედე. სამოცდაათი-ოთხმოცი წლის კაცი იწვა შიგნით. კარგად გამოიყურებოდა. ლოყებზე ფერ-უმარილი წაესვათ, ტუჩებზე — პომადა. კანი ისე ულაპლაპებდა, ცვილით დაფარული გეგონებოდათ. მაგრამ ეს კაცი მე ნამდვილად არ ვიყავი.

— სულ ჯინი ნიტროს ოინებია, — ვთქვი მე, — ეგ გვეთამაშება. — მე მგონი, რაღაცები აგერიათ, მისტერ ბილეინ.

— მოკეტე რა.

უნდა დავფიქრებულიყავი, ყველაფერი როგორღაც ერთმანეთთან უნდა დამეკავშირებინა. მაგრამ როგორ? ამ დროს კიდევ ვიღაც შემოვიდა და კარში ჩადგა. — სხეული მზადაა, ჰალ.

— გმადლობ, ბილი, შეგიძლია, წახვიდე.

ბილი ფრენჩი მიტრიალდა და გავიდა.

— ღმერთო ჩემო, გროვერს. ეს ხელებს არ იბანს?

— რას გულისხმობთ?

— წითელი ქონდა ხელები, დავინახე.

— რა სისულელეა.

— დავინახე-მეთქი, წითელი ქონდა.

— მისტერ ბილეინ, მესამე ჩასასვენებელშიც ხომ არ ჩაიხედავდით? ცარიელი კია, მაგრამ მაინც. ერთმა ჯენტლმენმა შეუკვეთა წინასწარ.

მივბრუნდი და დავაცქერდი მითითებულ კუბოს.

— თვითონ შიგნით წევს, გროვერს?

— არა, თვითონ ის ჯენტლმენი ცოცხალია. წინასწარ შეუკვეთა. ათპროცენტიანი ფასდაკლება გვაქვს ხოლმე იმათთვის, ვინც წინასწარ უკვეთავს. თქვენც ხომ არ ინებებთ ერთს? მართლა კარგი კოლექცია გვაქვს.

— დიდი მადლობა, გროვერს, მაგრამ შეხვედრაზე ვარ წასასვლელი ახლა... დაგიკავშირდებით კიდევ.

მოვტრიალდი და გამოვედი, გამოვიარე მისაღები ოთახი და როგორც იქნა, გამოვაღწიე გარეთ, სუფთა ჰაერზე. ესენი ვინ არიან, იცით, ეს ნაბიჭვრები, წინასწარ რო ყიდულობენ კუბოებს? კვირაში ექვსჯერ რო ანძრევენ, ისინი არიან.

ჩავჯექი ჩემს ხოჭოში. დავაჭირე გაზს და გავვარდი გზაზე. ვიღაც ფურგონიანმა ტიპმა გადაწყვიტა, მანქანა გამისვაო და შუათითი მიჩვენა. მეც არ ჩამოვრჩი, ავდექი და მეც ვუჩვენე.

გაწვიმდა, მარჯვენა ხელით ფანჯარა ავწიე და რადიო ჩავრთე.

25

მეექვსე სართულზე ლიფტით ავედი. ფსიქიატრს სეიმურ დანდი ერქვა. შევაღე კარი, შევედი. მისაღები ოთახი გიჟებით იყო სავსე, მაგალითად, ერთ ტიპს გაზეთი უკუღმა ეჭირა და ისე კითხულობდა. დანარჩენები, უმრავლესობა, ქალებიც და კაცებიც, ჩუმად ისხდნენ. სუნთქავდნენ თუ არ სუნთქავდნენ, ვერაფრით ვერ შეატყობდით. რაღაცნაირ მძიმე, შავბნელ განწყობას გაეძეძგა ოთახი. ჩავეწერე მიმღების მაგიდასთან და დავჯექი. გვერდით ტიპი მეჯდა, ცალ ფეხზე ყავისფერი ფეხსაცმელი ეცვა, მეორეზე — შავი. — ჰეი, მეგობარო, — შემომეხმიანა.

— ჰო.

— ცენტიანს ვერ დამიხურდავებ?

— ვერა, დღეს ვერა.

— ხვალ?

— ხვალ შეიძლება, — მე ვუთხარი.

— მაგრამ ხვალ შეიძლება ვერც გნახო, — დაიჩივლა იმან.

დიდი იმედი მაქვს-მეთქი, გავიფიქრე.

ვიცდიდით და ვიცდიდით გაუთავებლად. ყველანი ერთად ვიცდიდით. კი მაგრამ, არ იცოდა ამ ექიმმა, რომ მოლოდინი აგიჟებს ზუსტად ხალხს? ადამიანები ხომ მთელი ცხოვრება იცდიან. ჯერ ახალი ცხოვრების დაწყებას უცდიან, მერე სიკვდილს უცდიან. რიგებში იცდიან, ხან — ტუალეტის ქაღალდის საყიდლად, ხან — ფულის ასაღებად. თუ ფული არა აქვთ, უფრო დიდ რიგებში უწევთ დგომა და უფრო მეტს იცდიან. ჰოდა, უცდი ასე, როდის დაგეძინება, როდის გაეყრები ცოლს, უცდი, როდის გაწვიმდება, როდის გადაიღებს, როდის შეჭამ ერთხელ და მერე მეორედ როდის შეჭამ. ბოლოს ზიხარ ფსიქიატრის მისაღებში გადარეულებთან ერთად, იცდი და იმას ფიქრობ, ნეტა მეც ამათნაირი ვარ თუ არაო.

იმდენ ხანს ვიცადე, ჩამეძინა და მდივანმა გამაღვიძა:

— მისტერ ბილეინ, მისტერ ბილეინ, თქვენი რიგია.

ეს მდივანი საშინელი, მახინჯი, ასაკოვანი ქალი იყო, ჩემზე მახინჯიც კი. სახე ცხვირთან ქონდა მოტანილი, გული გამისკდა კინაღამ. სიკვდილი, ალბათ, ამას გავს-მეთქი, გავიფიქრე, ამ მახინჯ, ასაკმორეულ ქალს. — ძვირფასო, მე მზად ვარ, — ვუთხარი მამაცურად.

— გამომყევით.

გავიარეთ მისაღები, მდივანმა კაბინეტის კარი გამიღო და დავინახე, აი, მეტისმეტად თვითკმაყოფილი სახის ტიპი იჯდა მაგიდასთან, მუქი მწვანე პერანგი და ღილებჩახსნილი ნარინჯისფერი სვი-

ტერი ეცვა და მუნდშტუკით ეწეოდა სიგარეტს. — დაბრძანდით, — მითხრა და სკამზე მიმითითა.

მდივანმა გაიხურა კარი და გაქრა.

დანდიმ ქაღალდზე პასტით რაღაცების ხატვა დაიწყო და თავი არ აუწევია, ისე შემატყობინა:

— საათი 160 დოლარი დაგიჯდებათ.

— არც გაატრაკო.

ამომხედა:

— ჰე, ეს მომწონს!

ხატა ერთხანს რაღაც კიდე თავისთვის და:

— რამ მოგიყვანათ ჩემთან? — მკითხა.

— საიდან დავიწყო, არ ვიცი.

— საიდან და ათიდან დათვალეთ ერთამდე, უკუღმა.

— დედაშენს ათვლევინე უკუღმა!

— ჰე, და დედათქვენთან რა ურთიერთობა გქონდათ?

— რა ურთიერთობა? სიტყვიერი? სულიერი? რას გულისხმობ?

— მშვენივრად იცით, რასაც ვგულისხმობ.

— არა, არ ვიცი.

იმან მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ცერს დაადო, რკალი გააკეთა, მერე მარჯვენა ხელის სალოკი თითი შეყო ამ ნახვრეტში და დაუწყო წინ და უკან მოძრაობა. — ამას ვგულისხმობ, — მითხრა, — მმმ...

— ჰო, — დავეთანხმე, — მახსოვს, როგორ არ მახსოვს, ერთხელ ზუსტად ეგეთი რკალი გააკეთა ხელით და მე კიდე თითით ვშვებოდი მასე.

— ჩემს მასხრად ასაგდებად მოხვედით აქ? არ გირჩევთ!

გადავაწექი მაგიდას და მეთქი:

— მაგრად გაგიმართლა, მარტო დაცინვას რო გამომრჩი!

— ჰო, — და უკან გადაიხარა სკამზე, — ასეა საქმე?

— კი, მაიმუნობები არ გინდა ჩემთან, პატარავ, თორე საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ. — გთხოვთ, დამშვიდდით, მისტერ ბილეინ, რა გნებავთ, მითხარით. რო დავკარი მუშტი მაგიდას...

— შეგაჩვენათ ღმერთმა, დახმარება მინდა.

— რა თქმა უნდა, მისტერ ბილეინ, რა თქმა უნდა, როგორ მომაგენით? — სატელეფონო ცნობარიდან.

— სატელეფონო ცნობარიდან? არა ვარ მე მაგ ცნობარში.

— როგორ არა ხართ, სეიმურ დანდი, ფსიქიატრი, გარნერ ბილდინგი, 604-ე ოთახი. — ეს 605-ე ოთახია. მე სამუელ დილონი ვარ, ადვოკატი. მისტერ დანდი გვერდით ოთახში ზის. ვშიშობ, მისამართი შეგეშალათ.

ავდექი და გავუღიმე.

— მასულელებ, არა, დანდი, დამიძვრე გინდა, არა? თუ გგონია, რო გამაცურებ, აი, ქათმის სკლინტი გაქ თავში, ტვინი კი არა.

იქ იმისთვის ვიყავი მისული, უნდა გამერკვია, სელინი, წითელი ბეღურა, ქალბატონი სიკვდილი, უცხოპლანეტელები, სემ და სინდი ბასები მართლა არსებობდნენ თუ მე ვერ ვიყავი ჯანმრთელად. აღარაფერს გავდა ეს ყველაფერი. მეთქი, ხო არ გადავედი ჭკუიდან? რა მინდა საერთოდ, რატო მინდა?

ამ ტიპმა, სამუელ დილონს რომ ეძახდა თავის თავს, ზარი დააწკრიალა, შემოვიდა მდივანი. ისევ ჩემზე მახინჯი იყო, რა შეცვლიდა.

— მოლი, — უთხრა, — თუ შეიძლება, გვერდით, მისტერ დანდის კარამდე მიაცილეთ ეს ჯენტლმენი. დიდი მადლობა.

გავყევი მდივანს ისევ უკან დერეფანში, შემიღო 604-ის კარი და: — ყურადღებით იყავი, მნძრეველ...

ისევ იმ გატენილ ოთახში შევედი. პირველი, რაც დავინახე, ის ტიპი იყო, ცალ ფეხზე რო ყავისფერი ფეხსაცმელი ეცვა და მეორეზე — შავი და პენი დამიხურდავეო, რო მთხოვა. იმანაც მომკრა თვალი.

— ჰეი, მისტერ...

ჩავუარე.

— შენც ეგრე დაგემართა, არა, ჰა?

— რა დამემართა?

— ჰე, ჰე... კარი შეეშალა... კარი შეეშალა...

მოვბრუნდი და წამოვედი. ჩავჯექი ლიფტში. ჯერ ველოდე, სანამ პირველ სართულამდე ჩამოვედი, მერე კარის გაღებას ველოდე. გამოვაჭერი, გამოვიარე ჰოლი, გავაღწიე ქუჩაში. მოვნახე ჩემი მანქანა. ჩავჯექი. დავქოქე. დაველოდე, სანამ გათბებოდა, წავედი შუქნიშნისკენ. წითელი დამხვდა ანთებული. იქ ველოდე, დავაჭირე სანთებელას, ისევ ველოდე. აინთო მწვანე, ამოვარდა სანთებელაც, თან მივდივარ, თან მოვუკიდე სიგარეტს. მეთქი, აჯობებს, ოფისში დავბრუნდე. ისეთი გრძნობა მქონდა, დარწმუნებული ვიყავი, იქ ვიღაც უეჭველად მელოდებოდა.

26

შევცდი. ოფისში არავინ დამხვედრია. შემოვიარე სულ და მივუჯექი მერე მაგიდას. უჩვეულო გრძნობა დამეუფლა. რაღაც ვერ ვაკავშირებდი ამდენ ამბავს ერთმანეთთან. მაგალითად, რატო ეჭირა ადვოკატის მისაღებში იმ კაცს გაზეთი თავდაყირა? ხო აშკარად ფსიქიატრთან უნდა მჯდარიყო ეგ? თუმცა შეიძლება მარტო გაზეთის ყდა იყო უკუღმა დაბეჭდილი, შიგნით კიდე ტექსტი წაღმა წერებულიყო? არსებობდა კი ღმერთი? წითელი ბეღურა სად იმალებოდა? ძალიან ბევრი რამე მქონდა გასარკვევი. დილით ლოგინიდან ადგომა სამ-

ყაროს ყრუ კედელთან ცხვირით შეჯახებას ნიშნავდა. იქნებ ჯობდა, სტრიპტიზბარში მივსულიყავი და ხუთდოლარიანი ვინმესთვის სტრინგებში ჩამეკუჭა? და ყველაფერი დამევიწყებინა. იქნებ კრივის საყურებლად შემევლო და მეცქირა, როგორ აძრობდნენ სიფათს ერთმანეთს?

ზუსტად გაჭირვება და ტკივილი აძლიერებს ადამიანს, ან სხვაგვარად, სურვილი, გაჭირვებას და ტკივილს თავი დააღწიოს — ის აძლიერებს. მთელ დღეს მოითხოვს ეს საქმე და ზოგჯერ ძილშიც ვერ ისვენებს კაცი. ბოლო სიზმარში, რაც ვნახე, სპილოს ვეწექი ქვეშ, ვერ ვინძრეოდი, თავს ზემოთ კი — უზარმაზარი, ყველაზე დიდი რამე წარმოიდგინეთ — განავალი მეკიდა და აი, უკვე რო უნდა ჩამოვარდნილიყო, ამ დროს ჩემმა კატამ, ჰამბურგერამ, გადამიარა და გამეღვიძა. მოუყვები ამ სიზმარს ფსიქიატრს და ის იმისთანა საშინელებას გამოიყვანს მანდედან, გული გაგისკდება. რატომ? იმიტომ, რომ ძვირს უხდი და უნდა, გულზე დარდი მაგრად შემოგაწვეს. გეტყვის, რომ ეს განავალი პენისს ნიშნავს და რომ შენ ან გეშინია მისი, ან გინდა, პირიქით — რაღაც ასეთ სირობას გეტყვის. სინამდვილეში კიდე ან თვითონ არი შეშინებული, ან თვითონვე უნდა ეს პენისი. არადა, ეს უბრალოდ სიზმარია სპილოს უზარმაზარ განავალზე და მეტი არაფერი. ზოგჯერ რაღაცები, რასაც ხედავ, ზუსტად იმას ნიშნავს და არ არი საჭირო წინ და უკან ტრიალი. სიზმრის საუკეთესო ამხსნელი თავად დამსიზმრებელია. ფული კიდე დაიტოვე ჯიბეში. თუ არადა, კარგ ცხენზე მაინც დადე.

გადავკარი ცივი საკე. გამცხო ერთი და ცოტა უკეთ ვიგრძენი თავი. ვიგრძენი, როგორ გამილღვა ტვინი. მკვდარი არ ვიყავი ჯერ, სასწაული სისწრაფით ვიხრწნებოდი უბრალოდ. ჰო, მაგრამ ვინ არ იხრწნება? ყველა ერთ დახვრეტილ ნავში ვსხედვართ და თავს ვირთობთ.

ავიღოთ, მაგალითად, შობა. აიღეთ და მოაშორეთ აქედან. ეგ ვინც მოიგონა, მაინცდამაინც ბევრი კი არაფერი ეყარა თავში. ჩვენ კიდე თუ გვინდა, მივხვდეთ, სადა ვართ, რაც გვიყრია ნაგავი, ისიც უნდა მოვისროლოთ. ჰო, სად ვართ კი არა, სად არ ვართ. რაც მეტი გაქ გადაყრილი, მეტს გაიგებ. ყველაფერი უკუღმაა აქ. იარე უკან-უკან და ნირვანა თვითონ ჩაგიხტება კალთაში. დარწმუნებული იყავი.

კიდე მივეცი ერთი საკე. აზრზე მოვდიოდი ნელ-ნელა, გამოვდიოდი სიგიჟიდან. გამოვდიოდი, ოღონდ უყვერებოდ. მე ვიყავი ნიკ ბილეინი, მაგარი ძაღლი. უცებ ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ზუსტად ისე ავიღე, წესიერი ადამიანები რომ იღებენ. არა, მთლად მასე არა, ზოგჯერ ტელეფონი სპილოს განავალს მახსენებს. რამდენ სირობას გეუბნებიან ხოლმე, ხო ხვდებით, მაგ ამბავში. ტელეფონი კია ტელეფონი, მაგრამ იქიდან რა ისმის, ის არის საქმე. — ტილიან ფილოსოფოსს გაუმარჯოს, — გავიგონე ქალბატონი სიკვდილის ხმა. — რაც ვარ, ეს ვარ.

— ადამიანები ოცნებებით იკვებებიან.

— იკვებონ, მერე რაა ამაში ცუდი?

— წავიდა ოცნებების დრო.

— ჯანდაბის იქით წასულა.

— შენ თვითონ წადი ჯანდაბის იქით, თუ კაია. რა ხდება სელინთან? — ყველაფერი რიგზეა, პატარავ.

— აბა, მომიყევი, რა არი რიგზე, ჩემი პუტკუნა ბიჭი.

— ხვალ შევხვდეთ მუსოსთან სამის ნახევარზე.

— კარგი. შენთვის აჯობებს, ხელცარიელი არ მოხვიდე. გაქ რამე? — რაღაც-რაღაცები.

— რა ჯანდაბას გულისხმობ?

— ბოდიში, ყველაფერს ახლა ხო არ გეტყვი.

— გეუბნები, შენთვის ჯობია...

— თავს ვდებ, ახალი ამბები იქნება.

— ჩათვალე, დადებული გაქვს უკვე, — და ქალბატონმა სიკვდილმა ყურმილი დაკიდა. მეც დავკიდე და თვალმოუცილებლად დავყურებდი ერთხანს. მერე საფერფლიდან ძველი სიგარა ამოვიღე, მოვუკიდე, მოვქაჩე და ხველა ამიტყდა. დავწვდი ტელეფონს ისევ და სელინის მოცემული ნომერი ავკრიფე. ოთხჯერ გაისმა ზარი და მისი ხმაც გავიგონე.

— გისმენთ.

— სერ, თქვენ მოიგეთ ერთი ყუთი ალუბლიანი შოკოლადი და უფასო მოგზაურობა რომში.

— ვინ ხარ, ტვინს რატო ტყნავ?

— ნიკი ვარ, ბილეინი.

— შოკოლადს ავიღებ...

— ხვალ სამის ნახევარზე შემხვდი მუსოსთან.

— რატომ?

— ეი, ფრანგო, რო გეუბნები, მოდი-მეთქი, მოდი და მოთავდება შენი დავიდარაბა. — ღადაობ?

— კი.

— მოვალ...

და დაკიდა ყურმილი.

აღარავინ აღარ გემშვიდობება კაცს წესიერად. რა დრო მოვიდა, რა არი. გავუშტერე თვალი საკეს.

მერე გადავკარი.

27

სამის თხუთმეტი წუთი იყო, მუსოსთან მაგიდას რომ მივუჯექი. “ვოდკა სევენი” მედგა წინ. სელინი და ქალბატონი სიკვდილი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ჩემი ორი კლიენტი. კარგად მიმდიოდა საქმეები, ოღონდ საით მიმდიოდა, არ ვიცოდი. ვიღაც ტიპი მომჩერებოდა გვერდითა მაგიდიდან. ზოგიერთებმა, ხო იცით, ძროხებივით იციან ყურება. თან არც იციან, რატო მოგჩერებიან, არადა, მოგჩერებიან კია. მოვსვი არაყი, დავდგი ჭიქა, ავიხედე — ისევ არ მაშორებს თვალს. გავიფიქრე, მეთქი, აი, ორ წუთს ვაცლი კიდევ, გვერდზე არ გაუხედავს და მოვუნგრევ სიფათს.

წუთი და 45 წამი ვითმინე, მერე ის ტიპი ადგა და პირდაპირ ჩემი მაგიდისკენ არ წამოვიდა?! იარაღის ბუდე მოვისინჯე ხელით. თავის ადგილზე იყო. მტკიცე, მაგარი, ამდგარ ყლესავით. ვერ მივხვდი, ის ტიპი მანქანების ფასიანი სადგომის დარაჯს უფრო გავდა თუ კბილის ექიმს, საზიზღარი ულვაში კი ქონდა და ყალბი ღიმილიც ეფინა სახეზე, არ ვიცი, შეიძლება, პირიქითაც იყო, ულვაში ეკეთა ყალბი და ღიმილი ქონდა საზიზღარი. მოვიდა ჩემს მაგიდასთან, გაჩერდა და დგას.

— მისმინე, ძმაო, — მე ვუთხარი, — ბოდიშს გიხდი, კაპიკი არ მიგდია ჯიბეში. — ფულის სათხოვნელად არ მოვსულვარ, საყვარელო.

ნერვებს მიშლიდა უკვე, თან მკვდარი თევზის თვალები ქონდა. — რა გაწუხებს მაშინ? სასტუმროდან გამოგაგდეს?

— არა, — მითხრა, — დედაჩემთან ერთად მინდა ვიცხოვრო.

— რამდენი წლის ხარ? — ვკითხე.

— 46-ის.

— ცუდია...

— ცუდია კი არა, დედაჩემი არ არის კარგად. შეუკავებლობა, ნიფხვები, ეგეთი ამბები. — უჰ, ძალიან ვწუხვარ.

— მეც.

თან ეს ტიპი თავზე მედგა.

— მოკლედ, წარმოდგენა არ მაქვს, რა გიშველო.

— რა უნდა მიშველო...

ამასობაში დავცალე ჭიქა.

— რაღაც მინდა გკითხო, მაინტერესებს უბრალოდ.

— კი ბატონო, მკითხე.

— სპაიკ ჯენკინსი ხარ?

— ვინ?

— სპაიკ ჯენკინსი. დეტროიტში გამოდიოდი, არა? მძიმე წონაში. მინახავს შენი ჩხუბი ვეფხვ ფორსტერთან. ერთ-ერთი უდიდესი ორთაბრძოლა იყო, რასაც შევსწრებივარ. — ვინ მოიგო? — ვკითხე.

— ვეფხვმა ფორსტერმა.

— ჯენკინსი არ ვარ. მიდი, დაჯექი შენს ადგილას.

— არ მატყუებ? სპაიკ ჯენკინსი არ ხარ?

— არა და არც გამიგია, ვინ არის.

— აუ, ჩემი.

მიტრიალდა, მივიდა მაგიდასთან და დაჯდა თავისთვის.

საათს დავხედე. ზუსტად სამის ნახევარი იყო. სად დაიკარგნენ ორივენი? ოფიციანტს ვანიშნე, სასმელი კიდე ჩამომისხი-მეთქი...

სამს აკლდა ოცდახუთი, სელინი რომ შემოვიდა. გაჩერდა კარში და მოათვალიერა აქაურობა. მე ჩანგალს ხელსახოცი ჩამოვაცვი და დავუქნიე, დამინახა და წამოვიდა, მოვიდა და მომიჯდა გვერდით. — სოდიანი სკოჩი, — შეუკვეთა მაშინვე. კარგად შეარჩია დრო. ოფიციანტს ზუსტად მაშინ მოჰქონდა ჩემი შეკვეთილი არაყი. კიდევ შევუკვეთე. მოტანილი ეგრევე გადავუშვი. ძალიან უცნაურად ვგრძნობდი

თავს, თითქოს საერთოდ არაფერი ხდებოდა ირგვლივ. ქალბატონი სიკვდილი, ისე სიკვდილი, სელინი. ეს თამაში ბოლოს მიღებდა უკ-ვე, ჯან- ღონე აღარ მომდევდა საერთოდ. ჩვენი ყოფიერება მარტო უაზრობა კი არ არი, თან უმძიმესი შრომაცაა. აბა გამოთვალე, ცხოვრებაში ტრუსიკი რამდენჯერ გამოგიცვლია. რა საზიზღარი, თავზარდამცემი და სულელურია ეს ყველაფერი.

ის ტიპი, მეორე მაგიდასთან რო იჯდა, ისევ მოვიდა, დაგვადგა თავზე. ამჯერად სელინს უყურებდა.

— ეს კაცი, თქვენ გვერდით რო ზის, ხო სპაიკ ჯენკინსია?

— სერ, — უთხრა სელინმა და ერთი ახედა, — ეგ თქვენი ყვერები თუ არ მოგბეზრებიათ, ძალიან გთხოვთ, დაგვანებეთ თავი. ის ტიპი ისევ წავიდა.

— მოკლედ, რატო მომიყვანე? — ამჯერად მე მომიბრუნდა სელი-ნი. — ქალბატონ სიკვდილს უნდა შეგახვედრო.

— ესე იგი, სიკვდილი ქალია, ხო?

— ზოგჯერ კი...

სელინსაც მოუტანეს სასმელი. ერთი დაკვრით გამოცალა.

— ამ ქალბატონ სიკვდილს ნიღაბი არ უნდა ავხადოთ?

— სპაიკ ჯენკინსის ჩხუბი თუ გინახავს ოდესმე?

— არა.

— მე მგავდა.

— არა მგონია, ეგ მაინცდამაინც დიდი პატივი იყოს.

უცებ ის შემოვიდა. ქალბატონი სიკვდილი. დაიბრიდებოდა კაცი, ისე ეცვა. მოვიდა ჩვენს მაგიდასთან და ჩამოჯდა სკამზე.

— ვისკი ლიმონის წვენით, — შეუკვეთა. მე თავი დავუქნიე. ფაქ-ტობრივად, ბრძანება გავეცი.

— არ ვიცი, როგორ წარგადგინოთ, არ ვიცი, პირველი სელინი ხართ თუ მეორე სელინი. — რანაირი გამომძიებელი ხარ...

— საუკეთესო მთელ ლ.ა.-ში.

— ჰოო? ეს ლ.ა. რას ნიშნავს?

— რას ნიშნავს და ლაყე ანგელოზები.

— ნასვამი ხართ?

— თავისთავად...

ქალბატონ სიკვდილს თავისი ვისკი მოუტანეს. ამან გადაკრა და სელინს გახედა. — აბა, მიდით, გამაცანით ერთი თქვენი თავი. რა გქვიათ?

— სპაიკ ჯენკინსი.

— სპაიკ ჯენკინსი მკვდარია.

— რა იცით?

— ვიცი.

მე თავით ვანიშნე ოფიციანტს, კიდევ სამი ჭიქა სასმელი მოგვიტანე-მეთქი. მერე ვისხედით და ვუცქერდით ერთმანეთს.

— მოკლედ, — წამოვიწყე, — ჩიხში ვართ, ლამის გამოუვალ მდგომარეობაში. არადა, მე ვიხდი სასმლის ფულს. ჰოდა, მოდი, დავნაძლევდეთ, ვინც წააგებს, შემდეგ ჯერზე იმან გადაიხადოს.

— რაზე დავნაძლევდეთ? — მკითხა სელინმა.

— რამე მარტივზე. მაგალითად, რამდენი ციფრი წერია თქვენს მართვის მოწმობაზე. თვითონ მართვის მოწმობის ნომერს ვგულისხმობ.

— სულელურად ჟღერს. — მომაკეტვინა.

— გავერთოთ რა.

— მიდი, რას ჩაისვარე, — ქალბატონმა სიკვდილმაც დამიჭირა მხარი. — კარგი, გამოვიცნობ, სხვა რა გზაა.

— მიდი, სცადე.

— მიდი, მოინდომე, პატარავ, — აგულიანებდა ქალბატონი სიკვდილი. — კარგი, კარგი, რვა, ალბათ.

— მე შვიდს ვიტყოდი, — დაამატა ქალბატონმა სიკვდილმა.

— ხუთი, — ვთქვი მე.

— ახლა, — ისევ მე გავაგრძელე, — დავხედოთ ჩვენ-ჩვენს მართვის მოწმობებს. ამოვიღეთ სამივემ.

— ჰე, ჩემი შვიდიანია. — ქალბატონი სიკვდილი მართალი იყო. — ჯანდაბა, ჩემიც შვიდიანია, — ჩავიქნიე ხელი.

— ჩემი რვიანი.

— შეუძლებელია, — არ დავუჯერე სელინს, — მიდი, მანახე.

მივწვდი და გამოვართვი მართვის მოწმობა. თვლა დავიწყე.

— შენიც შვიდიანია, წინ რომ ასო აქვს, ისიც ჩათვალე ეტყობა. მაგიტომ გამოგივიდა რვა. ნახე...

და ქალბატონ სიკვდილს გადავაწოდე მოწმობა. შვიდი ციფრის გარდა ზედ სხვა რამეც ეწერა: ლუი ფერდინანდ დეტუში, დ. 1894. ჯანდაბა, რო ამიტყდა კანკალი, ვერ გავჩერდი. ძალიან შესამჩნევად არა, მაგრამ მე მყოფნიდა. მოვიკრიბე ძალა და თავი ხელში კი ავიყვანე, მაგრამ ოდნავ მაინც ვთრთოდი. აი, ეს მესმის. ჩემ წინ, მუსოს რესტორანში, ამ ნაშუადღევს, ლამის ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე, ის იჯდა. ქალბატონ სიკვდილს ისე გაუხარდა, სად წასულიყო, აღარ იცოდა. თან როგორ უხდებოდა სიხარული, ანათებდა პირდაპირ.

— დამიბრუნეთ ეს წყეული მართვის მოწმობა, — გვითხრა სელინმა. — რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემი დიდი ბიჭი, — იღიმებოდა ქალბატონი სიკვდილი და ხელი ზურგს უკან მიჰქონდა.

— მოკლედ, ორივემ წავაგეთ, — მივუბრუნდი სელინს, — ჰოდა, მონეტა ხომ არ აგვეგდო, ჰა? ვინც წააგებს, იხდის. — მიდი.

ჯიბიდან ამოვიღე ჩემი იღბლიანი 25-ცენტიანი, ავაგდე ჰაერში და სელინს ვუყვირე: — თქვი!

— თოხანი.

მონეტა დაეცა მაგიდაზე და გაჩერდა. ალჩუ დაჯდა. ავიღე ჩემი 25-ცენტიანი და ჯიბეში ჩავიდე.

— დღეს არ გიმართლებს, როგორც ჩანს, — ვუთხარი სელინს.

— მე მიმართლებს სამაგიეროდ, ასე ეტყობა, — დაამატა ქალბატონმა სიკვდილმა. და შეკვეთაც მოიტანეს.

— ჩემს ანგარიშზე ჩაწერეთ, — გააფრთხილა სელინმა ოფიციანტი. ვისხედით სამივენი, წინ ჩვენ-ჩვენი სასმელი გვედო.

— მე მგონი, ჩამავლეთ, — და სელინმა გადაკრა თავისი, — არადა, გამაფრთხილეს თქვენზე, თქვე ლოსანჯელესელო ჩმორებო. — ექიმად ისევ მუშაობ? — ვკითხე მე.

— მივდივარ აქედან.

— ე, დაიცა რა, დავლიოთ კიდე, არ იცი, ცხოვრება რა ხანმოკლეა? — არა, მივდივარ-მეთქი.

დააგდო მაგიდაზე ოციანი, ადგა, დაადო თავი კარისკენ და გავიდა. — წასვლას აპირებს, — ვუთხარი ქალბატონ სიკვდილს.

— არა.

უცებ ჯერ მუხრუჭების ღრჭიალივით ხმა გაისმა, მერე — სხეულზე ლითონის მძიმე საგნის დაცემის. წამოვხტი და გავვარდი გარეთ. ზედ შუა ჰოლივუდის ბულვარზე ეგდო სელინის გვამი. ვიღაც მსუქანი წითელქუდიანი ქალი გადმოვიდა თავისი ადამისდროინდელი "ოლდსმობილიდან" და გააბა კივილი. კიოდა და კიოდა. სელინი იწვა გაუნძრევლად. მეთქი, მოკვდა. შევბრუნდი უკან, ქალბატონი ს. წასული დამხვდა. მივუჯექი მაგიდას, ჩემი ჭიქისთვის ხელი არ ეხლოთ. დავლიე. მერე უბრალოდ ვიჯექი. მერე, კაი ადამიანები გვიან კვდებიან-მეთქი, გავიფიქრე და ისევ ისე გავაგრძელე ჯდომა. — ეი, ჯენკინს, — მომესმა უცებ, — შენი მეგობრები რო წავიდნენ, სად წავიდნენ? ისევ ის ტვინის ბურღი ტიპი იყო. მეთქი, ვერ მოვიშორე.

— რას სვამ? — ვკითხე.

— რომს “კოკა-კოლით”.

დავუძახე მიმტანს.

— ორი რომი და ორიც კოლა, ერთი ჩემთვის, ერთიც ამისთვის.

მოიტანეს სასმელი. ტვინის ბურღი სასმლით თავის მაგიდას უჯდა, მე ჩემი სასმლით — ჩემსას.

მერე საყვირის ხმა გავიგონე. აი, როცა უკვე ვეღარ გაიგონებ მაგ ხმას, ეგ ნიშნავს, რომ მაშინ ზუსტად შენთვის მოსულან. დავლიე, რაც მქონდა დარჩენილი, ანგარიში მოვითხოვე, გადავიხადე ბარათით, 20% დავუტოვე და გამოვედი.

28

მეორე დღეს ჩემთან, სამსახურში, ფეხები მაგიდაზე შემოვაწყვე და კარგ სიგარას მოვუკიდე. მეთქი, გავართვი საქმეს თავი თუ ვერ გავართვი. მეთქი, დავალება ხო შევასრულე? შევასრულე. ორი კლიენტი დავკარგე, თუმცა საქმე გავხსენი. მაგრამ ჯერ რა დროს წიწილების თვლა იყო, წითელი ბეღურა უნდა მეპოვა, კიდე, ჯეკ ბასისა და სინდის ამბავი გამერკვია. ჰალ გროვერსისა და იმ უცხოპლანეტელისაც, ჯინი ნიტროსი. ჩემი ფიქრი სინდი ბასსა და ჯინი ნიტროს დასტრიალებდა თავს. ძალიან სასიამოვნო ფიქრები იყო. ყოველ შემთხვევაში, საფარში ჯდომას და იმის ლოდინს, თავზე იხვები როდის გადაგიფრენენ, ნაღდად ჯობდა. თან ადამიანები გადაწყვეტილებას როგორ იღებენ ხოლმე, იმას ვაკვირდებოდი. რა ეხმარებათ დაბრკოლებების გადალახვაში? — სიჯიუტე და იღბალი. თუ ბოლომდე მიაწვები, იღბალიც მოვა, სად წავა. უმრავლესობა ვერ უძლებს ამ მოლოდინს, ჰოდა, ხელმოცარულებიც რჩებიან. ოღონდ ბილეინს არ სჩვევია ეგრე. ქალაჩუნა კი არ არი, მაგარი ტიპია, მებრძო-

ლი. ცოტა ზარმაცია, შეიძლება, მაგრამ მოხერხებული. ტელეფონმა დარეკა. ავიღე.

— ბილეინი გისმენთ.

— ჩვენ კიდევ შევხვდებით, — ქალის ხმა იყო, ქალბატონი სიკვდილის. — მისმინე, საყვარელო, ვერ მოვრიგდებით?

— რა ვიცი, ჯერ ვერავინ მომირიგდა, ბილეინ.

— მოდი, დავარღვიოთ ტრადიცია, დავუშვათ გამონაკლისი, ქალბატონო. — გამორიცხულია, ბილეინ.

— კარგი, და წინასწარ რო მითხრა თარიღი, ეგეც არა? როდის იქნება ა.დ.თ., რა. — რეებს მეუბნები?

— ანდერძის დატოვების თარიღი-მეთქი.

— რაში გჭირდება?

— წინასწარ შევამზადებ თავს, ქალბატონო.

— მაგის უცოდნელადაც უნდა მოემზადოს ყველა, ბილეინ.

— ქალბატონო, არ ემზადება არავინ, ავიწყდებათ, ყურადღებას არ აქცევენ, არ ჰყოფნით ტვინი ამაზე საფიქრელად.

— ეგ მე არ მეხება, ბილეინ.

— და რა გეხებათ, ქალბატონო?

— ჩემი საქმე.

— მეც, ქალბატონო, მეც ჩემი საქმე მეხება.

— მით უკეთესი შენთვის, პუტკუნ. დაგირეკე, შეგახსენე, არ დამვიწყებიხარ-მეთქი, მეტი არაფერი.

— ოჰ, უზარმაზარ მადლობას მოგახსენებთ, ქალბატონო, როგორ გამახარეთ... — შეხვედრამდე, ბილეინ... — და დაკიდა ყურმილი.

ხო ხდება ხოლმე, გამოჩნდება ვინმე და მოგიშხამავს მთელ დღეს, ზოგჯერ ცხოვრებასაც. ჩავაქრე სიგარა, დავიხურე ქუდი, გამოვედი, გამოვიკეტე კარი, ჩავჯექი ლიფტში და დავეშვი დაბლა. ვიდექი მერე ქუჩაში და ვუყურებდი, როგორ დარბოდნენ ადამიანები

აქეთ-იქით. მერე კუჭი ამიწრიალდა, გავიარე ნახევარი კვარტალი და ბარში შევედი, “წყვდიადი” ერქვა, დავჯექი სკამზე. იმდენი რამე მქონდა მოსაფიქრებელი. იმდენი, რო საიდან დამეწყო, აღარ ვიცოდი. ვისკი შევუკვეთე ლიმონის წვენით და მისაყოლებლით. ისე ვიყავი, მეთქი, ახლა დამაწვინა და მაძინა ორი კვირა. ყელში მქონდა ცხოვრება ამოსული. თავიდან ვუჭერდი მუღამს, დიდს არა, მაგრამ საკაიფოდ. არადა, მოსაყოლიც არაფერია. სამჯერ დავქორწინდი, სამჯერ განქორწინდი. დავიბადე, მოვკვდები. ერთადერთი რამე გამომდიოდა — ისეთ საქმეებს ვხსნიდი, სხვები ხელსაც არ მოკიდებდნენ. მარტო ფულისთვის არა.

ვიღაც ტიპი მიყურებდა ბარის მეორე ბოლოდან. მზერა ვიგრძენი. ირგვლივ არავინ იყო, მე, ეგ და ბარმენი მარტო. დავლიე ერთი და ბარმენს, მეთქი, კიდე. აუ, რამდენი თმა ქონდა სახეზე?!

— გაიმეორებთ?

— კი, ოღონდ ცოტა უფრო მაგარი.

— იმავე ფასად?

— რამდენადაც გინდა.

— რას ნიშნავს რამდენადაც მინდა?

— ეგ როგორ არ იცი, ბარმენ?

— არ ვიცი...

— კარგი, გამიკეთე, რაც გითხარი და იფიქრე თან.

წავიდა. იქ, ბოლოში, იმ ტიპმა დაიჭირა ჩემი მზერა, წამოხტა და იყვირა: — როგორ ხარ, ედი?

— არა ვარ ედი.

— გავხარ და.

— აი, მაგრად მკიდია, ვგავარ თუ არა იმ ვიღაც ედის.

— გაიჩალიჩო რამე, გინდა?

— კი, აპირებ რამეს?

ბარმენმა მომიტანა სასმელი, დახლზე დადებული ფულიდან რამდენიმე ბანკნოტი აიღო და მითხრა:

— ჩემი აზრით, თქვენ არა ხართ კარგი კაცი.

— ვინ მოგატყუა, აზროვნება შეგიძლიაო?

— არ ვარ ვალდებული, მოგემსახუროთ.

— თუ არ გინდა ფული, კი არ გაძალებ.

— მასე ძალიანაც არ მინდა...

— მაინც როგორ ძალიან გინდა...

— არ მოემსახურო, მოეშვი, — იყვირა ტიპმა დახლის მეორე ბოლოდან. — კიდე ამოიღებ ხმას და რო ამოგცხებ, რეზინის მილით გიწუწნიდნენ იქნება პირიდან წითელ ბუშტუკებს.

შეახმა ღიმილი ტიპს. ბარმენი იდგა გაუნძრევლად.

— მისმინეთ, — მე ვუთხარი, — შემოვედი, რომ წყნარად, მშვიდობიანად დამელია და არ მასვენებთ, მეშარებით ტყუილა. ჰო, მართლა, წითელი ბეღურა ხომ არ გინახავთ? — წითელი ბეღურა? ეგ რაღაა?

— რო ნახავთ, მიხვდებით. კაი, დაიკიდეთ...

დავლიე ჩემი წილი და წამოვედი. ქუჩაში ყოფნა ჯობდა. გავისეირნე ცოტა. მეთქი, დავითვლი, რამდენი სულელი შემხვდება. ორმოცდაათი დავთვალე ორწუთ-ნახევარში და მერე ისევ ბარში შევაჭერი.

29

შევედი და დავჯექი ბართან. მოვიდა ბარმენი.

— გამარჯობა, ედი, — მითხრა.

— არ ვარ ედი.

— მე ვარ.

— თუ მეთამაშები, არ გინდა რა.

— შენ თვითონ თამაშობ.

— მომისმინე კარგად, მშვიდობიანი კაცი ვარ, სრულიად ნორმალური, იღლიებს არ ვიყნოსავ და ქალის თეთრეულიც არ მაცვია. სადაც წავედი, ყველგან შარი ამიტეხეს, არ მასვენებენ. რას მერჩიან?

— მე მგონი, იმსახურებ კიდეც.

— მოიცა, ედი, მოეშვი ფიქრს და ორმაგი არაყი გამიკეთე ტონიკით, ლიმონიც უქენი. — ლიმონი არ გვაქვს.

— არა, გაქვთ, აქედან ვხედავ.

— შენთვის არ გვაქვს.

— რაო? აბა ვისთვის გაქვთ? ელიზაბეთ ტეილორისთვის? მოკლედ, თუ გინდა, ამაღამ საკუთარ ლოგინში დაიძინო, ეგ ლიმონი აიღე და სასმელი გამიკეთე. სასწრაფოდ. — ჰოო? მაინც რას მიზამ? მარტო მოახერხებ რამეს თუ ჯარიც გეხმარება ვინმესი? — ხმას ამოიღებ კიდე, ბიჭო, და ვნახავ, როგორ ჩაისუნთქავ მერე. იდგა, მიყურებდა, თან ფიქრობდა, გავაგრძელო კამათიო? თვალები დაახამხამა, გონივრულად გადგა განზე და სასმლის შეზავება დაიწყო. მე ფრთხილად ვადევნებდი თვალს. არაფერი გაუბედავს, ისე მომიტანა შეკვეთილი.

— გეხუმრეთ, ბატონო, არ გესმით ხუმრობა?

— ხუმრობას გააჩნია.

ედი გაბრუნდა და ბარის მეორე ბოლოში დაჯდა. არაყი გადავკარი და ჭიქა დახლზე დავცხე. ფული ამოვიღე, მოვკიდე ლიმონს ხელი, ამ ბანკნოტში გავახვიე და გავუგორე ბარმენს; ცხვირწინ გაუჩერდა. იმან დახედა, მე ავდექი, კისერი გავავარჯიშე, მოვტრიალდი და წამოვედი. გადავწყვიტე, ოფისში მივბრუნდები-მეთქი. ქვეყნის საქმე მეყარა თავზე, თვალები მქონდა ჩაშავებული და კაციშვილს არ ვუყვარდი საკუთარი თავის მეტს. მივსეირნობდი და გზაში ჩემს საყვარელ ნაწყვეტს ვღიღინებდი "კარმენიდან".

30

შევაღე ოფისის კარი, მივიჯახუნე და რას ვხედავ: ჯინი ნიტრო შემომჯდარა მაგიდაზე, ფეხი ფეხზე გადაუდვია და ოდნავ აქანავებს ცალს. — ბილეინ, შე ლოთო, როგორ მიდის საქმეები? — შემომღიმა.

ერთ ნახვად ღირდა რა. მივხვდი, რაც აწუხებდა გროვერსს. მერე რა, რომ უცხოპლანეტელი იყო — ისე გამოიყურებოდა, ინატრებდი, ნეტა ბევრი იყოს ასეთიო. ყველაფერი კარგი, მაგრამ გროვერსი მაინც ჩემს კლიენტად რჩებოდა, ამიტომ უნდა მომეშორებინა ეს ქალი, როგორმე უნდა გამეყვანა თამაშიდან. დასვენება ხო არ მეღირსა რა. სულ ვიღაცებისთვის ვიდგამ წელებზე ფეხს.

შემოვუარე მაგიდას, დავენარცხე სკამზე, ქუდი საკიდზე შევაგდე, მოვუკიდე სიგარას და მოვქაჩე. ჯინი ნიტრო მაგიდაზე იჯდა და ფეხს აქანავებდა.

— შენი შეკითხვის პასუხად გეტყვი, ჯინი, რომ ყველაფერი რიგზე მაქვს. — საქმე მაქვს შენთან, ბილეინ, მაგიტომ მოვედი.

— სკარლატის სონატას მოვუსმენ, მირჩევნია.

— ქალი ბოლოს როდის გყავდა, ბილეინ?

— ვის რაში აღელვებს ეს საკითხი?

— შენ უნდა გაღელვებდეს.

— თუ არ მაღელვებს?

— და თუ გაღელვებს?

— საკუთარ სხეულს მთავაზობ, ჯინი?

— დავუშვათ.

— რას ქვია, დავუშვათ? ან მთავაზობ, ან არა.

— სხეულიც შედის შეთანხმების პირობებში.

— რა შეთანხმების.

ჯინი ჩამოხტა მაგიდიდან და გაიარ-გამოიარა ხალიჩაზე. უხდებოდა ხალიჩაზე სიარული. — ბილეინ, — მითხრა, — მე კოსმოსიდან შემოჭრილების პირველ ტალღას მოვყევი, ჩვენ დედამიწის დაპყრობა გვინდა.

— რატომ?

— მე პლანეტა ზაროსიდან ვარ. ძალიან გავმრავლდით, ვეღარ ვეტევით იქ, გვინდა, ზედმეტი ხალხი დედამიწაზე გადმოვასახლოთ. — ჰო, მაგრამ ჩვეულებრივად რატო არ მოდიხართ? შეხედე, როგორ გავხართ ადამიანებს, ვინ რას გაიგებს. ჯინი გაჩერდა და შემომხედა.

— ბილეინ, ჩვენ მართლა ასე კი არ გამოვიყურებით, შენ რასაც ხედავ, ეს გეჩვენება მხოლოდ.

ჯინი მივიდა და ისევ მაგიდაზე დაჯდა.

— მაინც როგორ გამოიყურებით სინამდვილეში? — ვკითხე.

— ასე.

განათდა ალისფრად. დავხედე მაგიდას და რას ვხედავ, საშუალო სიდიდის გველი გაწოლილა ზედ, უხეში ბალნით დაფარული, შუაში კიდევ მრგვალი, ნოტიო კუზი ამოსვლია ერთადერთი თვალით. თავზე მხოლოდ პატარა პირი ქონდა, თვალები — არა. მართლა ამაზრზენი შესახედავი იყო. ვტაცე ხელი ტელეფონს, ავწიე მაღლა

და დავცხე მთელი ძალით. ავაცილე. ეს რაღაც გასხლტა უცებ და ჩასრიალდა ხალიჩაზე. გამოვეკიდე, ფეხსაცმლით მაინც გავჭყლეტ-მეთქი. განათდა ისევ ალისფრად და ჯინი დამიდგა წინ. — შე სულ-ელო, — მითხრა, — ჩემი მოკვლა გინდოდა? არ გამაბრაზო, თორე გიჩვენებ სეირს. ავად უელავდა თვალები.

— კარგი, კარგი, პატარავ, ავირიე რაღაც, ბოდიში.

— არა უშავს, დაივიწყე. მოკლედ, ჩვენ ვართ მეწინავე ნაწილები, უნდა დავზვეროთ, გამოდგება თუ არა ჩვენი მოსახლეობისთვის. ჩვენ ვთვლით, რომ კარგი იქნება, ზოგიერთ თქვენგანს თუ გადმო-ვიბირებთ. შენნაირებს ვგულისხმობ. — რაღა მაინცდამაინც მე?

— ზედგამოჭრილი ხარ ამ საქმისთვის: მიმნდობი, ეგოისტი და ხა-სიათის გამოკვეთილი ნიშნებიც არა გაქვს.

— გროვერსზე რაღას იტყვი? ის რაღა შუაშია? ან მიცვალებულები რაში გჭირდებათ? ამას რიღათი გაამართლებ?

ჯინის გაეცინა.

— არ ვამართლებ. ჩვენ უბრალოდ მანდ ჩამოვფრინდით. თან შე-მიყვარდასავით ცოტა, ბევრი არაფერი, მსუბუქი ფლირტი გვქონდა, უბრალოდ... — კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ? მოგინდი, საყვარელო?

— შენ ჩვენი საქმისთვის გამოდგები.

მომიახლოვდა. სრულიად გავშტერდი. მისი სხეული ჩემ წინ იდგა და ჩვენ ჩავეკარით ერთმანეთს. ჩავეხვიეთ და ჩვენი ტუჩები შეერ-თდნენ. ენა შემისრიალა პირში, თბილი, მოუსვენარი ენა ჰქონდა, გველივით. მოვიშორე.

— არა, არა, მაპატიე, არ შემიძლია.

შემომხედა.

— რა გჭირს, ბილეინ? დაბერდი?

— არა, მაგაში არ არის საქმე, პატარავ...

— აბა რაშია?

— არ მინდა გული გატკინო...

— მითხარი, ბილეინ...

— უცებ ისევ იმ საზიზღარ, კუზიან და ცალთვალა არსებად რომ გადაიქცე... — შე მსუქანო სირო, ზაროსელები ლამაზები არიან.

— ვიცოდი, ვერ გამიგებდი...

მივედი ისევ ჩემს მაგიდასთან, დავჯექი, გამოვწიე უჯრა, ვიპოვე არყის ორმოცდაათგრამიანი ბოთლი, მოვხსენი თავი და ვხუხე.

— როგორ ჩამოხვედით? — ვკითხე ჯინის.

— კოსმოსური მილით.

— კოსმოსური მილით? რამდენი ხართ?

— ექვსი.

— არც ვიცი, შევძლებ კი დახმარებას, პატარავ...

— შეძლებ, ბილეინ.

— რომ ვერ შევძლო?

— მოკვდები.

— ღმერთო, ჯერ — ქალბატონი სიკვდილი, ახლა — შენ. ეს ქალები სულ მოკვლით რატო მემუქრებით? თქვენ გიჩვენებთ სეირს.

დავწვდი უჯრაში ლუგერს, მოვიგდე ხელში, ჩამოვწიე დამცველი და მივუშვირე ლულა ჯინის.

— უკან, ზაროსზე გაგამგზავრებ ახლა, პატარავ.

— მიდი, გამოკარი სასხლეტს.

— რაო?

— გამოკარი-მეთქი, სასხლეტს, ბილეინ!

— შენ გგონია, ვერ ვიზამ? — ვიგრძენი, საფეთქლებთან როგორ გამოჟონა ოფლმა. — გგონია, ვერ ვიზამ? — გავიმეორე.

ჯინი მიღიმოდა მხოლოდ.

— გამოკარი მაგ ოხერ სასხლეტს, ბილეინ!

სახეზე დამასხა ოფლმა.

— გთხოვ, წადი, ზაროსზე დაბრუნდი, საყვარელო!

— არა!

გამოვკარი სასხლეტს. გაისმა გასროლის ხმა და პისტოლეტი შემიხტა ხელში. ჩამოვიწმინდე ოფლი თვალებიდან და ვხედავ, ჯინი დგას ისევ და მიღიმის. დავაკვირდი, პირში უდევს რაღაც. თურმე ტყვია. დაუჭერია კბილებით. მივიდა მაგიდასთან, გაჩერდა, გადმოაფურთხა და ტყვია ჩემს საფერფლეში ჩააგდო. — საყვარელო, — მე ვუთხარი, — რომ იცოდე, ბლომად ფულს ვიშოვით ამ ილეთით! გავერთიანდეთ და გავმდიდრდებით! იფიქრე ამაზე!

— არ გამოვა, ბილეინ, ეგ ჩემი შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება იქნებოდა. კიდე გადავკარი არაყი. დამტანჯა ამ ქალმა.

— ამიერიდან, — გააგრძელა ჯინიმ, — გინდა თუ არა, ჩვენს საქმეს უნდა ემსახურო, ზაროსის საქმეს, სხვა გზა არ გაქვს. ჩვენ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჩამოგვიყალიბებია გეგმა, როგორ დავასახლოთ დედამიწა. დაგიკავშირდებით და შეგატყობინებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

— მისმინე, ჯინი, სხვა რომ აიყვანოთ მაგ წყეული გეგმის განსახორციელებლად, არა? გაიღიმა.

— შენ შეგარჩიეთ, ბილეინ.

მითხრა თუ არა ეს, ისევ განათდა ალისფრად და ჯინიც გაქრა.

31

გროვერსს დავურეკე. შინ იყო.

— როგორ მიდის საქმეები, გროვერს?

— მშვიდად, — მიპასუხა მან, — გართულებების გარეშე.

— ჯინი ნიტროს ამბავი მოგვარებულია. აღარ შეგაწუხებთ. რაც შეეხება ბოლო დროს გაწეულ ხარჯებს, ჩეკს გამოგიგზავნით.

— ბოლო დროს გაწეულ ხარჯებს? თქვენ რა, დამცინით?

— გროვერს, ეს უცხოპლანეტელი ხომ მოგაშორეთ, ჰოდა, გადაიხადეთ ახლა. — კარგი, კარგი... მაგრამ როგორ მოახერხეთ?

— პროფესიული საიდუმლოა, პატარავ.

— კარგი, მე, ალბათ, მადლობელი უნდა ვიყო, არა?

— არავითარი ალბათ, უნდა იყოთ. და ფულიც უნდა გადაიხადოთ, თუ არ გინდათ, უცებ ფიჭვის კუბოში აღმოჩნდეთ. ან იქნებ კაკლისა გირჩევნიათ?

— მოდით, ვნახოთ... — წამოიწყო იმან.

მე ამოვიოხრე და ყურმილი დავუკიდე.

ფეხები მაგიდაზე შემოვაწყვე. საქმე წინ მიდიოდა. სინდი ბასის საქმეღა მქონდა დარჩენილი და კიდევ — წითელი ბეღურისა. ცხადია, ჯინი ნიტროც ჩემი თავსატეხი გამხდარიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში საკუთარი თავის კლიენტი უკვე თავად გახლდით. სელინი და გროვერსი კი თავის გზას ეწივნენ. გულში ვფიქრობდი, ვახ, რა მარჯვედ ვუძღვები საქმეს-მეთქი.

მაგრამ მოდუნება დავაპირე თუ არა, ქალბატონ სიკვდილზე ფიქრი შემომიჩნდა. დარეკა ტელეფონმა. ყურმილი ავიღე. ქალბატონი სიკვდილი იყო. — აქ ვარ, ბილეინ.

— რო დაისვენოთ, საყვარელო, ცოტა, არა?

— ვერა. ვგიჟდები ჩემს საქმეზე.

— მომისმინეთ, შეიძლება რაღაც გკითხოთ?

— რა თქმა უნდა.

— მხოლოდ დედამიწაზე მუშაობთ?

— რას გულისხმობ?

— იმის თქმა მინდა, ჰმ... უცხოპლანეტელებზე თუ ვრცელდება თქვენი ძალაუფლება- მეთქი?

— ცხადია. უცხოპლანეტელებზეც, მატლებზეც, ძაღლებზეც, ბუზებზეც, ლომებზეც, ობობებზეც, ყველაზე, მოკლედ. — მიხარია ამის გაგონება.

— რისი გაგონება?

— უცხოპლანეტელებზეც რომ ვრცელდება თქვენი ძალაუფლება.

— თავი მომაბეზრეთ, ბილეინ.

— მაგას რა ჯობია, საყვარელო.

— მომისმინეთ, ახლა პატარა საქმე მაქვს...

— ერთი კითხვა კიდევ...

— კარგი. მკითხეთ.

— უცხოპლანეტელებს როგორ კლავთ ხოლმე?

— რა პრობლემაა?

— ტყვიით ხომ ვერ მოკლავთ. იარაღი მაინტერესებს.

— პროფესიული საიდუმლოა, ბილეინ.

— მითხარი, საყვარელო, და კრინტს არ დავძრავ არსად.

— პუტკუნ, — მომაძახა, სანამ ტელეფონს გათიშავდა, — შეიძლება დაგეხმარო კიდეც მაგ ამბავში.

დავკიდე ყურმილი და ფეხები ისევ მაგიდაზე შემოვაწყვე. ღმერთო, ექვსი უცხოპლანეტელია შემოპარული დედამიწაზე და გინდა თუ არა, ჩვენკენ გადმოდიო. ხელისუფლებას უნდა შევატყობინო სასწრაფოდ. ჰო, აბა, გადამყვებიან თან. თვითონ უნდა მოვაგვარო ყველაფერი. არადა, რთული საქმე ჩანს. ისე, ხელი ხომ არ მომეკი-

და? არყის ბოთლს თავი მოვხსენი და ცოტა მოვსვი. ეს წითელი ბეღურა და სინდი ბასიც ჩემი მისახედი არ იყო? მონეტა ავიღე და ავაგდე: მეთქი, არიოლი — წითელი ბეღურა, რეშკა — სინდი ბასი. რეშკაზე დაჯდა. გამეღიმა, სკამზე გადავწექი და სინდიზე დავიწყე ფიქრი, სინდი ბასზე. მეთქი, დაგენძრა.

32

მოკლედ, ხო უნდა აღმენიშნა ჩემი გადაქცევა ლოს-ანჯელესის საუკეთესო გამომძიებლად, ამიტომ ოფისის კარი გამოვკეტე, ლიფტით დაბლა დავეშვი და ქუჩაში გავედი. სამხრეთისკენ ვცადე წასვლა, ჰოდა, გამომივიდა. დავადე თავი და დავუყევი სანსეტ ბულვარს.

ერთი ნაკლი აქვს სანსეტს — ჩემს უბანში ბარებს მაინცდამაინც ვერ გადაეყრება კაცი, ამიტომ ცოტა მუხლის გაშლამ მომიწია. ბოლოს, როგორც იქნა, ვნახე ერთი, დიდი ვერაფერიშვილი ადგილი. ხის სკამზე ჯდომა არ მხიბლავდა დიდად, ამიტომ მაგიდა ავიღე. მოვიდა ოფიციანტი. ორმეტრიანი ქუსლები, მოკლე კაბა, გამჭვირვალე ზედატანის მიღმა ლიფი ილანდებოდა. თითქოს ყველაფერი პატარა ჰქონდა — ტანსაცმელიც, ტვინიც და თავისი სამყაროც. სახე — ფოლადივით; რო გაიღიმა, ეტკინა თითქოს. იმასაც ეტკინა და მეც. არადა იღიმებოდა. ისეთი ყალბი ღიმილი იყო, თმა ყალყზე დამიდგა. თვალი მოვარიდე.

— გამარჯობა, ძვირფასო, რას დალევ?

სახეზე აღარ შემიხედავს, მუცელზე დავაშტერდი. შიშველი ჰქონდა. ჭიპთან ქაღალდის პატარა წითელი ვარდი მიეკრო. ჰოდა, ამ ვარდს ვუთხარი:

— არაყი ტონიკით და ლიმონით.

— კარგი, ძვირფასო.

და მანჭვა-გრეხით გამშორდა, სცადა, ვნებისაღმძვრელად გაექ-ნია უკანალი, მაგრამ არ გამოუვიდა.

ეგრევე დარდი შემომაწვა.

მეთქი, არ გინდა, ბილეინ, არ გინდა, რა.

არ გაჭრა. ირგვლივ ყველა მაგარი ნასვამი იყო, ნაღდი გამარჯვე-ბულები კიდე არ ჩანდნენ, ვიღაცები ჩამოჰგავდნენ მხოლოდ. დავ-დევთ ამ ჩვენს მოჩვენებებს. დღეები კიდე დღეებს მისდევენ გაუთა-ვებლად. არადა, ალბათ, ერთადერთი რამ გვჭირდება — გადავრჩეთ როგორმე. მაგრამ მარტო გადარჩენა ვერ გყოფნის კაცს, როცა ქალბატონი სიკვდილი გიცდის გვერდით. ჭკუიდან გადავყავდი ამ აზრს.

არ იფიქრო რა, ამაზე, ბილეინ, — ვთხოვე საკუთარ თავს. არ გაჭ-რა. ოფიციანტმა სასმელი მომიტანა, მე ფული მაგიდაზე დავუდე, იმან აიღო. — მადლობა, ძვირფასო.

— მოიცა, ხურდა მომიტანე.

— რა ხურდა?

— მაშინ ფეხის ქირად ჩაითვალე.

დააჭყიტა გამოცარიელებული თვალები.

— შენც წყეული კოვბოი ხარ?

— რა კოვბოი?

— წყეული კოვბოი არ გაგიგონია?

— არა.

— მაგათ უფასოდ უყვართ გაგულავება.

— სახელი შენით დაარქვი?

— არა, გოგოებმა დაარქვეს.

— ვინ გოგოებმა? მწყემსებმა?

— პროჭს რატო ათამაშებ, მისტერ, ბაღლინჯო შეგიძვრა თუ კიდე სხვა რამე? — უფრო “სხვა რამე”.

— მერი ლუ, — გავიგონე უცებ ბოხი ხმა, — თავს ხო არ გაბეზრებს ეგ პროჭი? ბარმენი იძახდა, პატარა, წარბა ტიპი.

— არაფერია, ენდი, მე თვითონ მოვუვლი ამ პროჭს.

— ჰე, ჰე, მერი ლუ, — მე ვუთხარი, — ვატყობ, პროჭების ამბავში მაგრად დაოსტატებულხარ.

— შე მწოველა, შენა! — მიყვირა.

უცებ წარბა არ გადმოევლო ბარს?! მისი სიგრძე კაცისთვის კაი ნახტომი გამოუვიდა. მეც გადავკარი სასმელი და დავიძარი მისკენ. ავიცდინე მოქნეული მარჯვენა და მივეცი მუხლი ყვერებში. დავარდა და დაიწყო გორაობა. ამოვარტყი პანჩური და გამოვედი გარეთ, სანსეტ ბულვარზე.

აი, ამ ბოლო დროს საერთოდ აღარ მიმართლებს ბარებში რა.

33

მოკლედ, წავედი ჩემთან და ვსვი. ის დღე ხო ვსვი და მთელი ღამეც გადავაბი. გავიღვიძე ნაშუადღევს. დავიცალე მუცელი, კბილები გავიხეხე, გავიპარსე და ჩავფიქრდი. მაინცდამაინც ცუდად არ ვგრძნობდი თავს. საერთოდ, ძალიან ცოტა რამეს ვგრძნობდი. ჩავიცვი. კვერცხი მოსახარშად შემოვდგი. პამიდვრის წვენი ლუდს შევურიე და გადავკარი. კვერცხს გადავავლე ცივი წყალი, გავფცქვენი, შევჭამე და სრულ საბრძოლო მზადყოფნაშიც მოვედი. ავიღე ტელეფონი და ჯეკ ბასს დავურეკე სამსახურში. მეთქი, ესა და ესა ვარ. სხვათა შორის, დიდი სიხარული ვერ შევატყვე. — ჯეკ, — მე ვუთხარი, — გახსოვს, ერთ ფრანგზე რომ გელაპარაკე? — ჰა? მერე?

— მოგაშორე ის ტიპი.

— როგორ?

— მკვდარია.

— ძალიან კარგი. ვინც გვჭირდებოდა, ის იყო?

— კავშირი ჰქონდა შენს ცოლთან.

— კავშირი? რა ოხრობას გულისხმობ?

— არ მინდა, გული გატკინო.

— მაინც გეცადა, ბილეინ.

— მისმინე, სინდის დაუნძრიეო, მაგიტო არ დამიქირავე? ხო მართალი ვარ? — წარმოდგენა არა მაქ, რატო დაგიქირავე. მაგრად შევცდი, მგონი. — ჯეკ, ის ფრანგი ტიპი მოშორებულია-მეთქი. მკვდარია რა.

— მერე, რაღა დარჩა?

— ჰოდა, ვეღარ გაჟიმავს სინდის.

— ჟიმავდა რო?

— ჯეკ…

— შენ ჟიმავდი? რა თქმაა ეს, სინდის უნდა დაენძრეს! რა არი, ოღრაში ტიპი ხარ? — მისმინე, კვალში ვუდგავარ-მეთქი, გეუბნები. უბრალოდ, აშკარა საბუთები გვჭირდება. — ისევ თავიდან იწყებ.

— მიზანთან ახლოს ვართ, ჯეკ. სულ ცოტაც მოითმინე, რა. მენდე. — გამოდის, იმ ფრანგის გარდა სხვაც იყო?

— კი, ასე მგონია.

— ასე გგონია? ცოტას გიხდი, მაგის დედა ვატირე, რას ქვია "გგონია"? ამდენი კვირა გავიდა, მოდიხარ და მეუბნები, ის ფრანგი ტიპი მკვდარია და კიდე რაღაცები მგონიაო? მე მგონი, უბრალოდ დრო გაგყავს. გაინძერი რა! საბუთები მჭირდება! სიცხადე! — შვიდი დღე მომეცი, ჯეკ.

— ექვსს გაძლევ.

— კარგი, ექვსი იყოს.

გავჩუმდით ცოტა ხანს, მერე ისევ იმან ამოიღო ხმა.

— რაც იყო, იყო. ერთ საათში აეროპორტში მივდივარ. აღმოსავლეთში მაქვს საქმეები. ექვს დღეში დავბრუნდები.

— ყველაფერს დამთავრებულს დაგახვედრებ, პატარავ.

— პატარას ნუ მეძახი. რა დაძახებაა ეს, რა "პატარა", ვერ გავიგე. — ჩვევა მაქვს, უბრალოდ...

— მოკლედ, გაარკვიე ყველაფერი, რაც აურ-დაურიე, თორე ჯოჯოხეთი არ აგცდება, შე ნაბიჭვარო.

— მე მეუბნები ამას, ჯეკ?

არ მიპასუხა. დამიკიდა ყურმილი. კუტუ. მოკლედ, საქმისთვის უნდა მიმეხედა რა.

34

ჰოდა, წავედი და ისევ ბასის სახლთან დავაყენე მანქანა, ცოტა ქვემოთ, ორ ნაბიჯზე. საღამო იყო, პრინციპში, რაღა საღამო, ღამე ერქვა უკვე, რვა საათი ხდებოდა. სინდის წითელი "მერსედესი" გარეთ ეყენა. ვგრძნობდი, მეთქი, აი, ზედა ვარ რა. რაღაც უეჭველი უნდა მომხდარიყო. ჰაერშიც კი რაღაცნაირი სუნი ტრიალებდა. ჩავაქრე სიგარა, ავიღე ტელეფონი და ტოტალიზატორში დავრეკე, მეცხრე გარბენის შედეგები მაინტერესებდა. კიდე წავაგე. ვიჯექი ძალაგამოცლილი, დათრგუნვილი, გამოცარიელებული. ფეხისგულები მტკიოდა.

სინდი, ალბათ, შინ იყო, ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული, ტელევიზორში რაღაც სისულელეს უყურებდა და უაზრობებზე იცინოდა. მერე ჯინი ნიტროსა და იმ თავის ხუთ კოსმოსურ სხეულზე გავაგრძელე ფიქრი. ჩემი გადაბირება უნდოდათ. არა, მე არ ვიყიდები. ერთი უნდა მივახურო მაგათი ბანდა. გამოსავალი უნდა არსებობდეს. ხო

შეიძლება, ვთქვათ, წითელი ბეღურა ვიპოვო და ის დამეხმაროს? შევიშალე ნეტა? მართლა ხდება თუ მეჩვენება ეს ყველაფერი? ავიღე ტელეფონი და ჯონ ბარტონს დავურეკე. მიპასუხა.

— მისმინე, ჯონ, ბილეინი ვარ. ვერაფერი ვერ მოვუხერხე ამ წითელ ბეღურას და ხო არ ჯობია, ვინმე სხვას ჩააბარო ეს საქმე?

— არა, ბილეინ, გენდობი, გააგრძელე, ყველაფერი გამოგივა.

— მართლა მასე ფიქრობ?

— ეჭვიც არ მეპარება.

— კარგი, მაშინ გავაგრძელებ საქმეს.

— მიდი.

— დაგიკავშირდები, თუ ვიპოვე რამე.

— დამიკავშირდი. ღამე მშვიდობისა.

და დაკიდა ყურმილი. რა კაი ვინმეა.

ის-ის იყო, სიგარისთვის უნდა მომეკიდებინა, რომ სინდი გამოვიდა სახლიდან. მივიდა მანქანასთან. ჩაჯდა.

მიდი, პატარავ, მიდი, გამიძეხი.

დაქოქა, ჩართო ფარები და უკუსვლით წავიდა. დაატრიალა მერე და ჩრდილოეთისკენ ქნა პირი. ცოტა წინ გავუშვი და გავყევი უკან. მთავარი ბულვარისკენ გადაუხვია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, წყნარი ოკეანის სანაპიროს გაუყვა. ამჯერად სამხრეთისკენ მიდიოდა. სადღაც სამი მანქანით ჩამოვრჩებოდი. გაიარა გზაჯვარედინი, მე კიდე წითელი ამენთო. გავრისკე და გავძვერი. ბეწვზე გადავრჩი ავარიას. მისიგნალეს და მისიგნალეს, ვიღაცამ, შე პროჭოო, მომაძახა. რა ორიგინალურები არიან ხოლმე ადამიანები.

ისევ სამი მანქანა იყო ჩვენ შორის. სინდი მარჯვენა რიგში იდგა. მერე სიჩქარე დააგდო და სასტუმროსკენ გადაუხვია. "ტკბილი დიუნები" ერქვა სასტუმროს. შეაყენა მანქანა და მეცხრე ხაზში გაჩერდა. მე მეშვიდეში გავჩერდი, ჩავაქრე ფარები და ლოდინი დავუწყე.

ქალი გადმოვიდა, გაუყვა ბილიკს, მივიდა კართან და დააკაკუნა. კარი გაიღო, ვიღაც ტიპი იდგა ზღურბლთან. ეჰ, სინდი, სინდი! შუქი ეცემოდა იმ კაცს და კარგად შევათვალიერე. გარეგნობით არ დაიწუნებოდა. მე რა, სინდისგან არ დაიწუნებოდა, თორე. ახალგაზრდა იყო. გულგრილი, მშვიდი სახე ჰქონდა, თხელი წარბები, გრუზა თმა. პატარა ნაწნავიც, ალბათ. ხო იცნობთ ეგეთებს, თმაჩაწნულებს. სუფთა ვირისთავებს. კარშივე გადაეხვივნენ ერთმანეთს. აკოცესავით კიდეც. მერე სინდის სიცილიც გავიგონე, სახლში შევიდნენ და მოიკეტეს კარი.

ვტაცე ხელი ვიდეოკამერას და პირდაპირ ადმინისტრატორისკენ დავადე თავი. შევედი. არავინ არ დამხვდა. პატარა მაგიდა იყო მხოლოდ, ზარიც. დავრეკე — არაფერი, მერე უკვე ექვსჯერ დავრეკე. გავიგონე, მოდიოდა ვიღაც. ადმინისტრატორი ბებერი, მსუქანი კაცი გამოდგა. ფეხშიშველა, გრძელი საღამურით და ჩაჩით.

— აჰა, — მე ვუთხარი, — საძილედ ემზადებოდით, ხომ?

— ან ვემზადებოდი, ან არა. რა შენი საქმეა?

— არ მიწყინოთ, სერ. ოთახი მინდა, თუ გაქვთ ცარიელი.

— სუტენიორი ხარ?

— არა, როგორ გეკადრებათ, სერ.

— ბარიგა?

— არა, სერ.

— ნეტა ყოფილიყავი. კოკაინი მჭირდება ცოტა.

— მე ბიბლიას ვყიდი, სერ.

— რა საზიზღრობაა.

— მხოლოდ წმინდა წერილს ვავრცელებ, სერ.

— აქ ნურაფერს ნუ გამივრცელებ.

— როგორც მეტყვით.

— გააჯვი რა.

— მოკლედ, ოთახი მინდა, სერ.

— ორი გვაქ, მერვე და მესამე.

— მერვე?

— ჰო, მერვე და მესამე-მეთქი. შენ რა, ყურში არ გესმის?

— მერვეს ავიღებ.

— 35 დოლარი. ნაღდი ფული.

გადავუთვალე. სტაცა ხელი და მომიგდო გასაღები.

— ქვითარი არ მეკუთვნის, ხო?

— რა?

— ქვითარი.

— დამიმარცვლე აბა.

— ვერ დავმარცვლავ.

— ჰოდა, ქვითარსაც ვერ მიიღებ.

ავიღე გასაღები და გამოვედი გარეთ. მივადექი მერვე ოთახს. გავაღე, მშვენიერი ადგილი ჩანდა. მით უმეტეს, სახლი თუ არ გაქ კაცს, გამოგადგება. სამზარეულოში ჭიქას მივაგენი. წამოვიღე და მივადე მეცხრე ოთახის კედელს. ბედი არ გინდა! მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ.

— ბილი, — სინდი ბასის ხმა იყო, — ნუ ვიჩქარებთ რა, ჯერ ცოტა გელაპარაკო მინდა. — ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ. ამ ზუმბას ხო ხედავ, რამე უნდა მოვუხერხო. შენი სხეული მინდა, რა დროს სიტყვებია.

— ჯერ წყალი უნდა გადავივლო, ბილი.

— წყალი უნდა გადაივლო? რას აკეთებდი კი მაგრამ, ბაღში მუშაობდი? — აჰ, ბილი, როგორ იტყვი ხოლმე.

— კარგი, გადაივლე. მე იქამდე ყინულს დავადებ ამ ჩემს კობრას. — ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ბილი.

ამდენი კვირის მერე პირველად გავიღიმე.

მეთქი, დაგენძრა.

35

ჭიქა ისევ კედელზე მქონდა მიდებული და ყურს ვუგდებდი. მესმოდა, როგორ მოჩხრიალებდა წყალი აბაზანაში. საწყალი ბასი, მართალი გამოდგა. საერთოდაც ხო ეგრეა, ზოგი მართალია, ზოგი — მტყუანი, თუ როგორც არი. ჰო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვის გაჟიმავს? ბოლოს მაინც არაფერი არ გრჩება და... ფუ რა, შევეცი რა, შევეცი რა ამ ყველაფერს. მაგრამ ხალხი მაინც რო არ ისვენებს, არ ეშვება. ჭიპლარს გადაუჭრი თუ არა, ეგრევე სხვა რამეს ჩაავლებს, სულერთია, რა იქნება, სანახაობა, მუსიკა, სექსი, ქორწინება, დედა, მასტურბაცია, მკვლელობა, ორშაბათის დილის პახმელია. დავდგი ჭიქა, გადავწვდი პიჯაკს, ნახევარი პინტი ჯინი ვიპოვე, მოვსვი ცოტა. ისე მიწმენდს ხოლმე გონებას, მეტი არ შეიძლება.

დავფიქრდი, ხელობა ხომ არ გამომეცვალა-მეთქი. წუთი წუთზე უნდა შევვარდნილიყავი გვერდით ნომერში და ჟიმაობის პატარა სცენა გადამეღო, მაგრამ ოდნავადაც არ მსიამოვნებდა ეს ამბავი. სამუშაო იყო უბრალოდ, რითაც ბინის და სასმლის ფულს იხდი კაცი და ელოდები იმ უკანასკნელ დღესა თუ ღამეს. დრო გაგყავს. ფუ, რა საცოდაობაა. რა ფილოსოფოსი გამოვიდოდა ჩემგან! ვეტყოდი ადამიანებს: ამაზე მეტი სისულელე იქნება? ვდგავართ და ხან ჩავისუნთქავთ ჰაერს, ხან ამოვისუნთქავთ. ჯანდაბა. დარდი შემომაწვა, მგონი. მოვსვი კიდე ჯინი და ისევ მივადე ჭიქა კედელს. სინდი უნდა გამოსულიყო აბაზანიდან უკვე.

— ღმერთო ჩემო, — გავიგონე კაცის ხმა, — რა ნაშა ხარ.

— ჰოო, ბილი, მართლა ასე ფიქრობ?

— ხო გითხარი, არა?

— რა კარგ რამეებს მეუბნები ხოლმე, ბილი.

— არა, შეხედე, რამხელა ძუძუები გაქ! სულ პირჩაღმა უნდა ეგდო, წესით, ეტყობა ეგ დიდი ტრაკი გშველის, გქაჩავს უკან.

— სულაც არ მაქვს დიდი უკანალი, ბილი.

— რა უკანალი, პატარავ, უკანალი კი არა, ბაღჩა, ჟელეიანი, მურაბიანი, ფუნთუშებიანი ბაღჩა.

— ჰო, მაგრამ ჩემზე რას იტყვი, ბილი? ჩემს შინაგან სამყაროზე. — საყვარელო, ამას ხო ხედავ, როგორ ფეთქავს და ქანაობს აქეთ-იქით? ჰოდა, ძალიან მალე მივხედავთ შენს შინაგან სამყაროსაც.

— ბილი, მგონი, გადავიფიქრე...

— რა დროს გადაფიქრებაა, პატარავ! მოდი, მოაჯექი ამ ჩემს კოშკს. მოვაშორე ჭიქა კედელს, შევამოწმე კამერა, გამოვსხლტი გარეთ და მივადექი მეცხრე ნომერს. კარის გაღება არ გამჭირვებია, ჩემი საკრედიტო ბარათითაც მოვახერხე. საწოლ ოთახში მაგრად ჭრიალებდა ზამბარები. ჩავრთე კამერა და შევვარდი შიგნით. არის. ათი კურდღელი ვერ იზამდა ერთად, ისეთს უქაქუნებდა ბილი. როგორღაც შემამჩნია, შეეშვა ქალს და გადმოხტა იატაკზე. პირი ღია დარჩა. ჯერ მაგრად გაუკვირდა, მერე გაბრაზდა. ცხადია, გაბრაზდებოდა.

დგას, მიყურებს.

— ჯანდაბა, რა არი ეს, რა ხდება, რა ამბავია?

სინდი ლოგინში წამოჯდა.

— გამომძიებელია, ბილი. გიჟია. მე და ჯეკსაც შემოგვივარდა და გადაღება დაგვიწყო. სულელია, გეუბნები, ბილი.

მე გადავხედე.

— მოკეტე რა, სინდი! ხო ჩაგავლე, ხო გითხარი, ადრე თუ გვიან დაგენძრევა-მეთქი. ბილი წამოვიდა ჩემკენ.

— ჰეი, ძმაო, შენ გგონია, ცოცხალს გაგიშვებ აქედან?

— კი, მგონია, ბილი, ბიჭუნია, ისე გავალ, როგორც დაგიბარებია. — ვითომ როგორ?

— მეგობარმა, გახვალო.

და ჩემი 32-კალიბრიანი დავაძრე ბუდიდან.

— ეგ ნაგავი ვერ შემაჩერებს.

— ცადე და ნახავ, თუ ვერ შეგაჩერებს, მნძრეველა შენ.

ის ნელ-ნელა მიახლოვდებოდა.

— ბილი, პატარავ, სამჯერ უკვე მყავს კაცი მოკლული, მეოთხედაც არ გამიჭირდება. — ტყუილი, ტყუილი, — თან იღიმებოდა და მოიწევ-და ჩემკენ, — დედაშენი საფლავში ტრიალებს, ალბათ.

— კიდე ერთი ნაბიჯიც, შე სირო, და მოვათავებთ საქმეს.

გამოიწია. გავისროლე. არ წაქცეულა, იდგა. შეიყო ჭიპში ხელი, გამოიღო ტყვია და მოისროლა. სისხლი არ გამოსვლია კი არა, ჩა-ლურჯებულიც არ ეტყობოდა არსად. — ტყვიები არაფერს არ ნიშნავს ჩემთვის, — მითხრა, — არც შენ, სხვათა შორის. წამართვა რევოლ-ვერი და კუთხეში მიაგდო.

— აგერ მე და აგერ შენ.

— მომისმინე, მეგობარო, მოვილაპარაკოთ. წაიღე კამერა, მაინც უნდა შევეშვა ამ საქმეს, თვალით ვეღარ მნახავ ვერასდროს. — ვიცი, რო ვერ გნახავ, მოგკლავ და მაგიტომ.

— ჰო, მიდი, მოკალი ეგ მურტალი.

გავხედე.

— შენ ნუ ერევი, სინდი, ეს ჩვენი საქმეა, კაცების.

— მართლა, ბილი?

— მართლა.

მერე მეცა და მომიფრიალა ოთახში. კედელს შევასკდი და ჩავ-ცურდი დაბლა. — ბილი, — მე ვუთხარი, — ნახევარ ქალაქს ყავს ნახ-მარი, ამ სქელტრაკას გულისთვის ჩვენ რატო ვჩხუბობთ?

ბილიმ გაიცინა და ისევ გამოიწია ჩემკენ.

36

უცებ გონება გამინათდა. ეს ტიპი უეჭველი უცხოპლანეტელი იყო. იმიტომ ვერ დააკლო ვერაფერი ტყვიამ. ავდექი და ზურგით მივეყუდე კედელს.

— ვიცი, ვინცა ხარ, ბილი, — ვიყვირე მე.

გაჩერდა.

— უცხოპლანეტელი ხარ.

სინდი მოკვდა სიცილით.

— ხო გითხარი, გიჟია-მეთქი.

გავხედე.

— ეს ერთი ცალთვალა, ბანჯგვლიანი, გველისტანიანი ტიპია. ადამიანის სხეულში კი იმალება, მაგრამ მოჩვენებაა ეგ ყველაფერი.

ბილი იდგა გახევებული და თვალს არ მაცილებდა.

— სად იპოვე, ეს ტიპი, სინდი? — ვკითხე მე.

— ბარში. მაგრამ არ მჯერა შენი სისულელეების. არავითარი უცხოპლანეტელი არ არის ეს. — კითხე.

სინდიმ ისევ გაიცინა.

— კარგი, ბილი, უცხოპლანეტელი ხარ?

— ჰა?

— ხო ხედავ, არა? — შევაგულიანე მე.

ბილიმ ქალს გახედა.

— ამ გიჟს აპირებ დაუჯერო?

— რა თქმა უნდა, არა, ბილი. მიდი, მოუღე ბოლო.

— კარგი, პატარავ...

ბილი ჩემკენ წამოვიდა. უცებ ალისფრად განათდა ოთახში და ჯინი ნიტროც გაჩნდა. — ჯინი, — წამოიწყო ბილიმ, — მე...

— მოკეტე, შე ნაბიჭვარო, — უთხრა ჯინიმ.

— რა ჯანდაბა ხდება აქ? — იკითხა სინდიმ და ჩაცმა დაიწყო. ბილი ისევ დედიშობილა იდგა.

— შე ნაბიჭვარო, — გააგრძელა ჯინიმ, — ხო გითხარი, ადამიანებთან დაძმობილება არ გამოვა-მეთქი.

— რა ვქნა, საყვარელო, ვერ მოვითმინე. ერთ ღამეს ვიჯექი ჩემთვის ბარში და ეს შემოვიდა.

— ხო გიბრძანეს, დედამიწელებთან სექსი არ გქონდესო!

— ჯინი, ხომ იცი, შენ ერთადერთი ხარ ჩემთვის. უბრალოდ, სულ დაკავებული ხარ და... — გაიჩალიჩე, ბილი, — უთხრა ქალმა და მარჯვენა ხელი მისკენ გაიშვირა. — არა, ჯინი, არა.

განათდა ალისფრად, ბილი ისევ ბანჯგვლიან, ცალთვალა გველად იქცა და იატაკზე დაიწყო სხმარტალი. ჯინიმ ისევ გაიშვირა მარჯვენა ხელი, ისევ განათდა ალისფრად, გაისმა ბღავილი და უცხოპლანეტელი ბილიც უკვალოდ გაქრა. — თვალებს ვერ ვუჯერებ, — სინდი გაოგნებული იყო.

— ჰო, — მე ვუთხარი, — ვიცი.

ჯინი მე მომიბრუნდა.

— გახსოვდეს, ბილეინ, რომ შენ ჩვენი საქმისთვის შეგარჩიეს, ზაროსის საქმისთვის. — კი, — ვუთხარი, — რა დამავიწყებს.

მერე მესამედაც განათდა ოთახში და ჯინიც გაქრა.

სინდის ჩაეცვა უკვე, მაგრამ გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო. — თვალებს ვერ ვუჯერებ.

— პატარავ, ჯეკმა შენზე, გამირკვიე მაგის ამბებიო და მეც გავარკვიე. — უნდა წავიდე აქედან.

— წადი. მაგრამ არ დაგავიწყდეს, რა მაქ აქ ჩაწერილი. ჭკუით მოიქეცი, თორე ჯეკს ვანახებ ყველაფერს.

— კარგი, — ამოიოხრა სინდიმ, — შენ გაიმარჯვე.

— მე ლოს-ანჯელესის საუკეთესო დეტექტივი ვარ. აწი გეცოდინება. — მისმინე, ბილეინ, რამე რომ მოვახერხოთ მაგ ფირის სანაცვლოდ? — ჰა?

— იცი, რასაც ვგულისხმობ.

— არა, არავითარ შემთხვევაში, სინდი, ვერ მომისყიდი. ისე, კარგი მცდელობა იყო. — ჰოდა, ჯანდაბამდე გზა გქონია, პუტკუნ, — მითხრა, მიტრიალდა და კარისკენ წავიდა. თვალი ვერ მოვწყვიტე მის ჯადოსნურ თეძოებს. როგორ მიათამაშებდა! — სინდი, მოიცა ერთ წუთს.

მობრუნდა, გაიღიმა.

— გისმენ.

— გაატარე. არაფერი, წადი...

გავიდა. აბაზანაში შევაჭერი და მოვითქვი სული, არა, ნაწლავებთან დაკავშირებულ ამბებს არ ვგულისხმობ. რაც გინდათ, თქვით და ნამდვილი პროფესიონალივით კი მოვიქეცი. საქმე გახსნილი იყო.

37

მეორე დღეს სამსახურში დავურეკე ჯეკ ბასს.

— სინდისთან გაშორება ისევ გინდა, ჯეკ?

— მინდა. გაარკვიე რამე?

— მოდი, ასე ვთქვათ — ორივე ჯენტლმენი, ვისთანაც მას კავშირი ჰქონდა, მკვდარია. — კავშირი, ესე იგი. რა ჯანდაბას გულისხმობ ამ "კავშირში", ერთი ვიცოდე. — მომისმინე, ჯეკ, გთხოვ, ეს ტიპები მკვდრები არიან უკვე, ის ფრანგიც და უცხოპლანეტელიც.

— უცხოპლანეტელი? რას მასულელებ?

— არ გასულელებ, ჯეკ. რამდენიმე უცხოპლანეტელი შემოიჭრა ზაროსიდან. სინდი ბარში შეხვდა ერთ-ერთს. ახალგაზრდა იყო, კაი გვარიანი ინსტრუმენტიც ეკიდა. — მკვდარია?

— კი, ეგეც და ფრანგიც, ხომ გითხარი.

— შენ ხოცავ ხალხს?

— ჯეკ, აღარ არიან ეს ტიპები, სინდიც აღარ ივლის გარე-გარე. შეგიძლია, მშვიდად იყო. — რა ვიცი, რომ აღარ ივლის?

— ნუ ღელავ. ისეთი რამე მიჭირავს ხელში, მოიშლის-მეთქი.

— რაღაც გადაიღე და სინდის არ უნდა, რომ მე მაჩვენო, ხომ მართალი ვარ? — შეიძლება, მართალიც ხარ, შეიძლება, არც ხარ. მოდი, ასე ვთქვათ, ისეთი რამე მიჭირავს, გაიგულავებს თუ არა, ეგრევე დაენძრევა. — ჰო, მაგრამ მე მინდა, სინდი ჩემთან სიყვარულის გამო დარჩეს და არა შანტაჟის. — შანტაჟი-მანტაჟი არ ვიცი, ჯეკ, გეუბნები, გარე-გარე მეტს აღარ ივლის-მეთქი. ჩავუშალე ყველა კავშირი და აწი ამოწეული შარვლით ივლის. მეტი რა გინდა? შეუყვარდე კიდეც იქნება, მიეცი გამოსწორების საშუალება. ახალგაზრდაა, გაერთო ცოტა, რა დაგემართა.

— უცხოპლანეტელთან?

— მადლობელი იყავი, რო უცხოპლანეტელი იყო. კაციშვილი ვერ გაიგებს მაგის ამბავს ვერასდროს. თითქოს არც მომხდარა არაფერი.

— ჰო, მაგრამ მოხდა. როგორ თქვი, გვარიანი ინსტრუმენტი ეკიდაო? მაინც რამხელა ჰქონდა?

— ძნელი სათქმელია. ისე მუშაობდა...

— უყურებდი?

— შევაწყვეტინე.

— ფრანგზე რაღას იტყვი? იმასაც ეგრე ეკიდა?

— ჯეკ, ორივე ტიპი მკვდარია. დაივიწყე რა. ამ დღეებში გამოგიგზავნი ანგარიშს ფოსტით.

— რაღაც არ მომწონს ამ ამბავში.

— გეუბნები, გარე-გარე სიარულს მოიშლის-მეთქი, ჯეკ.

— მაგრამ დავუშვათ და არ მოიშალა?

— მოიშლის-მეთქი, იცის, რომ დავუნძრევ და მოიშლის.

— ისევ იმავეს ამბობ. შენც ხომ არ გაგიჟიმავს, ჰა?

— ჯეკ, ჯეკ, ჯეკ, ძალიან გთხოვ, მე ჩემი საქმის პროფესიონალი ვარ. — და ის ტიპები მართლა მკვდრები არიან? რატო უნდა დაგიჯერო? — ჯეკ, მისი ქცევის მიხედვით მიხვდები ყველაფერს. ნუ ღელავ. სხვა რამე ხო არ გაქვს კიდე გასარკვევი? იცოდე, ლოს-ანჯელესში საუკეთესო დეტექტივი მე ვარ. — არა, არაფერი.

— კარგი, ჯეკ, ბედნიერად მაშინ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

დავუკიდე ყურმილი. გამოვწიე მაგიდის უჯრა, არაყი ამოვიღე და გადავკარი. საქმე წინ მიდიოდა. ერთადერთი წითელი ბეღურაღა მყავდა მოსანახი. და თავი უნდა დამეღწია როგორმე ამ უცხოპლანეტელებისგან. ქალბატონი სიკვდილისგანაც. კიდე მოვსვი არაყი და საკუთარ თავს მოდუნების უფლება მივეცი, თუმცა ცოტა ხნით.

38

ჯონ ბარტონს დავურეკე. ჩრდილოეთში თავისი გამომცემლობა ჰქონდა. — ბილეინი ვარ, ჯონ...

— გამიხარდა თქვენი ხმის გაგონება, ნიკ. როგორ მიდის საქმეები? — ნელა-ნელა, ჯონ. ცოტა მეტი ინფორმაცია მჭირდება ამ წითელ ბეღურაზე. — მოკლედ, ჩვენ გვინდა, ეს წითელი ბეღურა ჩვენს ლოგოდ ვაქციოთ. მართლა ცნობილი გავხადოთ. მაგრამ გავიგე,

კიდე ერთი წითელი ბეღურა გამოჩნდა სადღაცო და უნდა მოვძებნოთ.

— მეტს არაფერს აპირებთ?

— ჰო, რა ვიცი, კიდე წინათგრძნობა მაქვს...

— გინახავთ ოდესმე ეს წითელი ბეღურა?

— გავიგე, უნახავთ.

— გაიგეთ? საიდან გაიგეთ?

— საიდუმლო გზებით. ყველაფერს ვერ გაგიმხელთ.

— დავუშვათ, ვიპოვე ეს ჩიტი. რა ვუქნა? გალიაში ჩავსვა?

— არა, მხოლოდ უტყუარი საბუთები მჭირდება, რომ არსებობს, ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

— და თუ ვერ მივაგენი?

— თუ არსებობს, მიაგნებთ, მე მჯერა თქვენი.

— მისმინეთ, ამაზე უცნაური საქმე არც მქონია არასდროს.

— ყველას ყოველთვის იმას ვეუბნებოდი, რომ თქვენ დიდებული დეტექტივი ხართ. თქვენ მოახერხებთ ამას ჩემთვის. იპოვით წითელ ბეღურას.

— კარგი, ჯონ. მივხედავ ამ საქმეს. მაგრამ პატარა ბავშვი აღარ ვარ. ძალიან დავიღალე. ძველებური ენერგია აღარ შემომრჩა.

— საუკეთესო ფორმაში ხართ. თქვენ შეძლებთ ამას.

— კარგი, ჯონ, შევეცდები...

— მშვენიერია.

დავკიდე ყურმილი. ყველაფერი კარგი, მაგრამ ძებნა საიდან უნდა დამეწყო? მოვიფიქრე, მეთქი, უახლოესი ბარიდან.

დღის სამი საათი იყო, ვიპოვე სკამი და დავჯექი. ბარმენიც მოვიდა. რაღაცნაირი მარტოსული კაცის სახე ჰქონდა. უქუთუთოებო. ფრჩხილებზე პატარა მწვანე ჯვრები ეხატა. სულელს ჰგავდა. მოკლედ, ვერ დავაღწიე რა ამ გიჟებს თავი. კაცობრიობის უდიდესი ნა-

წილი გადარეულია, მგონი. და გადარეული ვინც არის, ის გაბრაზებულია. ვინც არც გადარეულია და არც გაბრაზებული, დებილია უბრალოდ. მოკლედ, შანსი არ მქონდა. არც არჩევანი. უნდა მოიკრიბო კაცმა ძალა და ელოდო აღსასრულს. რთული საქმეა, ამაზე რთული საქმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. თავს ძალა დავატანე და ბარმენს შევხედე.

— წყალგარეული სკოჩი მომიტანეთ, — ვუთხარი.

არ განძრეულა.

— წყალგარეული სკოჩი, — გავუმეორე.

— ოჰ, — მითხრა და წათოხარიკდა.

თვალის კუთხიდან დავინახე, როგორ შემოვიდა ბარში. რა თქმაა "თვალის კუთხე", სად აქვს თვალს კუთხე?! მოკლედ, როგორც იყო, დავინახე, შემოვიდა ჩემი ძველი მეგობარი. მომიჯდა მარჯვნიდან.

— გამარჯობა, ლაწირაკო, — გამომელაპარაკა, — გამიმასპინძლდები? — რა თქმა უნდა, პატარავ.

ქალბატონი სიკვდილი იყო.

— ჰეი, ძმაო, — გავძახე ბარმენს, — ორი მოიტანე.

— ჰა?

— ორი ჭიქა წყალგარეული სკოჩი გაგვიკეთე-მეთქი.

— აჰ, კარგი.

— რას აკეთებ, პუტკუნ?

— საქმეებს ვხსნი, როგორც ყოველთვის.

— ჰო?! ხსნი რო?

— ცდები, პატარავ, მე ლოს-ანჯელესის საუკეთესო დეტექტივი ვარ. — ეგ არც ისე რთულია.

— რახან შენ იტყვი.

— ნუ თავხედობ, პუტკუნ, თორე ამოგაძრობ სულს.

— მაპატიე, საყვარელო, ნერვები მაქ დაგლეჯაზე. იქნება სასმელმა მიშველოს. ბარმენმაც მოგვიტანა ჭიქები.

— ქუთუთოებზე რა დაგემართა? — ჰკითხა ქალბატონმა სიკვდილმა. — გაზის გამათბობელი ამიფეთქდა დღეს დილით...

— ძილს როგორ აპირებ ამაღამ?

— პირსახოცს შემოვიხვევ თავზე.

— ახლავე რომ ქნა ეგ, არა? — ვკითხე მე.

— რატომ უნდა ვქნა?

— დაიკიდე... — ვუთხარი და ფული მივეცი.

მე ჩემი ჭიქა ავწიე, ქალბატონმა სიკვდილმა — თავისი.

— სიცოცხლეს გაუმარჯოს, — თქვა იმან.

— მართალია, გაუმარჯოს, — დავეთანხმე მეც. მივაჭახუნეთ ჭიქები და დავლიეთ. შევუკვეთე მეორედ...

მომდევნო მუშტარი მხოლოდ 30 წუთის შემდეგ შემოვიდა. ჩვენ ისევ იქ ვისხედით. ისიც ქალი იყო. შემოგვიარა და ამჯერად ის მარცხნიდან მომიჯდა. ორი ქალი ორჯერ მეტ თავსატეხს ნიშნავს. ჰოდა, ამჯერად ორივე მხრიდან მიტევდნენ. მე ვიჯექი შუაში. მეთქი, დამერხა.

ის მეორე ქალი ჯინი ნიტრო იყო. ბარმენს დავუძახე და ისევ წყლით გაზავებული სკოჩი შევუკვეთე.

— ნიკ, — მიჩურჩულა ნიტრომ, — სალაპარაკო მაქვს შენთან. ეს ძუკნა ვინ არის, გვერდით რომ გიზის?

— ვერ მიხვდები ვერაფრით, — მე ვუთხარი.

სასმელი მოიტანეს და ნიტრომაც დალია.

— მოკლედ, მგონი დროა, ერთმანეთი გაგაცნოთ... — წამოვიწყე და ქალბატონ სიკვდილს მივუტრიალდი.

— ქალბატონო, ეს ჯინი ნიტროა...

მერე ჯინის მივუბრუნდი.

— ჯინი, ეს ქალბატონი... ქალბატონი...

— ცეცხლი, — მიკარნახა ქალბატონმა სიკვდილმა.

ქალებმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს.

ოჰო, ძალიან საინტერესოდ შეიძლება წავიდეს საქმე, — გავივლე გულში და ბარმენს ვანიშნე, სასმელი კიდე დაგვისხი-მეთქი.

39

მოკლედ, კაცმა რომ თქვას, სიკვდილსა და კოსმოსს შორის ვიჯექი. ოღონდ ქალის სახე მოერგო ორივეს. მქონდა კი საერთოდ შანსი? გარდა ამისა, წითელი ბეღურა უნდა მეპოვა, რომელიც, შესაძლოა, არც არსებობდა საერთოდ. ყველაფერმა ერთბაშად მომაბეზრა თავი. რას წარმოვიდგენდი, თავგზა ასე თუ ამერეოდა. თან რა დავაშავე, ვერც იმას ვხვდებოდი. რა მექნა?

თავს შემოუძახე და ცოტა მოისულელე, — გავივლე გუნებაში. გადაწყდა. მოიტანეს სასმელი.

— თქვენ გაგიმარჯოთ, ქალბატონებო.

მივუჭახუნეთ ჭიქები ერთმანეთს და გადავკარით. რატო არ ვარ ვიღაც სხვა ტიპი და რატო არ ვუყურებ ახლა ბეისბოლის თამაშს? თან შედეგზე ვინერვიულებდი. ან მზარეული მაინც ვიყო, შევწვავდი კვერცხს და თავს ისე დავიჭერდი, თითქოს მეტი არც არაფერი მეხებოდა სამყაროში. ბუზად მაინც გავჩენილიყავი, დავაჯდებოდი ვინმეს მაჯაზე და მოვყვებოდი ცოცვას, თან გული შიშისგან გახეთქვაზე მექნებოდა; ან მამალი ვიყო, საქათმეში მარცვალს ავკენკავდი. რატო არ ვარ?!

ჯინიმ იდაყვი გამკრა: “ბილეინ, საქმე მაქვს...” მე დახლზე ფული დავდე და ქალბატონ სიკვდილს მივუბრუნდი:

— იმედი მაქვს, არ გეწყინებათ...

— ვიცი, პუტკუნ, ამ ქალბატონს მარტო გინდა დაელაპარაკო. რატომ უნდა მეწყინოს? შენი შეყვარებული კი არ ვარ.

— ჰო, მაგრამ თქვენ თითქოს სულ ჩემ გვერდით წრიალებთ, ქალბატონო. — მე ყველას ირგვლივ მასე ვტრიალებ, ნიკ. უბრალოდ, შენ სხვებზე ხშირად მამჩნევ ხოლმე.

— ჰო, ალბათ.

— მაგრამ შენ მე სელინის საქმეში დამეხმარე...

— დიახ, სელინის...

— ამიტომ ცოტა ხანს დაგტოვებ მარტო შენს ქალბატონთან. თუმცა მხოლოდ ცოტა ხანს. მე და შენ რაღაც-რაღაც საქმეები გვაქვს დასამთავრებელი, ჰოდა, გინახულებ. — ქალბატონო სიმხურვალევ, ეჭვიც არ მეპარება...

სასმელი ბოლომდე დალია, ადგა, შეტრიალდა და კარისკენ წავიდა. ისეთი ლამაზი იყო, ცუდი არაფერი მოხდეს-მეთქი, გავიფიქრე. როგორც იქნა, გავიდა გარეთ. ბარმენი ფულის ასაღებად მოვიდა.

— ვინ იყო? — მკითხა, — გვერდით რომ ჩამიარა, ცოტა თავბრუ დამესხა. — მადლობა თქვი, მარტო თავბრუ რომ დაგესხა, — მე ვუთხარი. — რას გულისხმობ?

— რომც გითხრა, მაინც არ დამიჯერებ.

— ცადე.

— არა, არ ვაპირებ. მისმინე, გაიწიე რა გვერდზე ოდნავ, მე და ამ ქალბატონს სალაპარაკო გვაქვს.

— კარგი. მაგრამ ჯერ ერთი რამ მითხარი.

— მიდი.

— შენნაირი მსუქანი და შეუხედავი კაცი ამდენს როგორ ახერხებ? — თაფლი მისვია ერთ ადგილას. მოშორდი ახლა აქედან.

— რატო თავხედობ, ძმაო.

— მკითხე და.

— უხამსობების ლაპარაკი რა საჭიროა.

— თუ გგონია, რომ უხამსობები ვილაპარაკე, გაჩერდი კიდე ორ წუთს და ნახავ, რაც არი ნამდვილი უხამსობა.

— გააჯვი რა.

— მშვენიერია, ჰოდა, მოშორდი ახლა, სანამ მთელი ხარ.

ისიც ნელი ნაბიჯით გავიდა დახლის მეორე ბოლოში, შეჩერდა წუთით და ტრაკი მოიფხანა. მე ჯინის მივუტრიალდი.

— მაპატიე, პატარავ, ლამის ყველა ბარმენთან მომდის ასეთი უსიამოვნო ლაპარაკი. — არა უშავს, ბილეინ.

ნაღვლიანი ჩანდა.

— ბილეინ, მე უნდა წავიდე.

— კარგი, რას ვიზამთ, მაშინ გამომშვიდობებისა დავლიოთ.

— არა, იმის თქმა მინდა, საერთოდ უნდა წავიდე-მეთქი. ჩემები მიდიან დედამიწიდან და... არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან მოგეჩ-ვიე.

— მესმის, — გამეცინა მე, — მაგრამ შენები რატომ მიდიან?

— ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და, საშინელებაა აქაურობა. აღარ გვინ-და ამ თქვენი დედამიწის დაპყრობა.

— რა არ მოგეწონათ, ჯინი?

— მთლიანად დედამიწა. ნისლი, მკვლელები, მოწამლული ჰა-ერი, მოწამლული წყალი, მოწამლული საკვები, სულ სიძულვილი, უიმედობა, ყველაფერი ერთად. მარტო ცხოველები მოგვეწონა და იმათაც ხოცავენ, მალე შინაური კატებისა და დოღის ცხენების გარ-და არც დარჩება, ალბათ, აღარც ერთი. ძალიან სამწუხარო ამბავია, დარწმუნებული ვარ, შენც ამიტომ სვამ ამდენს.

— მართალი ხარ, ჯინი. ატომური იარაღი დაგავიწყდა.

— ჰო, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ძალით იღუპავთ თავს.

— სწორია, შეიძლება ორ დღეში მოგვეღოს ბოლო და შეიძლება მთელი ათასი წელიც გავძლოთ. რა იქნება, თავადაც არ ვიცით, ადამიანთა უმრავლესობამ ამიტომაც ჩაიქნია ყველაფერზე ხელი.

— მომენატრები, ბილეინ, ეს ცხოველები კიდე...

— წასვლის გამო არ გადანაშაულებ, ჯინი...

თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— არ იტირო, ჯინი, ჭირსაც წაუღია ყველაფერი...

დასწვდა ჭიქას, გადაკრა, შემომხედა, ასეთი თვალები არც იქამდე მინახავს და ვერც ვერასდროს ვნახავ, ალბათ.

— კარგად, პუტკუნ, — მითხრა და გამიღიმა. წავიდა მერე.

40

მეორე დღეს ჩემს კაბინეტში ვიჯექი. ერთადერთი საქმე მქონდა გადასაწყვეტი: წითელი ბეღურა უნდა მეპოვა. კაციშვილი არ მიკაკუნებდა კარზე, არიქა, ახალი დავალება გვაქვს შენთვისო. ამას რა ჯობდა. გადავწყვიტე, ყველაფერი მომეწესრიგებინა, საკუთარი თავისთვის ჩამებარებინა ანგარიში. კაცმა რომ თქვას, რაც ჩემი გასაკეთებელი იყო ცხოვრებაში, იქიდან ბევრი რამე გავაკეთე. ღამღამობით ქუჩაში არ მეძინა. რასაკვირველია, ქუჩაშიც ბევრ წესიერ ადამიანს სძინავს. ასეთები სულელები არიანო, ვერც იტყვი, უბრალოდ, ეპოქის მთავარ მექანიზმს ვერ გაუგეს ვერაფერი. არადა, ეს მექანიზმიც გამუდმებით იცვლება. საძაგელი ამბავია, მოკლედ, თუ კაცს საკუთარ საწოლში გძინავს, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა. მართალია, დროდადრო მიმართლებდა კიდეც, მაგრამ, ამასთან, საქციელსაც ხშირად ვატანდი ჭკუას. თუმცა, ვინც რაც უნდა თქვას, სამყარო მაინც საშინელი რამაა და მეც ხშირად შემცოდებია ადამიანები. ჯანდაბამდე გზაც ჰქონია ყველაფერს. არაყი დავისხი და გადავკა-

რი. ხშირად სიცოცხლის საუკეთესო წუთები მაშინ გიდგას, როცა არაფერს აკეთებ, ფიქრობ უბრალოდ, იცოხნები რა. იმის თქმა მინდა, ვთქვათ, გადაწყვიტე კაცმა, ცხოვრება უაზრობააო, მაშინ მთლად უაზრობა აღარ გამოდის, უაზრობის შენმიერი შეცნობა ლამის ყველაფერს თავად აძლევს აზრს. ხვდებით, რასაც ვამბობ? ეს არის ოპტიმისტური პესიმიზმი. წითელი ბეღურა. მაგის ძებნა წმინდა გრაალის ძებნას ჰგავს. იქნებ მე ვერ გავქაჩე უბრალოდ. ვერ შევძელი. კიდე გადავკარი არაყი. კარზე კაკუნი გაისმა. ჩამოვიღე ფეხები მაგიდიდან.

— შემობრძანდით.

კარი გაიღო და ვიღაც ტიპი შემოვიდა. შესაბრალისი სანახავი იყო, ჩაჯმულივით ეცვა. სუნიც უდიოდა, ნავთის, მგონი, მთლად დარწმუნებული არ ვარ. თვალები ჰქონდა, წერტილებივით. გვერდულად წამოვიდა ჩემკენ. ზედ მაგიდასთან გაჩერდა, მხრებში მოიხარა და როგორღაც შეუტოკდა მახინჯი თავი.

— ბილეინი ხარ? — მკითხა.

— შესაძლოა.

— ამბავი მოგიტანე.

— ძალიან კარგი, ჰოდა, როგორც მოიტანე, ისე წაიღე უკან.

— დამშვიდდი, ბილეინ. მე სიტყვა ვიცი.

— ჰა? რა სიტყვა?

— წითელი ბეღურა.

— გააგრძელე.

— ჩვენ ვიცით, რომ ეძებ.

— "ჩვენ"? ვინ "ჩვენ"?

— ვერ გეტყვი.

ავდექი, შემოვუარე მაგიდას და გასაცოდავებული პერანგის გულისპირში ვტაცე ხელი. — დავუშვათ და გათქმევინე? აი, დავუშვათ და ძალით გათქმევინე? — ვერ გეტყვი, არ ვიცი და იმიტომ.

დავუჯერე რატომღაც. დავანებე თავი. კინაღამ იატაკზე გაიშხლართა. მოვბრუნდი და ისევ მაგიდას მივუჯექი.

— ამოსი მქვია, — წამოიწყო მოსულმა, — ამოს რედსდეილი. შემიძლია, ბეღურის კვალზე დაგაყენო. გინდა?

— ეს რა არის?

— მისამართი. ამ ქალმა იცის ბეღურის ამბავი.

— რამდენი გინდა?

— 75 დოლარი.

— გააჯვი რა, ამოს.

— კარგი, არ გინდა, ნუ გინდა. წავალ მე. სტარტს უნდა მივუსწრო. დღევანდელი ორმაგის ამბავი ვიცი.

— 50 დოლარი.

— 60.

— კარგი, მოიტა მისამართი.

ამოვიღე სამი ოციანი და იმან გაკეცილი ქაღალდი გამომიწოდა. გავხსენი, დავხედე. ეწერა: “დეჟა ფაუნტენი, მე-9 კვარტ. რადსონ დრაივის 3234. დას. ლოს-ანჯელესი”. — მისმინე, ამოს, აქ, რასაც გინდა, იმას დაწერ. საიდან გავიგო, მართალს მეუბნები თუ არა.

— უბრალოდ, წადი და შეამოწმე, ბილეინ. სწორი მისამართია.

— არ იქნება და შენს თავს დააბრალე, რაც დაგემართოს.

— სტარტს უნდა მივუსწრო, — მითხრა, მიტრიალდა კარისკენ და გავიდა გარეთ. მე კიდე ვიჯექი და სამოც დოლარად მიღებული ქაღალდის ნაგლეჯი მეჭირა ხელში.

41

მოსაღამოვდა თუ არა, წავედი და დავდექი სახლთან. მშვენიერი უბანი იყო. ჰო, რას ნიშნავს მშვენიერი უბანი: ნიშნავს ადგილს, სადაც ფული არ გეყოფა, რომ იცხოვრო. არაყი მოვსვი, გადმოვედი მანქანიდან, ჩავკეტე კარი და სადარბაზოსკენ წავედი. კარზე სია ჩავათვალიერე, ვნახე დეჟა ფაუნტენი და მივაჭირე ღილაკს თითი. სასიამოვნო, მაგრამ ოდნავ აღელვებულმა ხმამ მიპასუხა: — რა გნებავთ?

— დეჟა ფაუნტენს ვეძებ. წითელ ბეღურასთან დაკავშირებით. ამოს რედსდეილმა მომასწავლა. ნიკი მქვია, ბილეინი.

— სერ, წარმოდგენა არ მაქვს, რა ჯანდაბას ლაპარაკობთ.

— ჯანდაბა.

— რაო?

— არაფერი. მითხრეს...

— გაგეხუმრეთ, ნიკ. გთხოვთ, შემობრძანდით.

გაისმა ზუზუნი. მივაწექი შესასვლელ კარს. გაიღო. მეცხრე ბინამდე მისასვლელად ჯერ ხავერდის ნოხი გავიარე. და მეცხრე ნომერი რომ იყო ბინა? კარგს არაფერს ნიშნავდა ეს ამბავი. რიცხვები მაშინებენ საერთოდ, 3, 7 და 8 მიყვარს მარტო, ან მათი კომბინაციები. მივაჭირე ზარს. კარი გაიღო. ლამაზი ქალი იყო — წითელი კაბა, მწვანე თვალები, გრძელი, მუქი ყავისფერი თმა. პიტნის სუნი ასდიოდა და იღიმებოდა. — მისტერ ბილეინ, გთხოვთ, მობრძანდით.

შევყევი. ზურგში უცებ რაღაც მძიმე საგანი მომედო.

— არ გაინძრე, შე დედამოტყნულო! ხელი მანახე! აწიე მაღლა! აბა, ცადე, ჭერს თუ მიწვდები. შენი!

— ზანგი ხარ? — ვკითხე.

— ჰა?

— მარტო ზანგები ამბობენ: შე დედამოტყნულოო.

გამჩხრიკა, მიპოვა იარაღი და წაიღო.

— საკმარისია, ახლა მობრუნდი, მისტერ ბილეინ.

მივბრუნდი, მაგრამ რას ვხედავ. მოსული ტიპი კია, მაგრამ თეთრი. — ე, თეთრი ხარ!

— შენც.

— კაი, ვიქნები დედამოტყნული.

— შენი საქმისა შენ იცი. რევოლვერს წასვლისას დაგიბრუნებ. დეჟას მეორე ოთახში გავყევი. სკამი შემომთავაზა. დიდი ოთახი იყო, ცივი, საფრთხე იგრძნობოდა. თვითონ დეჟა ტახტზე მოკალათდა, ამოიღო პატარა სიგარა, შემოაცალა სახვევი, დაასველა ოდნავ, მოაჭრა ბოლო, მოუკიდა და ცისფერი კვამლი მაცდუნებლად გამოუშვა. თან მწვანე თვალებს არ მაშორებდა.

— როგორც მივხვდი, წითელ ბეღურას ეძებთ.

— დიახ, შემიკვეთეს და.

— ვინ შეგიკვეთათ?

— საიდუმლოა.

— ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩვენ შეგვიძლია, კარგ მეგობრებად ვიქცეთ, მისტერ ბილეინ, ძალიან კარგ მეგობრებად. — მართლა? ვა!

— თქვენ თავისებურად საინტერესო კაცი ხართ, შეუძლებელია, არ იცოდეთ ეს. კარგად შენახული ადამიანის გამომეტყველება გაქვთ. გიხდებათ თან. მამაკაცების უმრავლესობა პირიქითაა, იოლად ცვდება.

— რა ამბობთ?

— შეგიძლიათ, დეჟა დამიძახოთ.

— დეჟა.

— მმმ... უფრო ახლოს ხომ არ მოხვალთ? გვერდით მომიჯექით.

ავდექი და მივუჯექი ტახტზე. ქალმა გაიღიმა.

— დალევთ რამეს?

— რა თქმა უნდა. სკოჩი და სოდა გაქვთ?

— ბერნი, — დაუძახა ვიღაცას, — ერთი სოდიანი სკოჩი, თუ შეიძლება. ორი წუთის მერე ოთახში შემოვიდა ის დედამოტყნული, რევოლვერი ვინც ამართვა, და სასმელი წინ, ყავის მაგიდაზე დამიდო.

— გმადლობთ, ბერნი.

ბერნი მიბრუნდა და გაუჩინარდა. მოვსვი სკოჩი. ცუდი არ იყო. სულაც არ იყო ცუდი. — მისტერ ბილეინ, — განაგრძო დეჟამ, — მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი უნდა დაივიწყოთ, რაც წითელ ბეღურაზე იცით.

— არ მჩვევია საქმის შუა გზაზე მიტოვება, თუ თავად კლიენტი არ მოისურვებს. — ამას მიატოვებთ, მისტერ ბილეინ.

— ჰმ.

— სიგარის კვამლი ხომ არ გაწუხებთ?

— ჰმ.

— წამალი ხომ არ გინდათ გასინჯოთ?

— ჰმ.

დეჟამ სიგარა გამომიწოდა. მაგრად მოვქაჩე, ჯერ ჩავისუნთქე, მერე ამოვისუნთქე და უკანვე დავუბრუნე. თავიდან ოთახში სიმშვიდე იყო, მერე კედლებმა ოდნავ გადაინაცვლეს, ხალიჩამ აიწია იატაკიდან და ისევ უკან დაეცა. ლურჯად ინათა თვალწინ. მერე ტუჩები ტუჩებზე დამადო, მაკოცა, გასწორდა და გაიცინა. — ბოლოს ქალი როდის გყავდა, ბილეინ?

— არ მახსოვს...

დეჟამ ისევ გაიცინა და ისევ მაკოცა, ამჯერად — ხანგრძლივად. მისი ენა გველის ენასავით დამისრიალებდა პირში. ტანიც გველს მიუგავდა.

მერე ფეხის ხმა გავიგონე და სიტყვები:

— მორჩით.

ბერნი იყო. თავზე გვედგა, ხელში ორი რევოლვერი ეჭირა. ერთი ჩემად შევიცანი. — კარგი, ბერნი, დამშვიდდი, — მე ვუთხარი.

ბერნი ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. მისჩერებოდა დეჟას და თვალები დაბინდვოდა.

— დეჟა, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ! მოვკლავ ამას! მოვკლავ და თავსაც მოვიკლავ! საუკეთესო პოზიცია მეკავა, ამიტომ გავიქნიე წიხლი და ფეხებს შუა ვხეთქე. ბერნი მოიკუნტა, დაეცა და ხელები ყვერებზე იტაცა. ეგრევე ავაცალე რევოლვერები, ჩემი ბუდეში ჩავიდე, მეორე მარჯვენა ხელში დავიჭირე. ბერნი წამოვაყენე და სავარძელში ჩავსვი, თმაზე ისე დავქაჩე, პირი დააღო. ჰოდა, ლულაც ეგრევე ტუჩებში მივეცი. — წოვე ცოტა ხანს, სანამ მოვიფიქრებ, რა გიქნა.

ბერნიმ რაღაც ამოიბუყბუყა.

— არ მოკლა, — მთხოვა დეჟამ, — ძალიან გთხოვ, არ მოკლა!

— რა იცი წითელ ბეღურაზე, შე დედამოტყნულო? — ვკითხე ბერნის. ხმა არ ამოუღია, ამიტომ ლულა უფრო ღრმად ჩავჩარე პირში. უცებ არ გააკუა?! თან ხმამაღლა. საშინელი სიმყრალე დააყენა. ამოვაძრე რევოლვერი და მოვისროლე ეს ტიპი იატაკზე.

— რა საზიზღრობაა! არ გაბედო მეორედ ეგეთი რამე!

მერე დეჟას მივუტრიალდი.

— ამას თავისი ოთახი აქ?

— კი.

დავხედე ბერნის.

— გახვალ ახლავე შენს ოთახში და სანამ მე არ გეტყვი, ცხვირს არ გამოყოფ იქიდან. ბერნიმ თავი დამიქნია.

— ადე, გადი.

ტიპი ძლივს წამოდგა და ლასლასით გავიდა, მიეფარა კუთხეს. მალე კარის ჯახუნიც გავიგონე. დეჟამ ჩააქრო სიგარა. უკვე აღარ იღიმებოდა.

— კარგი, პატარავ, მოდი რა, გავაგრძელოთ, სადაც გავჩერდით. — აღარ მინდა.

— რაო? რატომ? რავი, გლანდებამდე კი ჩამიყავი წეღან ენა და... — მეშინია შენი, მოძალადე ხარ.

— ჰო, მაგრამ თვითონ მოკვლას მიპირებდა. ვერ გაიგონე, რა თქვა? — იქნებ სხვა რამეს გულისხმობდა.

— არავითარი "იქნებ" არ ინდობა, როცა რევოლვერთან და სიყვარულთან ერთად გაქვს საქმე.

დეჟამ ამოიოხრა.

— ბერნიზე ვღელავ. სულ მარტო ზის თავის ოთახში.

— ტელევიზორი არა აქ? ან კროსვორდი? ან ანეკდოტების წიგნი რამე? — გთხოვთ, მისტერ ბილეინ, გამოუშვით, ძალიან გთხოვთ.

— საყვარელო, მე ძირისძირობამდე უნდა ჩავწვდე ამ წითელი ბეღურის ამბავს. — ამაღამ ნუ, რა... ოღონდ ამაღამ ნუ, რა.

— აბა როდის?

— ხვალ ღამით. ამავე დროს.

— მაშინ ბერნი კინოში მაინც გაუშვით.

— შევთანხმდით.

დავწვდი ჩემს ჭიქას და ბოლომდე გადავკარი სასმელი. დეჟა ისევ ისე მისავათებული დავტოვე ტახტზე, ხალიჩას ვერ აშორებდა თვალს. კარი გამოვიკეტე, ჩამოვყევი ჰოლს, გამოვედი გარეთ, მივაღწიე მანქანას, ჩავჯექი შიგნით და დავქოქე. დაველოდე გახურებას. თბილი მთვარიანი ღამე იყო. მე კიდე ვიჯექი მანქანაში და ამდგარი მქონდა.

42

ბლინკისთან წავედი, მაგ ბარში ჯერ არ გადავყრივარ შარს. ერთი შეხედვით, კარგი ადგილია — ტყავის სავარძლები, ბევრი დებილი, სიბნელე, კვამლი. სასიამოვნო, წინასასიკვდილო განწყობით იყო სავსე იქაურობა. მოვიდა ოფიციანტი, რაღაცნაირად სულელურად ეცვა — ვარდისფერი შორტი და ზედა. ძუძუებში ბამბა ჰქონდა ჩაფენილი ასაბზეკად. იღიმებოდა საშინლად და ღიმილისას ერთი ოქროს კბილი უჩანდა. თვალებში — სრული სიცარიელე.

— რას დალევ, ძვირფასო? — მკითხა.

— ორი ბოთლი ლუდი. ჭიქები არ მოიტანო.

— ორი ბოთლი, ძვირფასო?

— კი.

— რომელი ლუდი გინდა?

— ჩინური რომელიმე.

— ჩინური?

— ორი ბოთლი ჩინური ლუდი მოიტანე. ჭიქები — არა.

— რაღაც რომ გკითხო, შეიძლება?

— ცხადია.

— ორივე ბოთლის დალევას მარტო აპირებ?

— იმედი მაქვს, ყოველ შემთხვევაში.

— მერე ცალ-ცალკე შეუკვეთე, არ ჯობია? სანამ ერთს დალევ, მეორე არ გათბება. — უბრალოდ, ასე მინდა და მორჩა. სხვა რა მიზეზი უნდა იყოს. — მიზეზს როცა გაიგებ, აუცილებლად მითხარი, ძვირფასო...

— რატო უნდა გითხრა? იქნებ საიდუმლოდ მინდა შევინახო.

— სერ, ხომ იცით, ჩვენ საერთოდ არ ვართ ვალდებული, მოგემსახუროთ. შეგვიძლია ნებისმიერს ვუთხრათ უარი.

— რისი თქმა გინდა, ორ ბოთლ ჩინურ ლუდს რომ ვუკვეთავ და მიზეზს არ გეუბნები, იმიტომ არ მომემსახურები? — არ მითქვამს, არ მოგემსახურებით-მეთქი. უბრალოდ, შეგვიძლია არ მოგემსახუროთ. — მისმინე, თავდაცვის ინსტინქტია მიზეზი, ქვეცნობიერი სურვილი. საშინელი ბავშვობა მქონდა. ხო უნდა შევავსო სულიერი სიცარიელე რამით, ჰოდა, ზუსტად ეს ორი ბოთლი მივსებს. ალბათ, ესაა მიზეზი, დარწმუნებული არ ვარ.

— რაღაც მინდა გითხრა, ძვირფასო. ერთი კარგი ფსიქიატრი გჭირდება. — მართალი ხარ, მაგრამ სანამ ექიმთან წავალ, ორ ბოთლ ჩინურ ლუდს არ მომიტან, რამე რო იყოს?

დაგვადგა ვიღაც მოხეული ტიპი, ჭუჭყიანი წინსაფრით.

— მშვიდობაა, ბეტი?

— ორი ბოთლი ჩინური ლუდი მინდა, ჭიქები — არაო.

— ბეტი, იქნებ მეგობარს ელოდება?

— მეგობრები არ ყავს, ბლინკი.

ბლინკიმ შემომხედა. დიდი მსუქანი ტიპი იყო, ოღონდ ჩვეულებრივი არა. აი, ორი დიდი მსუქანი ტიპისხელა.

— მეგობრები არ გყავს? — მკითხა უკვე მე.

— არა.

— აბა, ეს ორი ბოთლი ჩინური ლუდი რად გინდა?

— დასალევად.

— სათითაოდ რატო არ უკვეთავ, ჯერ ერთს დალევ, მერე — მეორეს. — ასე მირჩევნია.

— ეგეთი არაფერი არ გამიგონია.

— და რატო არ შეიძლება, როგორც მინდა, ისე გავაკეთო? რა, კანონს ვარღვევ ამით რამეს? — არა, უბრალოდ, უცნაური საქციელია, მეტი არაფერი.

— ვუთხარი, ფსიქიატრს გაესინჯე-მეთქი.

იდგნენ ორივენი და დამჩერებოდნენ. სიგარა ამოვიღე და მოვუკიდე. — ეს რაღაც ყარს, — მითხრა ბლინკიმ.

— შენი ექსკრემენტებიც.

— რაო?

— სამი ბოთლი ჩინური ლუდი მომიტანეთ, ჭიქები არ მინდა.

— დებილია, — დამისვა დიაგნოზი ბლინკიმ.

მე ავხედე და სიცილი ამიტყდა, მერე ვუთხარი:

— ხმა აღარ გამცე. შემეშვი, შემეშვი, ნერვები არ მომიშალო, თორე აგიზილავ მაგ სიფათს, გაიგე, ძმაო?! ბლინკი გაშეშდა. აი, ნაწლავებისთვის შვების მიცემა რომ მოუნდება კაცს და თავს იკავებს, ეგეთი სახით მიყურებდა. ბეტი ედგა გვერდზე. ერთი წუთის მერე იკითხა: — როგორ მოვიქცე, ბლინკი?

— მოუტანე სამი ბოთლი ლუდი უჭიქებოდ.

ბეტი წავიდა ლუდის მოსატანად.

— მოდი, ახლა, — ვუთხარი ბლინკის, — დამიჯექი წინ, უნდა გაყურებინო, როგორ დავლევ სამივე ბოთლს.

— რასაკვირველია.

და რაღაცნაირად ჩაესვენა ჩემ წინ სავარძელში. დაასხა ოფლმა. აუკანკალდა ნიკაპი. — ბლინკი, — მე ვუთხარი, — წითელი ბეღურა არ გინახავს?

— წითელი ბეღურა?

— ჰო, წითელი ბეღურა.

— არა, არ მინახავს.

ამ დროს ბეტიც მოვიდა და ჩინური ლუდები მოიტანა. ვეღირსე, როგორც იქნა.

43

ჰოდა, მომდევნო ღამეს ისევ დეჟას სახლთან ვიდექი. ფეხსაცმელები — გაპრიალებული, სულ რაღაც სამი-ოთხი ბოთლი ლუდი გადაკრული. უსიამოვნოდ ცრიდა. ღმერთი ფისებს შვრება-მეთქი, გავიფიქრე. ბავშვობაში ვამბობდით ხოლმე ასე, წვიმა რომ დაიწყებოდა. დაღლილობას ვგრძნობდი, სხეულიც დაღლილი მქონდა, გონებაც. საქმიდან გასვლა მინდოდა. დატყდომა, ვთქვათ, სადმე ვეგასისმაგვარ ადგილას. სათამაშო მაგიდებს შორის ყიალი ბრძნული გამომეტყველებით. სიამოვნებით ვუყურებდი, როგორ ატანენ სულელები მთელ ქონებას ქარს. აი, ასე წარმომედგინა ბედნიერება. ნეონის ნათურების შუქზე დაიკიდო ყველაფერი, როცა სამარეს პირი დაუღია უკვე საშენოდ. მაგრამ რად გინდა, ჯერ ერთი, ფული არ მქონდა და მეორეც, წითელი ბეღურა მყავდა მოსაძებნი. მეცხრე ბინის ღილაკს მივაჭირე თითი და დავიწყე ლოდინი. კიდე დავაჭირე. ისევ არაფერი. აუ ჩემი, აუ, აუ, აუ. გაფიქრებაც არ მინდოდა. დატყდნენ ნეტა? დეჟაც და ის დედამოტყნულიც? წუხელისვე უნდა მომეყომარებინა საქმე რა. გამექცნენ, დავიჯერო? ცალ ხელში ანთებული სიგარა დავიჭირე, მეორეში — საღები და დავეჩალიჩე. გაიღო იოლად, შევედი ჰოლში. მივადექი მეცხრე ბინას და მივადე ყური კარს. ჩამიჩუმი არ ისმოდა. თაგვსაც კი არ გაურბენია. აუ, ჩემი. ჯანდაბა რა. დავეჩალიჩე ისევ კარს, გავაღე და შევედი. პირდაპირ საწოლი ოთახისკენ დავაღირე თავი, გამოვხსენი კარადა — სადღა იყო ტანსაცმელი, ცარიელი დამხვდა. საკიდები კონწიალობდნენ მარტო. ფუ, რას გავდა რა. ჩემი ჯაჭვის პირველი რგოლი, რომელსაც წითელ ბეღურამდე უნდა მივეყვანე, ოცდათორმეტ თავისუფალ საკიდად იქცა და კვალიც დავკარგე. აუ, მეთქი, რა დებილი გამომძიებელი ვარ. თავის მოკვლა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე ეგრევე, ჩა-

ვიყავი პიჯაკის ჯიბეში ხელი, ვიპოვე პატარა ბოთლი, გადავკარი არაყი და გავუკიდე სიგარას. მივტრიალდი, წამოვედი, გამოვყევი დერეფანს და როგორც იქნა, ვიპოვე, რასაც ვეძებდი. ერთ ბინას ეწერა: “მმართველი მისტერ ტოჰილი”.

დავაკაკუნე.

— დიახ, — გაისმა პასუხად, ხმაზე, მეთქი, ვიღაც მოხეული ტიპია კიდე. — ყვავილები, მისტერ ტოჰილ, ყვავილები მოვუტანე მისტერ ტოჰილს. — როგორ შემოხვედით?

— მთავარი კარი ღია იყო, მისტერ ტოჰილ.

— შეუძლებელია.

— მისტერ ტოჰილ, ვიღაც ქალბატონი გამოდიოდა და მე შემოვედი ზუსტად მაგ დროს. — არ უნდა გექნათ ეგ.

— არ ვიცოდი, სამწუხაროდ. აბა, რა უნდა მექნა?

— უნდა დაგერეკათ გარედან და გეთქვათ, ვინ ხართ და რა გნებავთ. — კარგი, მისტერ ტოჰილ, გავალ გარეთ, დავრეკავ ზარს და გეტყვით, რომ ყვავილები მოგიტანეთ. ასე აჯობებს?

— არა უშავს, შვილო, მოდი...

კარი გაიღო თუ არა, შევხტი შიგნით, მივაჯახუნე კარი და ვტაცე ქამარში ხელი. ჩასავლები, იცოცხლეთ, ჰქონდა. მართლა დიდი ტიპი იყო. სადღაც ას ათკილოიანი, გაუპარსავი, თან გოგირდის სუნი უდიოდა. — რას აკეთებ? აკი ყვავილებიო? გაუშვი ამ წყეულ ქამარს ხელი! — დამშვიდდი, ტოჰილ, — ვუთხარი და დავსვი დაბლა, — კერძო დეტექტივი ვარ, ლიცენზიაც მაქ. დეჟა ფაუნტენის ადგილსამყოფლის დადგენა მინდა, მეცხრე ბინაში რომ ცხოვრობს, იმის.

— ტრაკზე მაკოცე და დაახვიე აქედან, ვინა ხარ, ე.

დავიხიე უკან.

— დამშვიდდით, მისტერ ტოჰილ, ცნობები მაინტერესებს მხოლოდ, მითხარით და წავალ. — ეგ პირადი ცნობებია, შენ კიდე უმაგი-

სოდ წახვალ. ახლავე მიგაბრძანებ აქედან. — შავი ქამარი მაქვს, ტოჰილ. ვერ გადამირჩები. ნუ მაიძულებ, ვიმოქმედო. გადაიხარხარა და გამოიწია ჩემკენ.

— არ გაინძრე, — ვუყვირე მე. გაჩერდა.

— ტოჰილ, წითელ ბეღურას ვეძებ და დეჟა ფაუნტენმა უნდა გამიყვანოს მაგაზე. აუცილებლად უნდა გავიგო, სად წავიდნენ დეჟაც და იმის ტიპიც. — მისამართი არ დაუტოვებიათ, — მითხრა, — ახლა მოშორდი აქედან, სანამ გაფეთე ცხვირ- პირში.

ამოვიღე ჩემი 32-მილიმეტრიანი და მივაშვირე მუცელზე.

— სად არი დეჟა ფაუნტენი!

— გააჯვი, შენი! — და გამოიქაჩა ჩემკენ.

— არ გაინძრე!

არ გამიგონა, სუფთა სულელი იყო. შემეშინდა და გამოვკარი ჩახმახს. არ გავარდა. მტაცა ტოჰილმა ყელში ღორის ბარკლისხელა ხელები, თითებიც უშველებელი ჰქონდა, ღონიერი, შეუბრალებელი. სუნთქვა შემეკრა. თვალებში გამინათდა და მივცხე მუხლი ყვერებში. ვითომც არაფერი. ე, მეთქი, რა ხდება. სექსუალური ორგანოები სხვაგან ჰქონდა აშკარად, იქნება იღლიაშიც, რა ვიცი მე. ყველა იმედი წამერთვა. მეთქი, ვკვდები, ოღონდ თვალწინ განვლილ ცხოვრებას არ ჩაუქროლია, უბრალოდ, ხმა ჩამესმა: “უკანა მარჯვენა საბურავი უნდა გამოცვალო...” სისულელე რა, სრული სისულელე. წასული იყო ჩემი საქმე, მორჩენილი, დამთავრებული. მერე უცებ ვიგრძენი, როგორ გამიშვეს ხელი. მივაწყდი უკან და პირდაპირ სტრატოსფეროდან და ყველა დანარჩენი სფეროდან ერთად შევისრუტე ჰაერი. გავხედე ტოჰილს. არ ედო კარგი ფერი, ვერ გამოიყურებოდა მაინცდამაინც ვაჟკაცურად. თან მე მიყურებდა და თან არც მიყურებდა თითქოს. დავინახე, როგორ იტაცა ხელი მარცხენა მკლავზე და საშინელმა ტკივილმა დაუმანჭა სახე. ჩაიბურტყუნა რა-

ღაც, ამოიხედა და გაგორდა იატაკზე. მივედი, დავიხარე მისკენ, გავუსინჯე პულსი. ფა-ფუ. მკვდარი იყო. კარგად!

მოვცილდი გვამს, დავჯექი სკამზე და უცებ, ვის ვხედავ! ტახტზე ჩემ პირდაპირ — ქალბატონი სიკვდილი. ასეთი ლამაზი მართლა არადროს მინახავს. რა ქალი იყო. როგორი ერთგული, სუფთა ბაჯაღლო ოქრო. გამიღიმა.

— როგორა ხარ, ბილეინ?

— საწუწუნო რა მაქვს, ქალბატონო.

თავიდან ფეხებამდე შავები ეცვა. უხდებოდა შავი ფერი. წითელიც. — წონას მიხედე, ჯობია, ბილეინ, ბევრს ჭამ, თან სულ შემწვარ კარტოფილს, პიურეს, დესერტებს... ლუდის ბოთლს არ აშორებ ტუჩს. — კი, რაც მართალია, მართალია...

ისევ გამიღიმა და უნაკლო, ღონიერი კბილები გამოუჩნდა. რკინას გაკვნეტდა თავისუფლად.

— მოკლედ, წავედი, — მითხრა, — პატარა საქმეები მაქვს კიდევ მოსაგვარებელი. — ვიცნობ რომელიმეს?

— ჰარი დობსს იცნობ?

— არა მგონია.

— თუ იცნობ, დაივიწყე.

და გაქრა. თითქოს არც ყოფილა.

მივადექი ტოჰილს, საფულე გავუჩხრიკე, ერთი ორმოცდაათიანი ვუპოვე, ორი ოციანი, ერთი ხუთიანი და ერთიც ერთდოლარიანი. ჩავიდე ყველაფერი შარვლის ჯიბეში. მივედი კართან, გავაღე, მერე გამოვიკეტე და დავყევი ჰოლს. კაცის ჭაჭანება არ იყო. გავაღე მთავარი კარიც და გავაღწიე გარეთ. კიდე ცრიდა, მესიამოვნა წვეთები სახეზე. ღრმად ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე და გავწიე მანქანისკენ. ადგილზე დამხვდა. შემოვუარე უკნიდან და მარჯვენა საბურავი შევამოწმე. მართლა გაცვეთილიყო. ახალი რეზინა უნდა მეშოვა.

44

მოკლედ, ისევ შემომაწვა დარდი. გავედი ოფისში, მივედი და სკოჩი გავხსენი. ისევ დავუბრუნდი ჩემს ძველ მეგობარს, წყალგარეულ სკოჩს. სკოჩი ის სასმელი არაა, პირველ ჯერზე მოგეწონოს, მაგრამ ცოტას მიეჩვევი თუ არა, თავის ჯადოსნურ ძალას შენზეც გამოცდის. მასში ის სითბო ვიპოვე, რაც ჩვეულებრივი ვისკისგან არასდროს მიგრძნია. ჰოდა, ვიჯექი ნაღვლიანი სკამზე, გვერდით კიდე 0,7-იანი ბოთლი მედგა. ტელევიზორი არ ჩამირთავს, დაკვირვებული ვარ, ამ ნაბიჭვარმა კარგად იცის, როგორ გაგიფუჭოს ისედაც ჩაოხრებული ხასიათი. ერთი უსახური ტიპი ენაცვლება მეორეს და ასე გაუთავებლად. იდიოტების უსასრულო აღლუმია და მეტი არაფერი, ოღონდ ზოგი უცნობია იქიდან და ზოგიც ცნობილი. კომიკოსები სულ უხეიროდ ხუმრობენ მანდ, დრამა ყოველთვის მეორეხარისხოვანია. დიდი არჩევანი არ მქონდა და ისევ სკოჩთან დარჩენა გადავწყვიტე.

თავიდან თუ ჟინჟღლავდა მხოლოდ, მერე მართლა გაწვიმდა, მეც ვიჯექი და ყურს ვუგდებდი, როგორ ხმაურობდა წვეთები სახურავზე.

ვჯავრობდი, რანაირად გამეპარნენ ეს სირები-მეთქი. ვიცოდი, ვეღარ მივაგნებდი იმ ჩემს პირველ ინფორმატორს. ყველაფერი თავიდან მქონდა დასაწყები. წითელი ბეღურა როგორ გამიფრინდა მე სულელს ხელიდან. 55 წლის კაცი ისევ სიბნელეში ვაფათურებდი ხელებს. რამდენ ხანს გავქაჩავ კიდე? არ ვიყავი ერთი კაი პანჩურის ღირსი? ვიყავი. ჩემმა მოხუცმა მითხრა ერთხელ: “თუ გამოჩნდა კაცი, წინასწარ რომ გადაგიხდის ფულს და იმედი აქვს, მომავალში დაუბრუნებ, ყველაფერი იკისრე. ეგ ამბავი საბანკო და სადაზღვევო საქმეს ჰგავს. აიღე ნაღდი და ქაღალდის ნაგლეჯი დაუტოვე სანაც-

ვლოდ. გამოიყენე იმათი ფული და მაყუთი არ მოგაკლდება. ორი რამ ამოძრავებს მაგათ: სიხარბე და შიში. შენ ერთს დაუდექი მსახურად — მარჯვე მომენტსო". არ უნდა იყოს ცუდი რჩევა, მაგრამ რატომღაც მამაჩემი მაინც სიღარიბეში მოკვდა. ისევ დავისხი სკოჩი. ჯანდაბა. ქალებთანაც ვერ გავქაჩე ვერც ერთხელ. სამი ცოლი მყავდა. სამივეჯერ თითქოს ისეთი არაფერი, თუმცა უაზრო აყალმაყალმა, კინკლაობამ და არაფრის თუ ყველაფრის გულისთვის გაწევ-გამოწევამ ბოლო მოუღო სამივეს. ყოველდღე, წლიდან წლამდე, სულ გაღიზიანებული დავდიოდით, ხელის შეწყობის მაგივრად ვკბენდით, ვუღრენდით ერთმანეთს. შარს ვდებდით. გამუდმებით ვდებდით ერთმანეთს შარს. სულ მცირე მიზეზიც კი საკმარისი იყო საამისოდ. ბოლოს ერთ დღესაც იღვიძებ და ხვდები, რომ ჩვევაში გადაგსვლია ეს ყველაფერი და ვერც იშორებ. აღარც გინდა თითქოს გადაეჩვიო. მერე კი შორდები. სამუდამოდ.

ჰოდა, აი ესა ვარ, რაცა ვარ-მეთქი, გავიფიქრე. ვზივარ და ვუსმენ წვიმას. ახლა რომ მოვკვდე, დედამიწის ზურგზე წვეთი ცრემლი არ ჩამოუვარდება არავის. სულაც არ მინდოდა, ასე გამოსულიყო, უცნაური კია. მაინც სად გადის ჩემისთანა სირის მარტოობის ზღვარი? ქვეყანა სავსეა ჩემისთანა ბებერი ვირებით, რო სხედან, წვიმას უსმენენ და ფიქრობენ, ნეტა საით მიდის ყველაფერიო. სიბერე რო მოგიკაკუნებს კაცს, ჯდები და იწყებ ფიქრს, საით მიდისო. არადა, არსადაც არ მიდის. ჩემი სამი მეოთხედი მკვდარია ისედაც. ტელევიზორი ჩავრთე. რეკლამა გადიოდა:

"მარტო ხართ? მოიწყინეთ? გამხიარულდით. დარეკეთ ჩვენს მშვენიერ ქალბატონებთან. ისინი თქვენ გელიან, საუბარი სურთ თქვენთან. გადახდა შესაძლებელია მხოლოდ საკრედიტო მასტერ ან ვიზა ბარათებით. ესაუბრეთ კიტის, ფრენსის, ბიანკას. დარეკეთ 800-435-8745".

გოგოებსაც აჩვენებდნენ. კიტი ყველას ჯობდა. გადავკარი სკოჩი და ნომერი ავკრიფე. — გისმენთ, — მამაკაცის ხმა იყო, საშინელი თან.

— კიტი მინდოდა, თუ შეიძლება.

— 21 წელი შეგისრულდათ უკვე?

— შემისრულდა.

— რომელი ბარათით გადაიხდით, მასტერით თუ ვიზათი?

— ვიზა.

— ნომერი და მოქმედების ვადა მითხარით. მისამართიც, ტელეფონის, დაზღვევის და მართვის მოწმობის ნომრებიც.

— ე, მე საიდან უნდა ვიცოდე, რომ სათქვენოდ არ გამოიყენებთ ამ ინფორმაციას? და თავს არ მომაბეზრებთ? ან სარგებელს არ ნახავთ ჩემს ხარჯზე? — ე, ძმაო, კიტისთან ლაპარაკი გინდა?

— მგონი...

— ჩვენ ტელევიზიით ვავრცელებთ განცხადებას, ორი წელია, ამ საქმეში ვართ. — კარგი, ჩავიხედები საფულეში.

— ძმაო, თუ შენ არ გინდივართ, ჩვენ — მით უმეტეს.

— კიტი რაზე უნდა მელაპარაკოს?

— რაზეც გენდომება.

— როგორ გგონია, რაზე მენდომება.

— ე, ძმაო...

— კარგი, კარგი, მოიცა ერთი წუთი...

ჩავაწერინე, რაც უნდოდა. ორი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, ჩემს საკრედიტო ბარათს ამოწმებდნენ. მერე ქალის ხმა გაისმა:

— გამარჯობა, საყვარელო, მე კიტი ვარ.

— გაგიმარჯოს, კიტი, მე ნიკი მქვია.

— აუუუ, რა სექსუალური ხმა გაქვს! ავიგზენი ცოტა, ხო იცი. — არა, არ მაქ სექსუალური ხმა.

— ვაიმე, რა თავმდაბალი ხარ!

— არა, კიტი, რა თავმდაბალი...

— იცი, რაღაცნაირად ძალიან დიდ სიახლოვეს ვგრძნობ შენთან! აი, იცი, როგორ, წარმოიდგინე, თითქოს მუხლებზე გიზივარ და თვალებში ჩაგცქერი. მე დიდი ცისფერი თვალები მაქვს. შენ გადმოიხრები ჩემკენ, მაკოცო, გინდა!

— რას სულელობ, კიტი, მარტო ვზივარ სავარძელში, სკოჩს ვსვამ და წვიმის ხმაურს ვუგდებ ყურს.

— მისმინე, ნიკ, წარმოსახვა უნდა აამუშაო. მიდი, ცადე და შენ თვითონ გაგიკვირდება, ისეთ რამეებს ჩავიდენთ ერთად. მოგწონს ჩემი ხმა? ჰო... სექსულური ხმა მაქვს... ჰა? — კი გაქვს, ოღონდ ისე რა. თითქოს გაციებული ხარ. ხარ მართლა გაციებული? — ნიკ, ნიკ, ჩემო ბიჭუნა, ვხურვარ სულ, რა გაციება?

— რაო?

— ვხურვარ-მეთქი, რა დროს გაციებაა.

— მოკლედ, არ ვიცი, გაციებულს კი გიგავს ხმა და. ბევრს ეწევი შეიძლება. — მე მარტო ერთ რამეს ვეწევი, ნიკ.

— მაინც რას, კიტი?

— ვერ ხვდები?

— ვერა.

— დაბლა დაიხედე, ნიკ.

— დავიხედე.

— რას ხედავ?

— სასმელს. ტელეფონს...

— კიდე, ნიკი?

— ფეხსაცმელებს.

— ნიკ, და ეგ დიდი რაღაც რა არის, მანდ რომ ჩანს?

— ა, ეს? ღიპი.

— მიდი, მელაპარაკე, ნიკ. უსმინე ჩემს ხმას. წარმოიდგინე, ვითომ მუხლებზე გიზივარ, კაბა ოდნავ აწეული მაქვს, მუხლებიც მიჩანს, ბაყვებიც. ქერა თმა მხრებზე მაყრია. იფიქრე ამაზე, ნიკ, წარმოიდგინე...

— კარგი...

— მიდი, აბა, ახლა რას ხედავ?

— ზუსტად იმავეს: ტელეფონს, ფეხსაცმელებს, სასმელს, ღიპს... — ცუდი ბიჭი ხარ, ნიკ. მინდა, მოვიდე მანდ და გაგროზგო! შენც ხო არ გამროზგავ, ნიკ? — რაო?

— გამროზგავ, გამროზგავ.

— კიტი...

— ჰო.

— ერთ წუთს ვერ დამიცდი? სააბაზანოში უნდა გავიდე.

— ო, ნიკ, ვიცი, რატომაც მიდიხარ! ნუ გახვალ, რა საჭიროა, მანდვე ქენი, ტელეფონთან, თან მელაპარაკე. — არა, კიტი, ვერ ვიზამ მაგას. მეფსია.

— ნიკ, ჩათვალე, ჩვენი საუბარი დამთავრებულია, — და დამიკიდა ყურმილი. შევედი სააბაზანოში და მოვშარდე. მოვათავე და გავაგრძელე წვიმისთვის ყურის გდება. მაგარი ბანძი დიალოგი გამოგვივიდა, მაგრამ ცოტა ხნით ხომ მაინც მოვწყდი წითელ ბეღურასაც და სხვა საფიქრალსაც. ჩავრეცხე, დავიბანე ხელები, სარკეში ჩავიხედე, ჩავუკარი თვალი საკუთარ თავს და ისევ სკოჩს დავუბრუნდი.

45

მოკლედ, მეორე დღეს ვიჯექი ოფისში, უკმაყოფილო ვიყავი საკუთარი თავით და, სიმართლე ითქვას, გული მქონდა აცრუებული ყველაფერზე. დიდი წარმატებით მაინცდამაინც ვერ დავიკვეხნიდი, ვერც მე და ვერც დანარჩენი კაცობრიობა. ჩვენ ხომ უბრალოდ სიკვდილის მოლოდინში დავყიალობთ აქეთ-იქით და პატარ-პატარა საქმეების კეთებით გაგვყავს დრო. ზოგიერთი ამ პატარ-პატარა საქმეებსაც არ ვაკეთებთ. ნამდვილი ბოსტნეულები ვართ. მეც მათ შორის. ისე, საინტერესოა, რომელი ბოსტნეული ვარ. მგონი, თალგამი უფრო. სიგარას მოვუკიდე, მოვქაჩე და თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვიცოდი რაღაც-რაღაცები. დარეკა ტელეფონმა. ავიღე.

— გისმენთ.

— მისტერ ბილეინ, თქვენ ჩვენი ერთ-ერთი გამარჯვებული ხართ. თქვენ შეგიძლიათ მოიგოთ ტელევიზორი, სომალიში მოგზაურობა, 5 000 დოლარი ან დასაკეცი ქოლგა. თქვენთვის მზად იქნება ოთახი და საუზმე, ცხადია, უფასოდ. ამისთვის უნდა დაესწროთ ჩვენს ერთ-ერთ სემინარს, სადაც შემოგთავაზებთ უძრავი ქონების უსაზღვრო არჩევანს.

— ოე, ძმა.

— დიახ, სერ.

— წადი, ჩამოკარი რა.

და დავუკიდე. თვალი ვეღარ მოვაშორე ტელეფონს. რა წყეული რამეა რა. მაგრამ 911-ში უმაგისოდ როგორ დარეკავ. კაცმა არ იცის, როდის დაგჭირდება. მეთქი, შვებულება მჭირდება აუცილებლად. კიდე — 5 ქალი. ყურებიდან გოგირდის გამოწმენდა. ზეთის შეცვლა მანქანაში. საშემოსავლო უწყისი მაქ შესავსები, სათვალეზე ცალი ყური მოტეხილი. ოთახში ჭიანჭველები მყვანან. კბილები —

გამოსახეხი, ფეხსაცმლის ქუსლები — შემოცვეთილი. უძილობა მტანჯავს. ჩემი მანქანის დაზღვევას ვადა გაუვიდა, ყველა გაპარსვაზე სახეს ვიჭრი. მე-6 წელი მიდის, არ გამიცინია. სულ ისეთ რამეებზე ვღელავ, რაც სულ არ არი ასაღელვებელი. როცა ასაღელვებელი შემხვდება რამე, ეგრევე სმას ვიწყებ.

ტელეფონმა დარეკა ისევ. ავიღე.

— ბილეინი ხართ?

— შესაძლოა.

— შესაძლოა არა, ჩემი ყლე, ხარ ბილეინი თუ არ ხარ?

— კარგი, ბილეინი ვარ.

— მოკლედ, ბილეინ, გავიგეთ, წითელ ბეღურას ეძებ თურმე.

— ჰოო? საიდან გაიგეთ?

— საიდუმლო წყაროდან.

— საიდუმლო ადგილები ტანზეც ხომ გაქვთ, მაგრამ ხო აჩენთ ხოლმე? — თავს შევიკავებთ ამჯერად.

— კარგი, — მე ვუთხარი, — რამდენი გინდათ?

— 10 000 დოლარი და ხელიდან ხელში ჩაგაბარებთ წითელ ბეღურას. — მაგდენი არ მაქვს.

— გაგიყვანთ ტიპზე, რომელიც გასესხებს.

— მართლა?

— მართლა, ბილეინ. მხოლოდ 15%-ად თვეში.

— ჰო, მაგრამ საგარანტიოდ არაფერი მაქვს.

— დარწმუნებული ვარ, გაქ.

— რას გულისხმობ?

— სიცოცხლეს.

— მეტს არაფერს? აი, ასეთი ლაპარაკი უკვე მომწონს.

— მშვენიერია, ბილეინ, 10 წუთში შენთან ვიქნებით.

— როგორ მივხვდე, რომ თქვენ ხართ?

— მიგახვედრებთ.

ყურმილი დავკიდე. ათი წუთის მერე მართლა დააკაკუნეს კარზე. ღონივრად თან. შეზანზარდა კარი. გადავამოწმე, მეთქი, უჯრაში ხო მიდევს ლუგერი. მედო. რა ჯობდა მისი შიშველი სხეულის ნახვას.

— ღიაა, შემოდით, თუ ღმერთი გწამთ.

შემოგლიჯეს კარი, უზარმაზარი სხეული ჩამოეფარა შუქს. ნამდვილი გორილა, ოღონდ ვარდისფერ კოსტიუმში გამოწყობილი და სიგარიანი. ორი მასავით, ოღონდ უფრო პატარა, მაიმუნი ახლდა თან.

სკამი შევთავაზე. დაჯდა, მაგრამ რა დაჯდა. სკამის ფეხებმა საწყლად დაიჭრიალეს. პატარა მაიმუნები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ. ამ დიდმა ერთი დააბოყინა და გადმოიწია ჩემკენ.

— მე სანდერსონი ვარ, — მითხრა, — ჰარი სანდერსონი, ესენი, — და თანმხლებებზე მანიშნა, — ჩემი ბიჭები არიან.

— შვილები?

— ბიჭები.

— ჰო.

— ვიცი, გჭირდებით.

— ჰო.

— წითელი ბეღურა.

— იმ ქალთან და მის ქოფაკთან ხომ არ გაქვთ რამე კავშირი, წუხელ რომ დატყდნენ ბინიდან?

— არანაირი კავშირი არ მაქვს ქალებთან ერთის გარდა.

— მაინც?

— კიჩოს ვაწმენდინებ ხოლმე.

ორივე მაიმუნმა ერთდროულად ჩაიხითხითა. მაგარი ხუმრობა ეგონათ. — ასე მგონია, იუმორი გღალატობთ, — ვუთხარი მე.

— საერთოდ არ გვაინტერესებს, შენ რა გგონია.

— ჭკვიანურია. მოდი, წითელ ბეღურაზე გადავიდეთ.

— 10 000 დოლარი.

— როგორც უკვე გითხარით, მაგდენი ფული არ მაქვს.

— მეც გითხარი უკვე, რომ ვიშოვით მევახშეს და იაფად მოგცემს-მეთქი ვალს, თვეში 15 პროცენტად.

— კარგი, მიშოვეთ.

— ჩვენა ვართ მევახშეები.

— თქვენ?

— ჰო, ბილეინ. ჩვენ მოგცემთ ფულს და მერე დაგვიბრუნებ და ყოველ თვე 15 პროცენტს გადაგვიხდი, სანამ ვალი არ დაიფარება. მოაწერე ამ ფურცელზე ხელი და თავისუფალი ხარ. ნაღდი ფული არც გვჭირდება ახლა. ნაღდი საიმედოდ გვაქ შენახული, რო არ ვაფრიალოთ აქეთ-იქით.

— და სანაცვლოდ...

— ხელში ჩაგაბარებთ წითელ ბეღურას.

— საიდან მეცოდინება, რომ არ მომატყუებთ?

— რას მოგატყუებთ?

— ანუ ნამდვილ წითელ ბეღურას რომ ჩამაბარებთ.

— უნდა გვენდო.

— ასეც ვიცოდი, მაგას მეტყოდით.

— ჰა, კი თუ არა?

— რა კი თუ არა?

— გვენდობი თუ არა.

— ცხადია, მაგრამ მირჩევნია, თქვენ მენდოთ.

— ეგ როგორ?

— ჯერ წითელი ბეღურა მომიყვანოთ და ფული — მერე.

— რაო? შენ რა, ჩერჩეტები გგონივართ?

— ჰჰჰ, კი...

— ნუ ატრაკებ, ბილეინ, — მითხრა და ვარდისფერკოსტიუმიანი გორილა ფეხზე წამოდგა, — კარგად დაფიქრდი და პასუხი გაგვაგებინე. 24 საათი გაქ, იცოდე, მერე მორჩა, მეორე შანსი აღარ გექნება აღარასდროს.

— კარგი, — დავეთანხმე მეც.

გორილა შეტრიალდა და წავიდა, პატარა მაიმუნმა გადაასწრო და გაუღო კარი. მეორე იდგა და მიყურებდა. ბოლოს მოშორდნენ სამივენი. მე კიდე ვიჯექი და აზრის ნასახი არ მომდიოდა. გამიჩინეს რა თავსატეხი. საათის ისრები კი მიქროდნენ. ფუ, რა. ჩავყავი უჯრაში ხელი, არაყი მინდოდა. სადილობის დრო იყო უკვე.

46

მეთქი, რას აპირებ, ჩემო თავო? ისე ვღელავდი, მაგიდასთან ჩამეძინა. რო გავიღვიძე, დაღამებული იყო უკვე. ავდექი, მოვიცვი ქურთუკი, ქუდი დავიხურე, გარეთ გამოვედი. ჩავჯექი მანქანაში და 5 მილი გავიარე დასავლეთისკენ, ისე, უმიზნოდ. მერე გავაჩერე მანქანა და მივიხედ-მოვიხედე. ბარის წინ გავჩერებულვარ თურმე. "ჰადესი" — ციმციმებდნენ ნეონის ნათურები. გადმოვედი მანქანიდან და შევედი შიგნით. ხუთი კაცი დამხვდა. ხუთი მილი, ხუთი კაცი. ყველაფერი ხუთ-ხუთი. ბარმენი იყო, ერთი გოგო და სამი გამხდარი, კოჭლი, მოსულელო ტიპი. ეტყობოდათ, თმაზე ფეხსაცმლის კრემი წაესვათ. ბიჭები გრძელ სიგარეტებს ეწეოდნენ და დაცინვით მიცქერდნენ მეც და მთელ კაცობრიობასაც. გოგო ბარის ერთ კუთხეში იჯდა, ბიჭები — მეორეში. ბარმენი — შუაში. დავავლე ხელი საფერფლეს და ორჯერ დავარახუნე დახლზე, როგორც იქნა, ბარმენმა მომაქცია ყურადღება. მოჭუტა თვალები და წამოვიდა ჩემკენ. თავით

ბაყაყს გავდა, ხტომა-ხტომით არ მოსულა ოღონდ, ძლივს მოფორ-ხილდა და დამიდგა ცხვირწინ. — სკოჩი და წყალი, — შევუკვეთე მე.

— წყალი სკოჩში ჩაგისხათ?

— სკოჩი და წყალი-მეთქი.

— ჰა?

— სკოჩი და წყალი, ცალ-ცალკე ოღონდ, თუ შეიძლება.

ბიჭები მომჩერებოდნენ. ბოლოს, შუაში რომელიც იდგა, იმან ამოიღო ხმა. — ჰეი, მოხუცო, ცოტას გატკენთ, რა იქნება?

გავხედე, გამეღიმა.

— უფასოდ ვიზამთ, — გააგრძელა ისევ შუანამ. იცინოდნენ სამი-ვენი, მასხრად მიგდებდნენ.

მოვიდა ბარმენიც, ჩემი სკოჩი და წყალი მომიტანა.

— მოვალ ახლა და დაგილევ მაგ სასმელს, — მომაძახა შუანამ. — გაეკარები ჭიქას და გამხმარი მძღნერივით გაგწყვიტავ შუაზე. — ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ.

— ოჰ, — გაეპასუხა მეორე.

— ოჰ, — ეს უკვე მესამის ხმა იყო.

გადავკარი ვისკი, წყლისთვის ხელი არ მიხლია.

— ჩვენს ბებერს მაგარი ტიპი გონია თავი.

— მოდი, ვნახოთ, მართლა მაგარი ვინმეა თუ არა.

— ვნახოთ.

ღმერთო, რა მომაბეზრეს თავი. მარტო მაგათ კი არა, ყველამ. არაფერი ახალი, აღარაფერი სიცოცხლით სავსე. მკვდარი ყველა-ფერი, მოსწორებული. კინოებში როა ხოლმე, ისე. — გაიმეორე, — ვუთხარი ბარმენს.

— რა დალია, სკოჩი და წყალი?

— ჰო.

— ეს მოხუცი კარგად ვერ გამოიყურები, — დამისვა დიაგნოზი შუანამ. — გამოიყურება, — გავეპასუხე მე.

— რა გამოიყურება?

— კარგად ვერ გამოიყურება-მეთქი.

— გვეთანხმები?

— გისწორებთ. და იმედი მაქვს, ამის მეტად შენიშვნის მოცემა დღეს აღარ დამჭირდება. ბარმენმა ისევ მომიტანა შეკვეთა და წავიდა.

— შენ ტრაკს მიხედე რა, — მითხრა, ყველაზე მეტს ვინც ლაპარაკობდა, იმან. ყურადღება არ მივაქციე.

— და ცოტა ძვალი და რბილი რო გაგიერთიანოთ, არა?

წყეული, მოსაწყენი ადამიანები. სავსეა დედამიწა ასეთებით. თან სულ თავისნაირებს ამრავლებენ.

— მოდი, სტაფილო მოვაწოვოთ.

— და სამი სტაფილო რო ერთად მოვაწოვოთ?

ხმა არ გამიცია. გადავკარი სკოჩი, წყალიც მივაყოლე, ავდექი და თავი დავუკარი ბარის კედელს.

— ჰე, შეხედე, გარეთ გამოდითო.

— ოჰო, მგონი, დაგვხვდეს უნდა.

— წამო, გავყვეთ.

ბარის სიღრმისკენ დავადე თავი. ნაბიჯების ხმა გავიგონე, მომდევდნენ, დანის გახსნის ხმაც. მოვტრიალდი უცებ, ერთი დარტყმით გავაგდებინე დანა ხელიდან და ყურის ძირში მოვდე. წაიქცა, შევადექი. ის ორი ეგრევე შებრუნდა და გაიქცა. გაირბინეს მთელი ბარი და გაცვივდნენ გარეთ. გავუშვი. მივბრუნდი დარჩენილთან. ძირს იწვა ისევ. ავაყენე, შევუდექი მხარში, გამოვათრიე გარეთ და ავტობუსის გაჩერებაზე სკამზე დავსვი. მერე გავხადე ფეხსაცმელები და სანიაღვრე ჭაში გადავუყარე. საფულეც მასე. ბარში დავბრუნდი,

ავიღე დანა, ჩავიდე ჯიბეში, დავჯექი ისევ ჩემს ადგილას და სასმელიც თავიდან შევუკვეთე. გოგოს ხველა აუტყდა, სიგარეტს ეწეოდა და, ალბათ, იმიტომ. — მისტერ, — მითხრა, — მომეწონა, რაც ქენით. მომწონს ნამდვილი მამაკაცები. ყურადღება არ მიმიქცევია.

— ტრაქეა მქვია, — გამეცნო გოგო.

მოკიდა ხელი თავის სასმელს, მოვიდა და მომიჯდა გვერდით. სუნამო ბლომად დაესხა და პომადაც იმდენი ესვა, მთელი კვირა ეყოფოდა სხვას.

— შეგვეძლო, გაგვეცნო ერთმანეთი, — სცადა ლაპარაკის აწყობა. — აზრი არა აქვს, სისულელე გამოვა მაინც.

— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

— გამოცდილება.

— იქნებ მხოლოდ ცუდ ქალებს შეხვედრიხართ ცხოვრებაში?

— იქნებ მივეჩვიე კიდეც უკვე ამას.

— შეიძლება, მე უკეთესი ვიყო.

— რა თქმა უნდა.

— სასმელზე დამპატიჟეთ.

ჩემი მოიტანეს ზუსტად იმწამს.

— ტრაქეასთვისაც გვინდა ერთი, — ვუთხარი ბარმენს.

— ჯინ-ტონიკი, ბობი...

ბობი წაფრატუნდა.

— სახელი არ გითქვამთ, — ატიკტიკდა გოგო.

— დევიდი.

— ო, როგორ მომწონს. ოდესღაც ვიცნობდი ერთ დევიდს.

— რა დაემართა?

— არ მახსოვს.

და ტრაქეამ მხარი მხარზე მომადო, ალბათ, ჩვეულებრივზე თორმეტი კილოთი მეტს იწონიდა.

— მაგარი კაცი ხართ, — მითხრა.

— რა შემატყვეთ?

— შეგატყვეთ, — მერე გაჩუმდა და ისევ განაგრძო, — მოგწონ-ვართ? — არც ისე.

— მოგეწონებით, კარგი გოგო ვარ.

— რაში? ჭრა-კერვაში?

— არა, მოკლე რაღაცების დაგრძელება მეხერხება.

— მაგალითად?

— მშვენივრად იცით, რასაც ვგულისხმობ.

— არა, არ ვიცი.

— გამოიცანით.

— ბუშტებს ბერავთ.

— რა ენამახვილი ხართ.

— კი, უთქვამთ სხვებსაც.

მოუტანეს სასმელი. მოსვა ოდნავ. რაც უფრო მეტს ვუყურებდი მას, მით უფრო ნაკლებად მომწონდა.

— ჯანდაბა, ჩემი სანთებელა, — შეიცხადა ქალმა.

გახსნა საფულე და დაიწყო რაღაცების ამოლაგება. ლუდის ბოთ-ლის გასახსნელი, სამფერა პომადა, კევი, სასტვენი და... — ვიპოვე! — შესძახა, ხელში სანთებელა ეჭირა, დააკაკუნა სიგარეტი და გაუკი-და. — ის რა არის?

— რა?

— აი, ის, დახლზე, წითელი როა, — ვანიშნე.

— ოჰ, ეს ჩემი ბეღურაა.

— ცოცხალია? ცოცხალი იყო კი საერთოდ? ოდესმე მაინც?

— არა, სულელო, ფიტულია. ზოომაღაზიაში ვიყიდე, ჩემი ფისოს-თვის. კატების სათამაშოა. ფისო გიჟდება ამათზე.

— ო, ჯანდაბა, მოაშორე რა.

— დევიდ, ერთი წუთის წინ ისეთი აღფრთოვანებული იყავით, ჩიტები გიყვარს? — მხოლოდ წითელი ბეღურა.

— გინდა გაჩუქოთ?

— არა, არა, ყველაფერი რიგზეა.

— სახლში კიდე მაქვს ასეთი ფიტულები სათამაშოდ. თან ჩემს ფისოსაც გაიცნობდით. — არა, იყოს, ტრაქეა. უნდა წავიდე.

— კარგი, დევიდ, მაგრამ წარმოდგენაც არ გაქვთ, რას კარგავთ. ავდექი, გავყევი დახლს, რამდენიმე დოლარი დავუგდე ბარმენს და გამოვედი გარეთ. ის პანკი ბიჭი გაჩერებაზე აღარ ჩანდა. ჩავჯექი მანქანაში, დავძარი და გადატენილ ქუჩაზე ამოვყავი თავი. ღამის ათი საათი ხდებოდა, მთვარე უკვე ამოსულიყო ცაზე, ჩემი ცხოვრება კი კვლავაც ნელა და უგზო-უკვლოდ მიედინებოდა.

47

მეორე დღეს ოფისში ვიჯექი, როცა ლამის წიხლით შემოაღეს კარი. ჰარი სანდერსონი იყო თავის მაიმუნებთან ერთად. ამჯერად ღია წითელი კოსტიუმი ეცვა. ფერებში ნაღდად უცნაური გემოვნება ჰქონდა. ერთ გოგოს ვიცნობდი ოდესღაც, ისიც ეგეთ ახირებულ ტანსაცმელს იცვამდა ხოლმე, აი, თითქოს, რესტორანში რო მივდიოდით საჭმელად, ყველა უნდა მოტრიალებულიყო და მისთვის ეცქირა. მაგრამ, სამწუხაროდ, გარეგნობით ვერ დაიკვეხნიდა. სამი დღის გაუპარსავი წვერი რომ მქონოდა და თან ნაბახუსევზეც ვყოფილიყავი, მაინც იმაზე ლამაზი მეთქმოდა. თუმცა, დავუბრუნდეთ სანდერსონს. — ოე, პანკი, გავიდა შენი 24 საათი. კიდე კუტუს იფხან თუ მოიფიქრე რამე? — ჯერ ვიფხან.

— გინდა ეს წითელი ბეღურა, ბოლო-ბოლო, თუ არა?!.

— მინდა, მაგრამ შენი ბიჭები ბიცოლაჩემის ილინოისელ მუშებს მაგონებენ. — ბიცოლაშენის? ბიცოლაშენი რაღა შუაშია?

— სახურავს გასდიოდა მისას.

— მართლა?

— ჰო. მოვიდნენ ეს ტიპები და უთხრეს, სახურავს შეგიკეთებთ, ახალი ჰერმეტიზატორი გვაქო. მოაწერინეს ხელი ქაღალდის ნაგლეჯზე, ჩეკი გამოართვეს და აძვრნენ მაღლა. — სად მაღლა?

— სახურავზე. აძვრნენ და მოასხეს ყველგან მანქანის ზეთი და ჰაიდა. მეორედ რო გაწვიმდა, მთელი ზეთი ჩამოვიდა სახლში და ყველაფერი გააოხრა. — შაყირობ, ბილეინ? აი, გული მომიკალი პირდაპირ რა! მოდი, ვიმსჯელოთ! რა გინდა, ბეღურა გინდა, თუ ჩვენ რო მოვშორდეთ აქაურობას, ის? — თქვენ გინდათ, მასესხოთ 10 ათასი, ჰო? რომელსაც ვერც მივიღებ და რომლისთვისაც ყოველ თვე 15% უნდა გიხადოთ, ეგრეა? რამე უკეთესს არ შემომთავაზებთ? იმის თქმა მინდა, თქვენ რო ჩემს ადგილზე იყოთ, მოკიდებდით ამ საქმეს ხელს-მეთქი? — ბილეინ, — გამიღიმა სანდერსონმა, — ბედს დიდად არ ვემადლიერები, მაგრამ იმას კი ვუფასებ, რომ შენს ადგილზე არ ვარ.

ორივე მაიმუნმა ერთდროულად გაიღიმა.

— შენ რა, გძინავს ამ ბიჭებთან?

— მძინავს? რას ნიშნავს "გძინავს"?

— ძილს. არსებობს ეგეთი რამე, მაგ დროს თვალებს ხუჭავენ ხოლმე ადამიანები, ხელისგულს ლოყის ქვეშ ამოიდებენ და ა.შ. — აუ, რა სიამოვნებით გაგგლეჯდი, ბილეინ, ბუნტყლს არ დავტოვებდი შენგან! მაიმუნებმა ამჯერადაც ერთად ჩაიცინეს. ღრმად ჩავისუნთქე და ამოვისუნთქე. მეთქი, ჭკუიდან გადავდივარ. აქამდეც ხშირად მიგრძნია ეს.

— მოკლედ, სანდერსონ, შენ თქვი, ბეღურას ხელში ჩაგაბარებო. — ყოველ მიზეზგარეშე.

— გააჯვით რა...

— რაო?

— გააჯვით-მეთქი.

— რა გჭირს, ბილეინ? გააფრინე?

— კი, კი, გავაფრინე, როგორ არა.

— დაიცა ერთ წუთს...

სანდერსონმა თავისთან დაუძახა მაიმუნებს. მესმოდა, როგორ ზუზუნებდნენ და განიხილავდნენ რაღაცას. მერე დაიშალნენ.

სანდერსონი პირდაპირ ანათებდა სიხარულისგან.

— ბოლო შანსი გაქ, იცოდე.

— რაო? რისი შანსი?

— ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ 5 ათასამდე შეგვიძლია დაგიკლოთ. — სამამდე.

— ოთხი და გავათაოთ.

— აბა, სად არი დედამოტყნული ფურცლები?!.

— აი, აგერ მაქვს...

ჯიბიდან რაღაც ფურცლები ამოიღო და მაგიდაზე მოისროლა. წაკითხვა ვცადე. ძირითადად იურიდიული ტერმინები შემხვდა. მოვუწერე სესხზე ხელი, "უმაღლესი აღმასრულებლები" იყვნენ. თვეში 15 პროცენტი უნდა გადამეხადა. ეს გავიგე, მაგრამ კიდევ იყო რაღაც.

— აქ, მგონი, ისევ 10 წერია.

— ო, მისტერ ბილეინ, მაგას უცებ მოვაგვარებთ.

სტაცა ხელი ფურცლებს, გადაშალა 10-იანი და 4-იანი ჩაწერა ყველგან, მოაწერა ხელი და მაგიდაზე მომიბნია.

— მოაწერე შენც...

მივაგენი კალამს და როგორც იქნა, მოვაწერე ხელი ამ წყეულ ქაღალდებს. სანდერსონმა სასწრაფოდ მოხიკა ისინი და ქურთუკის ჯიბეში ჩაიტენა.

— დიდი მადლობა, მისტერ ბილეინ, ბედნიერად.

და სამივენი გასასვლელად წამოიმართნენ.

— წითელი ბეღურა სად არი?

ანდერსონი გაჩერდა. მოტრიალდა.

— ოჰ.

— კი, ოჰ.

— ხვალ, ორ საათზე, დიდ ცენტრალურ ბაზრობასთან გელოდებით. — მაინც სად, ეგ ხო უზარმაზარი ადგილია?

— საყასბოსთან. მიუდექი ღორის თავებს გვერდით და მოგაგნებთ. — ღორის თავების გვერდით?

— მართალი ხარ. გიპოვით რა.

მერე შეტრიალდნენ სამივენი და გამშორდნენ. მე კიდე ვიჯექი და კედლებს თვალს ვერ ვაშორებდი. გულში გამკრა ბუნდოვნად, მგონი, გადამაგდეს-მეთქი.

48

ორ საათზე უკვე დიდ ცენტრალურ ბაზარში ვიყავი. ვიპოვე საყასბო და დავდექი ღორის თავებთან. თავის ქალები თვალებამოცარიელებული ფოსოებით მომჩერებოდნენ. ავარიდე მზერა და სიგარა გავაბოლე. რამდენი რამე გგვრის ქვეყანაზე კაცს სევდას. ეჰ, ეს საბრალო სასუპედ გამზადებული ჩონჩხები. ვიფიქრე, მომატყუეს-მეთქი. ხომ შეიძლებოდა, სულაც არ მოსულიყვნენ ეს ტიპები. ვიღაც მათხოვარი მომიახლოვდა. ძონძები ეცვა. გამოველაპარაკე.

— ჰეი, მეგობარო, ზედმეტი დოლარი ხო არ გაქ? ლუდი მინდა, გამიშრა პირი... იმ საბრალომ ზურგი მაქცია და გზა გააგრძელა. არადა, ხანდახან განვიკითხავ ხოლმე. გააჩნია, ალბათ, როგორ ფეხზე ავდგები დილით. ვინ იცის? ფული არ ყოფნის ყველას, არც არასდროს ყოფნიდა და აზრზე არ ვარ, რით ვუშველო ამ ამბავს. მერე ისინი დავინახე. სანდერსონი თავის მაიმუნებთან ერთად. დამადგნენ. სანდერსონი იღიმებოდა და ნაჭერში გახვეული რაღაც ეჭირა ხელში. გალია ეგონებოდა კაცს. მართლა გალია ხო არ იყო?

ამესვეტნენ წინ. სანდერსონმა ღორის თავებს გადახედა.

— ბილეინ, მადლობელი იყავი, რომ ღორის თავი არ ხარ.

— რატომ ვითომ?

— რატომ? ღორის თავი ვერ ჟიმაობს, ვერც კანფეტს ჭამს, ვერც ტელევიზორს უყურებს. — მაგ ძონძებში რა გაგიხვევია, სანდერსონ?

— შენ მოგიტანე, პატარავ, ვიცი, მოგეწონება.

— ნამდვილად მოეწონება, — გაეპასუხა მეორე.

— აჰა, — დაუდასტურა მესამემაც.

— სანდერსონ, ეს ტიპები ყოველთვის ყველაფერში გეთანხმებიან? — თავი კი არ მოსძულებიათ.

— არ მოგვძულებია, სიცოცხლე გვიყვარს, — დაეთანხმა ერთი.

— დავბერდეთ გვინდა, — დაუმატა მეორემ.

— სანდერსონ, კითხვაზე მიპასუხე, გალიაში რა გყავს?

— ა, ეს შენი არ არი, ცარიელი გალიაა.

— ცარიელი გალია გინდა მომცე?

— ეს სატყუარაა მხოლოდ, ბილეინ.

— სატყუარა რაღად გინდათ?

— რო გავერთოთ ცოტა. გვიყვარს გართობა.

— მაგარია. კარგი და ნამდვილი გალია სადღაა?

— შენი მანქანის წინა სავარძელზე დევს.

— ჩემი მანქანის? როგორ...

— ჩვენ ჩვენი საქმე ვიცით, ბილეინ.

— აბა, რაღას მითხარი, მოგეწონებაო.

— რა მოგეწონებაო?

— ეგ გალია, ხელში რაც გიჭირავს. მითხარი, მოგეწონებაო, შენი მონები კიდე დაგეთანხმნენ.

— გავერთეთ ცოტა. ხომ გითხარი, გართობა გვიყვარს-მეთქი. ენა მოვიქავეთ ოდნავ. — ენა მოიქავეთ? როდის მორჩებით მაიმუნობას? საქმეზე გადასვლას როდის აპირებთ? — შენი მანქანის წინა სავარძელი შეამოწმე, ბილეინ. წავედით ჩვენ, აბა, ერთი თვის თავზე შევხვდებით.

და ჰაიდა, დამტოვეს მარტო ღორის თავებთან. გამოვაღწიე, როგორც იქნა და მანქანების სადგომისკენ გავემართე. გზაში კედელთან მიმჯდარ თავჩაქინდრულ ლოთს მოვკარი თვალი. ბუზები დასეოდა. გავჩერდი და დოლარი ჩავუკუჭე ჯიბეში. მივადექი სადგომს, მოვნახე ჩემი მანქანა, ჩავჯექი. იქაც ჩიტის გალია დამხვდა, თავზე ნაჭერგადაფარებული. შევამოწმე, ყველა ფანჯარა დაკეტილია თუ არა-მეთქი. მერე ჩავისუნთქე ღრმად და გალიას ძონძი შემოვხსენი.

ჩიტი იჯდა შიგნით. წითელი ჩიტი. დავაცქერდი ახლოდან. რა ბეღურა, რის ბეღურა, წითლად გადაღებილი იადონი იყო. ოჰ, ოჰ, უჰ, აჰ. ხო შეეძლოთ, ბეღურა დაეჭირათ და ის გაეფერადებინათ წითლად. არა, მაინცდამაინც ამ კეთილმოტყნულ იადონს ეცნენ. მე კიდე გაშვებაც არ შემიძლია, შიმშილით მოკვდება გარეთ. მოვუვლი, სხვა რა გზა მაქვს. მოკლედ, მაგარ შარში გავები.

მანქანა დავძარი და გამოვეცალე იქაურობას, დავიკიდე შუქნიშნები და როგორც იქნა, გზატკეცილზე გამოვაღწიე. ამ საჭის ტრიალში რომ ვიყავი, უცებ ხმა მომესმა. გალიის კარი გაღებულიყო და ჩიტი გამომფრენოდა. დაიწყო მანქანაში გადარეულივით ფრენა. თან

წითელი იადონია. გვერდზე მომავალი მანქანიდან ტიპმა დამინახა და აუტყდა სიცილი. შუათითი ვაჩვენე. სახე მოეღრუბლა, დავინახე, როგორ გადასწვდა რაღაცას, ჩამწია ფანჯარა და არ მომიშვირა რევოლვერი? მესროლა, ამაცილა, ბანძი მსროლელი იყო, ეტყობა. მაგრამ მე ტყვიამ ისე ახლოს გამიარა, ჰაერის ნაკადი ვიგრძენი ცხვირზე. ჩიტი ისევ გადარეულივით დაფრინავდა კაბინაში, მეც გაზს დავაწექი. ორივე ფანჯარაში ტყვიის ნახვრეტი იყო, ერთი — შემომავალი, მეორე — გამავალი. უკან არ მომიხედავს, რო დავადგი გაზს ფეხი, ჩემს ჩასახვევამდე არ ამიშვია. მერეღა მოვიხედე უკან. ჩემი მეგობარი არ ჩანდა არსად. უცებ ჩიტი გამახსენდა. თავზე მაჯდა პირდაპირ, უფრო ვიგრძენი, ვიდრე დავინახე. მოსკინტვლა მოუნდა და დამასკინტლა კიდეც, როგორც იციან ჩიტებმა, ისე. არ იყო ის ჩემი დღე, ჯანდაბა რა, არ იყო, არა.

49

ოფისში ვიჯექი, მგონი, ოთხშაბათი იყო. ახალი საქმე არ მქონდა. ისევ წითელი ბეღურის ამბავს ვუკირკიტებდი, ვფიქრობდი, ვცდილობდი სამოქმედო გეგმების დაწყობას. მაგრამ ერთი აზრი მიტრიალებდა მარტო თავში — მეთქი, სანამ 25 დღე გავა, უნდა გავიქცე ქალაქიდან.

არა, არავითარ შემთხვევაში. ვერ გამაქცევენ ჰოლივუდიდან. მე თვითონა ვარ ჰოლივუდი, რაც მისგან დარჩა, ისა ვარ.

ამ დროს ძალიან თავაზიანად დააკაკუნეს კარზე.

— დიახ, — გავძახე მე, — შემოდით.

კარი გაიღო და პატარა ბიჭი დავინახე, სულ შავები ეცვა, ფეხსაცმელიც, პიჯაკიც, პერანგიც, მარტო ჰალსტუხი ეკეთა მწვანე, მკვახე

ლიმონივით მწვანე. ბიჭის უკან გორილას მოვკარი თვალი. ოღონდ ამას მეტი ჭკუა აღმოაჩნდა.

— მე ჯონი ტემპლი ვარ, — მითხრა მან, — ეს კიდევ ჩემი ასისტენტი, ლუკი. — ლუკი, ხომ? რას აკეთებს ხოლმე მაინც ლუკი?

— რასაც ვუბრძანებ.

— ახლა არ გინდათ, რომ უბრძანოთ, წავიდეს?

— რა იყო, ბილეინ, ლუკი არ მოგეწონა?

— უნდა მომწონებოდა?

ლუკმა ერთი ნაბიჯი გადმოდგა წინ. სახე მოეღრიცა, თითქოს ტირილს აპირებსო. — არ მოგწონვარ, ბილეინ? — მკითხა ლუკმა.

— ლუკ, ყურადღებას ნუ მიაქცევ, — ეს უკვე ტემპლის ხმა იყო. — ლუკ, ნუ მომაქცევ ყურადღებას.

— გიყვარვარ, ჯონი? — ჰკითხა ლუკმა.

— რა თქმა უნდა, რასაკვირველია. ახლა, ლუკ, წადი, კართან დადექი და არც შეუშვა არავინ და არც გამოუშვა.

— არც თქვენ?

— რას გულისხმობ, ლუკ?

— თქვენც არ გაგიშვათ-მეთქი?

— არა, ლუკ, მე არა, მე კიდეც გამიშვი და კიდეც შემომიშვი. სხვა არავინ, სანამ მე არ გეტყვი.

— კარგი.

ლუკი გავიდა და კართან დადგა. ტემპლმა გამოწია სკამი და დაჯდა. — "უმაღლესი აღმასრულებელი" ბიუროდან ვარ. გაგამხნევო მინდა, ჩვენი კომივოიაჟერი ჰაროლდ სანდერსონი...

— კომივოიაჟერი? კომივოიაჟერს ეძახით მაგ ტიპს?

— ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენ შორის.

— დარწმუნებული ვარ, მასეც იქნება, შეხედეთ.

და ოთახის კუთხეში დაკიდებულ გალიაზე მივუთითე, შიგნით წითელი იადონი იჯდა. — ეს მაგან მომყიდა.

— ჰარი მკვდარს გააძრობს ტყავს და იმას გაყიდის.

— უქნია კიდეც, ალბათ, უკვე.

— არ გვინდა ეს უსაგნო ლაპარაკი, ჩვენ აქ შენს დასახმარებლად ვართ. — მიდით მერე.

— არ არის სასაცილო, ბილეინ, ჩვენ 4 ათასი დოლარი გასესხეთ თვეში 15 პროცენტად, რაც 600 დოლარი გამოდიოდა. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ხვდები, რაზეა ლაპარაკი, სანამ ფულის გამოსართმევად მოვალთ.

— დავუშვათ, არ მაქვს?

— მაინც გამოგართმევთ, მისტერ ბილეინ, ან ამ გზით, ან იმ გზით, მთავარია, რომ გამოგართმევთ.

— ფეხებს ამტვრევთ ხოლმე ხალხს?

— სხვადასხვა მეთოდით ვმუშაობთ.

— დავუშვათ, ვერც ერთი ამ მეთოდით ვერ მიაღწიეთ საწადელს. გყავთ ისეთი ვინმე, 4 ათას დოლარად ან უბრალოდ ინტერესის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეუძლია? ტემპლმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ერთი ღერი ამოაცოცა, დააკაკუნა და მოუკიდა. ღრმად მოქაჩა. მერე ჩაისუნთქა, ამოისუნთქა.

— თავი მომაბეზრე რა, ბილეინ.

მერე დაიძახა: “ლუკ”.

— დიახ, ჯონი.

— ხედავ, ის ლამაზი, წითელი ჩიტი გალიაში როგორ ზის?

— ვნახე, ჯონი.

— ლუკ, მინდა, მიხვიდე, გამოიყვანო ჩიტი გალიიდან და ცოცხლად შეჭამო. — დიახ, ჯონი.

და ლუკი გალიისკენ წავიდა.

— ღმერთო ჩემო, ტემპლ, შეაჩერე! შეაჩერე-მეთქი! შეაჩერე! — ავყვირდი მე. — ლუკ, — გასძახა ტემპლმა მშვიდად, — გადავიფიქრე, ნუღარ შეჭამ მაგ ჩიტს ცოცხლად. — ჯერ შევწვა, ჯონი?

— არა, არა, დაანებე თავი. დაბრუნდი შენს ადგილას და კართან დადექი. — მესმის, ჯონი.

ტემპლმა მე შემომხედა.

— ხომ ხედავ, ბილეინ, ყოველთვის არსებობს ვალის ამოღების სხვადასხვა ხერხი. თუ ერთი არ იმუშავებს, მეორეს ავამოქმედებთ. ჩვენ გვინდა ამ ბიზნესში ყოფნა. ჩვენ ცნობილი ხალხი ვართ მთელ ქალაქში. ისეთი სახელი გვაქვს, ყველა გვიცნობს. არავის და არაფრის გულისთვის არ შეიძლება ჩირქი მოეცხოს რეპუტაციას. მინდა, კარგად ჩაწვდე ამას.

— მგონი, მივხვდი, ტემპლ.

— მშვენიერია. შენთვის გადახდის პირველი ვადა 25 დღეში მოდის. გაფრთხილებით, გაფრთხილებული ხარ უკვე. ტემპლი ადგა, იღიმებოდა.

— ნახვამდის, — მითხრა და შემაქცია ზურგი.

— ლუკ, გამიღე კარი, მივდივართ.

ლუკმა გააღო კარი, ტემპლმა უკანასკნელად მოიხედა, უკვე აღარ იღიმებოდა. ორივენი წავიდნენ. დავადექი გალიას და ჩემი წითელი იადონი შევათვალიერე. ალაგ-ალაგ გადასცლოდა საღებავი და ბუნებრივ, ყვითელ ბუმბულს წამოეყო თავი. ლამაზი ჩიტი იყო. ის მე მიყურებდა, მე მას არ ვაშორებდი თვალს. მერე ბარტყებმა როგორც იციან, ზუსტად ისეთი ხმა გამოსცა: “წიპ, წიპ”. და როგორღაც უცებ კარგ ხასიათზე დავდექი. ჩემს გახარებას რა უნდა, თქვენ დანარჩენი კაცობრიობისა თქვით თორე.

50

გადავწყვიტე, ჩემთან წავალ და ცოტას დავლევ-მეთქი. ყველაფერი კარგად უნდა ამეწონ-დამეწონა. წითელი ბეღურის ძებნაცა და ჩემი ცხოვრებაც, ორივე ჩიხში იყო შესული. მივედი, დავაყენე მანქანა, გადმოვძვერი. უნდა გადავიდე ამ ბინიდან, ხუთი წელია უკვე აქ ვცხოვრობ. თითქოს მთელი ეს ხანი ბუდეს ვიშენებდი, უკაროს, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მეტისმეტად ბევრმა იცოდა ჩემი მისამართი. მივედი კართან, გადავატრიალე გასაღები, მივაწექი, ვახ, რაღაც უშლის ხელს, მეთქი, გდია რაღაც. და უცებ — სხეული, გოგოს სხეული. აი, გასაბერი გოგოები რო არიან, კაცებს რო მოსწონთ, ისეთი გოგო იყო. მე არ მიზიდავენ ეგეთები. სხეული შეშუპებოდა. შევუდექი და ტახტამდე მივიყვანე, ყელთან საინტერესო წარწერას წავაწყდი: "ბილეინ, შეეშვი წითელ ბეღურას, თორე ამ ძუკნაზე უარესი დღე დაგადგება".

მშვენიერი ცნობაა, რას ერჩი. გამოდის, სტუმარი მყოლია. ვიღაც, ვისაც არ უნდა, რომ ამ საქმეზე ვიმუშაო. მაგრამ ამ ამბავმა იმედიც გამიჩინა. წითელი ბეღურა ეტყობა მართლა არსებობს, აბა, ასე ვინ მოიქცეოდა. კვალი უნდა ვიპოვო და აუცილებლად გამოჩნდება რამე, მეტისმეტად ბევრი მინიშნება დაგროვდა. შეიძლება, მართლა დიდ რამეზე გავედი, ვინ იცის, საერთაშორისოზეც კი, რა საერთაშორისო, სამყაროთაშორისზე? ჰე, წითელი ბეღურა. მაგის დედაც, რა ამბები ხდება.

სასმელი მოვიმზადე და გადავკარი. დარეკა ტელეფონმა. ავიღე. — გისმენთ.

— ტაკუნია, როგორა ხარ?

ჭიანჭველებმა დამირბინეს ტანში. ჩემი ერთ-ერთი ყოფილი ცოლი მელაპარაკებოდა, პენი. უკანასკნელად მისი ამბავი, მგონი, ხუ-

თიოდე წლის წინ გავიგე, ჩვენი გაყრის მერე, ვიღაც ტიპს გაყვა სადღაც, ვეგასში მაგიდებზე მუშაობდა ის ტიპი, სემი ერქვა. — უკაცრავად, ნომერი შეგეშალათ, ქალბატონო.

— ხმაზე გცნობ, ტაკუნია. რას საქმიანობ?

რატო შემარქვა ეს მეტსახელი, არ ვიცი რა. მოუფრიტინა და.

— ვზარმაცობ.

— მეგობარი გჭირდება გვერდით.

— უჰ.

— როდის იყო, შენით ხვდებოდი, რა გჭირდებოდა, პუტკუნ.

— შეიძლება, რა მჭირდებოდა, მაგას — ვერა, მაგრამ რაც მეზედმეტება, ახლავე გეტყვი. — მოვდივარ.

— უჰ.

— დაბლა ვარ. ჰოლში რომ ტელეფონია, იქიდან გირეკავ.

— სემი სად არი?

— ვინ?

— სემი.

— ოჰ, ეგ... მისმინე, ამოვდივარ....

და დაკიდა ყურმილი. საშინლად ვგრძნობდი თავს, თითქოს თავიდან ფეხებამდე განავალი წამისვესო. გადავკარი ერთი ჭიქა და დავისხი მეორე. კაკუნიც გაისმა. კარი გავაღე, ზღურბლთან პენი იდგა, ხუთ წელიწად და თხუთმეტ კილო მომატებული. მომაგება თავისი საშინელი ღიმილი.

— გაგიხარდა ჩემი ნახვა? — მკითხა.

— შემოდი, — ვუთხარი და ოთახში შემოვუძეხი.

— სასმელი მეც დამისხი რა, ტაკუნია.

— კარგი.

— ე, ეს რა არი?

— რა?

— ეს რეზინის რაღაცა. ქალი.

— გასაბერი ქალია.

— შენია?

— არა ჯერ.

— აბა აქ რა უნდა?

— არ ვიცი. გამომართვი სასმელი. პენიმ იატაკზე ჩამოაგდო თოჯინა და თვითონ დაჯდა ტახტზე. მოსვა.

— მენატრებოდი, ტაკუნია.

— რა გენატრებოდა მაინც?

— აი, სულ პატარ-პატარა რაღაცები.

— მაინც?

— ვერ ვიხსენებ ახლა.

გადაკრა სასმელი, შემომხედა და გამიღიმა.

— ფული მჭირდება, ტაკუნია, სემიმ ყველაფერი წაიღო და დატყდა. — მეც ვალებში ვარ, პენი, ვიღაც ტიპები მაგრად დამირხევენ, თუ ფული არ გადავუხადე. გავედი, კიდე ორი ჭიქა სასმელი გავაკეთე და შემოვბრუნდი.

— სულ ცოტა მაინც რა, ტაკუნია.

— არა მაქ, გაიგე, ღმერთი არ გწამს?

— მოგიწოვ, გახსოვს, რა კარგად ვწოვდი?

— მისმინე, აჰა 20 დოლარი, გამომართვი...

ამოვიღე ჯიბიდან ფული და პირდაპირ ხელში ჩავუკუჭე.

— მადლობა...

და პენიმ ფული ეგრევე საფულეში ჩაიდო. ვისხედით ერთხანს, სასმელს ვწრუპავდით. — კარგი დროც ხო გაგვიტარებია ერთად, — წამოიწყო მან.

— ადრე.

— არ მახსოვს კარგად, დეპრესიაში ვიყავი.

— მისმინე, გაყრითაც ხო იმიტო გავიყარეთ, რო ერთად ცხოვრება ვერ მოვახერხეთ? — ჰო, — დამეთანხმა, — ამ რაღაცას ხო არ ჟიმავ?

— არა, ვიღაცამ დატოვა, ეტყობა.

— ვინ?

— არ ვიცი. ვიღაცა მეთამაშება.

— მოგიწოვო გინდა?

— არა.

— ცოტა ხანს რომ დავრჩე და დავლიო, შეიძლება?

— რამდენ ხანს მაინც?

— ორ საათს.

— კარგი.

— მადლობა, ტაკუნია.

წასვლისას უკვე კაი ნასვამი იყო და კიდე ერთი ოცდოლარიანი მივეცი, მეთქი, ტაქსით შეაყოლე.

ასე მითხრა, შორს არ მივდივარო. პენის მერე ავიღე ის გასაბერი ქალი და ტახტზე მოვისვი გვერდით. არაყიც მქონდა, ტონიკიც. მშვენიერი საღამო იყო. მშვენიერი საღამო ჯოჯოხეთში. ჭიებისგან დახრული, ფუტურო მორივით იწვოდა დედამიწა.

51

წარმოდგენა არ გაქვთ, რა სწრაფად გადის 25 დღე, განსაკუთრებით მაშინ, როცა სულაც არ გინდა, რომ გავიდეს. ჩემთან ოფისში ვიჯექი, კარი რომ შემომიღეს. ჯონი ტემპლი იყო. ორი ახალი მაიმუნი ახლდა თან.

— "უმაღლესი აღმასრულებლები" მოვედით, — გამომიცხადა, — ფული გვინდა. — არ მაქ, ჯონი.

— 600 დოლარი არ გაქ?

— 60-ც არ მაქ.

ჯონიმ ამოიოხრა.

— სამაგალითოდ უნდა დაგსაჯოთ.

— ეგ როგორ, რაღაც საცოდავი 600 დოლარის გულისთვის მცემთ? — რა შუაშია ცემა, ბილეინ, გაგაქრობთ უბრალოდ.

— არ მჯერა.

— არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, შენ გჯერა თუ არა, — ამოიღო ხმა ერთმა მაიმუნმა. — მართალია, არა აქვს, — დაუდასტურა მეორემ.

— ერთ წუთს დაიცა, ჯონი, შენ მეუბნები, 4 ათასი რომ გაქვს ვალი და 600 დოლარს პროცენტს არ იხდი, ამიტომ უნდა გაგაქროო, ხო? იმ 4 ათასისთვის, რომელიც თვალითაც არ მინახავს, თან წითელი ბეღურაც არ მოგიყვანიათ. მართლა დიდი ვალი ვისაც აქვს თქვენი, იმათ როგორ ექცევით, საინტერესოა. იმათაც აქრობთ? თუ არა, აბა, მე რა დავაშავე?

— ყური მიგდე, ბილეინ, ჩვენ შენ გროშებისთვის აგაორთქლებთ. ქალაქში ხმა დაირხევა, ასე და ასე ქნესო და ვისაც დიდი ვალი აქ, მართლა შეეშინდება. იფიქრებენ, ორი დოლარისთვის გააქრეს და ჩვენ რას გვიზამენო. მიხვდი?

— მივხვდი და გეთანხმებით, მაგრამ ახლა ჩემს სიცოცხლეზე ვლაპარაკობთ, ისე, ეგ ამბავი თქვენ დიდად ვერ გაღელვებთ, ხო?

— მართალია, არ მაღელვებს, ჩვენ ბიზნესს ვაკეთებთ. ბიზნესს კიდე შემოსავლის გარდა სხვა მიზანი არ აქვს.

— არ მჯერა, რომ ეს ჩემს თავს ხდება, — ვთქვი და უჯრა გამოვწიე ოდნავ. — დახურე, — მითხრა ერთმა მაიმუნმა, გამოიწია და ლულა პირდაპირ ყურის ძირში დამადო, — ამ რკინის ნაჭერს მე წავიღებ!

და ჩემი 32-მილიმეტრიანი ამაცალა.

— შენისთანა მსუქანი სირისთვის ძაან სწრაფად მოძრაობ.

— ჰოო, — გაუხარდა იმას.

— კარგი, ბილეინ, — წამოიწყო ისევ ჯონიმ, — გავისეირნოთ ცოტა. — ჰო, მაგრამ დღისით-მზისით?

— უკეთესად შეგათვალიერებენ. ადე, წამო.

წამოვდექი, ორმა მაიმუნმა ჩამიყენა შუაში. ტემპლი უკან მოგვდევდა. დავტოვეთ ოფისი და გავემართეთ ლიფტისკენ. ყველას მივასწარი და თითიც მე მივაჭირე ღილაკს. — მადლობა, პანკ.

მოვიდა ლიფტიც, გაიღო კარი. შიგნით — სიცარიელე. მკრეს ხელი, შემაგდეს. დავეშვით პირველზე, მერე — ფოიე და ბოლოს — ქუჩა. უამრავი ხალხი ირეოდა ირგვლივ, ვიფიქრე, ვიყვირებ, ეს ტიპები მოკვლას მიპირებენ-მეთქი, მაგრამ მეშინოდა, ვიყვირო და ვაიდა, რასაც დამპირდნენ, მართლა შემისრულონ, მერე? მივაბიჯებდი მათ მხარდამხარ. გადასარევი ამინდი იდგა. მივაღწიეთ, როგორც იქნა, მანქანას. მაიმუნები უკანა სავარძელზე დასხდნენ ჩემთან ერთად, მე შუაში ჩამაკვეხეს, ჯონი ტემპლი კი საჭეს მიუჯდა. დავიძარით.

— ერთ უაზრო სიზმარს გავს ყველაფერი, — ვთქვი მე.

— ეს სიზმარი არ არის, ბილეინ.

— სად მიგყავართ?

— გრიფინის პარკში, ბილეინ, პატარა პიკნიკს მოგიწყობთ. შორეულ ბილიკებზე მოვაწყობთ პატარა პიკნიკს. განცალკევებით, ინტიმურ გარემოში. — აუ, როგორ ხართ ეგრე სირულად გულქვები რა? — ამოვიღე ხმა. — მშვენივრად, — მომიბრუნდა ჯონი, — ეგეთები დავიბადეთ.

— მართალია,— გაუხარდათ მაიმუნებს.

მივდიოდით და მივდიოდით. მე ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი, ეს ამბავი სინამდვილეში თუ ხდებოდა. იქნებ არც ხდებოდა, ვინ იცის. იქ-

ნებ სწორედ უკანასკნელ წუთს ეთქვათ, გეხუმრეთ, ჭკუა გვინდოდა გვესწავლებინა, მეორედ რომ ვეღარ გაგებედაო და რამე ეგეთები.

მივაღწიეთ პარკს, როგორც იქნა. ჯონიმ გააჩერა მანქანა.

— გადმოიყვანეთ, ბიჭებო, ფეხით გავიაროთ ცოტა.

ეგრევე ერთმა მიბიძგა და გადმომაგდო მანქანიდან, მერე ორივემ აქეთ-იქიდან მკლავებში ჩამავლო ხელები. წავედით. ჯონი ისევ უკან მოგვყვებოდა. მალე ცხენების გაუქმებულ ბილიკზე გავედით, ბუჩქნარს და ტოტებს დაეფარა იქაურობა, მზეც არ აღწევდა კარგად.

— მისმინეთ, ბიჭებო, კმარა, — აღვშფოთდი მე, — თქვით, რომ ხუმრობაა ეს ყველაფერი და წავიდეთ სადმე დასალევად.

— ჩვენ არ ვხუმრობთ, ბილეინ, აგაორთქლებთ უბრალოდ, — გამეპასუხა ჯონი. — 600 დოლარის გულისთვის, არ მჯერა, არ მჯერა, რომ სამყაროში ეგეთი რამე შეიძლება მოხდეს.

— მოგიწევს. ჩვენ ხო გაგაცანით ჩვენი პოზიცია, ჰოდა, გამოადგი ახლა ფეხი. ვიარეთ კიდევ ცოტა ხანს და გავჩერდით. ჯონიმ თქვა:

— კარგი ადგილი ჩანს, შეტრიალდი, ბილეინ.

შევტრიალდი და თვალი მოვკარი რევოლვერის ლულას. ჯონიმ მესროლა. ოთხჯერ ზედიზედ, ოთხივეჯერ — მუცელში. პირქვე დავეცი, მაგრამ როგორღაც გადმოტრიალება მაინც მოვახერხე.

— დიდი მადლობა, ტემპლ, — ამის თქმაღა შევძელი.

ისინი წავიდნენ.

არ ვიცი, მგონი, ერთხანს გული წამივიდა. მერე ისევ მოვფხიზლდი. ვგრძნობდი, დიდი დღე აღარ მეწერა. ბევრი სისხლი დავკარგე, ძალიან ბევრი. ჯერ მუსიკა ჩამესმა თითქოს, იქამდე გაუგონარი მუსიკა. მერე კი დაიწყო, რაც დაიწყო. ბუნდოვანმა მოხაზულობამ გარკვეული ფორმები შეიძინა და წინ გამომესახა. ის იყო წითელი, უწითლესი და მუსიკას გავდა. ამსიწითლე არასდროს არაფერი მინახავს. იგი წითელი ბეღურა იყო. ვეებერთელა, მხურვალე, ულამა-

ზესი. ამხელა, ასეთი ნამდვილი, ასეთი ჯადოსნური ბეღურა სხვა არც არსებობდა, ალბათ. წინ გამიჩერდა. და უცებ ქალბატონი სიკვდილი არ დავინახე?! გვერდით ამოუდგა ბეღურას. არც ის ყოფილა არასოდეს ასე მშვენიერი. — ბილეინ, — მითხრა, — ნაღდად ცუდ ამბავში გაეხვიე.

— ბევრს ვერ ვილაპარაკებ, მიჭირს, ქალბატონო... ამიხსენით, რა ხდება ჩემს თავს. — შენი ჯონ ბარტონი დიდი დაკვირვებული კაცია, როგორღაც მიხვდა, წითელი ბეღურა ნამდვილად არსებობსო, იმას მიხვდა, შენ უნდა გეპოვა. ჰოდა, იპოვე კიდეც. სხვები, უმრავლესობა მაინც — დეჟა ფაუნტენი, სანდერსონი, ჯონი ტემპლი — აფერისტები იყვნენ, უნდოდათ მოეტყუებინე, ფული დაეცინცლათ. რადგანაც შენ და მუსო უკანასკნელი მოჰიკანები ხართ ძველი, დიდებული ჰოლივუდის, ნამდვილი ჰოლივუდის, იფიქრეს, ბევრი ფული ექნებაო.

გამეღიმა.

— გასაბერ ქალზე რაღას იტყვით, ქალბატონო, რა უნდოდა ჩემს ოთახში? — ა, ეგა? ეგ ფოსტალიონმა ქნა. გაიგო, წითელი ბეღურის საძებნელადაა წასულიო და უნდოდა, კიდე ერთხელ გადაეხადა სამაგიერო გალახვისთვის. შემოგიმტვრია კარი და თოჯინა მოგიგდო.

— აწი რაღა მოხდება, ქალბატონო?

— წითელ ბეღურასთან გტოვებ. საიმედო ხელში იქნები. კარგად, ბილეინ, მიხარია, რომ გაგიცანი.

— ჰო.

და დავრჩი ასე უზარმაზარ მოელვარე ჩიტთან პირისპირ. იდგა, არ ინძრეოდა. მეთქი, გამორიცხულია ეს სინამდვილე იყოს. ასეთი რამე არ ემართებათ ხოლმე ადამიანებს. ასეთი რამე შეუძლებელია დაემართოთ.

მერე ბეღურამ, ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, ნელა გააღო ნისკარტი. უშველებელი სიცარიელე გამოჩნდა. შიგნით კი

თვალუწვდენელი, მზეზე მეტად დაუდგრომელი, დაუჯერებელი, ყვითელი მორევი ამოიზარდა.

მეთქი, არ არსებობს, ასე არ ხდება.

ბეღურამ ნისკარტი ბოლომდე გააღო, გადმოიხარა ჩემკენ, გადმოიხარა და ისე ახლოს მოვიდა, რომ ალმოდებულმა მგრგვინავმა მორევმა მეც გამიტაცა და ჩამიხვია.